მოსახლეობის დინამიკა საქართველოში

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა

რალფ ჰაკერტი



CENSUS 2014

GEOSTAT www.geostat.ge | SWEDEN | UNFPA

2017

მოსახლეობის დინამიკა საქართველოში

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა

რალფ ჰაკერტი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი)
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოსახლეობის ფონდი (UNFPA)

2017
თბილისი

მოსახლეობის დინამიკა საქართველოში
2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა

ავტორი: რალფ ჰაკერტი

რალფ ჰაკერტი არის მათემატიკოს-სტატისტიკოსი და მინიჭებული აქვს სოციოლოგიისა და დემოგრაფიის დოქტორის ხარისხი კორნელის უნივერსიტეტის მიერ. ბრაზილიის მინას გერეს ფედერალურ უნივერსიტეტში მრავალწლიანი პედაგოგიური საქმიანობის შემდეგ, რალფ ჰაკერტმა 1990 წელს დაიწყო მუშაობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და წარგზავნილი იყო ანგოლაში, ჰონდურასში, ჩილეში, მექსიკაში და გაეროს მოსახლეობის ფონდის შტაბბინაში, ნიუ-იორკში. 2014 წელს ის ჩამოშორდა ოფიციალურ საქმეებს და დემოგრაფიისა და სტატისტიკის საკითხებზე მუშაობას აგრძელებს, როგორც კერძო კონსულტანტი.

ტექსტის რედაქტორი: თეა მაისურაძე

ინგლისურიდან ტექსტი თარგმნა: მაია გვიტიძემ

პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) ერთობლივი პროექტის ფარგლებში *"სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება საქართველოში"*, რომელიც დაფი-ნანსებულია შვედეთის მთავრობის მიერ.

პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი აზრი ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს გაეროს მოსახლეობის ფონდისა (UNFPA) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატის) შეხედულებებს. აღნიშნული ორგანიზაციები არ იღებენ პასუხისმგებლობას გამოცემაში არსებულ შესაძლო უზუსტობებზე.

გამოცემის ელექტრონული ვერსია იხილეთ: http://georgia.unfpa.org

პუბლიკაცია დაბეჭდილია შპს „ვესტა"-ს მიერ

ISBN: 978-9941-27-279-0

სარჩევი

სარჩევი	iii
გრაფიკები	iv
ცხრილები	v
წინასიტყვაობა	viii
მადლობა	viii
შემოკლებები	ix
საქართველოს ადმინისტრაციული რუკა	x
1. შესავალი	1
2. მოსახლეობის რიცხოვნობა და მათი განაწილება მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით რეგიონულ დონეზე	7
3. შინამეურნეობის შემადგენლობა	16
4. მოსახლეობის ზრდა და მისი კომპონენტები	18
5. შობადობა	23
6. ქორწინება	33
7. მოკვდაობა	44
8. ურბანიზაცია	50
9. შიდა მიგრაცია და იძულებით გადაადგილებული პირები	55
10. გარე მიგრაცია	60
11. იმიგრაცია	62
12. ემიგრაცია	65
წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა	70

გრაფიკები

გრაფიკი 1.1: სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემაში აღრიცხული, წულაძის მიერ კორექტირებული შობადობისა და მოკვდაობის პროცენტული მაჩვენებლები	5
გრაფიკი 2.1: მოსახლეობის სქესობრივ–ასაკობრივი პირამიდა, ერთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით; არაკორექტირებული მონაცემები (მარცხნივ) და გადაანაგარიშების შედეგად მიღებული მონაცემები (მარჯვნივ); მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2002 წელი	9
გრაფიკი 2.2: მოსახლეობის სქესობრივ–ასაკობრივი პირამიდა; საქართველო, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014 წელი	9
გრაფიკი 2.3: ეკონომიკურად აქტიური (15–64 წლის) მოსახლეობის პროცენტული წილი, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გადაანგარიშების შედეგების მიხედვით	15
გრაფიკი 5.1: რეგისტრირებული ქორწინებათა, რიგითობით პირველი დაბადებულების და სულ დაბადებულების რაოდენობა საქართველოში, 1990–2015 წწ.	32
გრაფიკი 6.1: იმ მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	35
გრაფიკი 6.2: ფორმალურად რეგისტრირებული ქორწინებების პროცენტული წილი მამაკაცებისა და ქალებისთვის, საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	39
გრაფიკი 6.3: ქვრივების პროცენტული წილი, სქესის, ასაკისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	40
გრაფიკი 6.4: განქორწინებულ პირთა პროცენტული წილი, სქესის, ასაკისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	42
გრაფიკი 7.1: საქართველოში მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ტენდენციები 1990–2006 წლებში, დუტესა და სხვების (2010 წ.) მიხედვით და 2002–2014 წლებისათვის წარმოებული გადაანგარიშების მიხედვით	47

ცხრილები

ცხრილი 1.1: საქართველოს მოსახლეობა 1990–2020 წწ. (ათასებში) – შეფასებები და პროგნოზები	3
ცხრილი 2.1: საქართველოს მოსახლეობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მიხედვით	7
ცხრილი 2.2: საქართველოს მოსახლეობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით, მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებისა და გადაანგარიშების შედეგების მიხედვით	8
ცხრილი 2.3: საქართველოს მოსახლეობა რეგიონების, სქესისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით, 2014 წლის აღწერის შედეგები;	10
ცხრილი 2.4: საქართველოს მოსახლეობა რეგიონების, სქესისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით, 2002 წლის აღწერის შედეგები	11
ცხრილი 2.5: საქართველოს მოსახლეობა რეგიონების, სქესისა და საქალაქო– სასოფლო დასახლებების მიხედვით, მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემთა გადაანგარიშების შედეგები	12
ცხრილი 2.6: მოსახლეობის რიცხოვნობის პროცენტული ცვლილება რეგიონების, სქესისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით, 2002 წელსა და 2014 წელს ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებს შორის	13
ცხრილი 2.7: მოსახლეობის რიცხოვნობის პროცენტული ცვლილება რეგიონებისა და სქესისა მიხედვით, 2002 და მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერებს შორის, 2002 წლის მოსახლეობის რიცხოვნობის გადაანგარიშების მიხედვით	14
ცხრილი 3.1: შინამეურნეობის საშუალო ზომა რეგიონებისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით და ერთსულიანი შინამეურნეობების პროცენტული წილი	17
ცხრილი 4.1: საქართველოს მოსახლეობა ყოველი კალენდარული წლის 17 იანვრის მდგომარეობით და მოცემული წლის 17 იანვრიდან მომდევნო წლის 17 იანვრამდე მოსახლეობის კომპონენტების ცვლილება	18
ცხრილი 4.2: შობადობის და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები (ათას კაცზე) და მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტები (პროცენტებში), საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, 2010–2014 წლების პერიოდში	21
ცხრილი 4.3: მოსახლეობა რეგიონების მიხედვით, გადაანაგარიშების შედეგების თანახმად	22
ცხრილი 5.1: კალენდარული წლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების რაოდენობა, დაბადების რეგისტრის მონაცემებისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ ახალშობილებზე გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოწმობების (პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი ან ამ ნომრების რეგისტრაციის მონაცემები) მიხედვით	24
ცხრილი 5.2: შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები წლებისა და რეგიონების მიხედვით, სამოქალაქო რეესტრის მონაცემების ბაზაზე წარმოებული გადაანგარიშების თანახმად და გადაანგარიშების მოდელში რეზიდენტ დაბადებულთა მონაცემების მიხედვით	25
ცხრილი 5.3: 40–44 წლის ასაკის ქალების მიერ ნებისმიერ დროს გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა, ეთნიკური წარმომავლობისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	26

ცხრილი 5.4: 40–44 წლის ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა, დედის განათლების მიღწეული დონისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	27
ცხრილი 5.5: დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში – 2010–2014 წწ.	28
ცხრილი 5.6: ქალების პროცენტული განაწილება დაბადებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით და ბავშვების საშუალო რაოდენობა დედების ასაკობრივი ჯგუფებისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	30
ცხრილი 6.1: 15 წლის და უფროსი ასაკის მამაკაცებისა და ქალების ქორწინებითი მდგომარეობა (პროცენტებში)	34
ცხრილი 6.2: 40–44 წლის ასაკის იმ მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში	34
ცხრილი 6.3ა: ქალების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი, ქორწინების ტიპის, რეგიონისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	37
ცხრილი 6.3ბ: მამაკაცების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი , ქორწინების ტიპის, რეგიონისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	37
ცხრილი 6.4: ყველა ტიპის ქორწინებისათვის ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი, განათლების მიღწეული დონისა და სქესის მიხედვით	38
ცხრილი 6.5: ქორწინებათა პროცენტული წილი რეგისტრაციის ტიპის მიხედვით	39
ცხრილი 6.6: განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები ყოველ 1 000 მოსახლეზე, საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში, 2010–2013 წწ.	42
ცხრილი 6.7: ერთი და იგივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ქორწინებების პროცენტული წილი, საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	43
ცხრილი 7.1ა: მამაკაცების მოკვდაობის ცხრილი, 2010–2014 წწ.; ასაკის მიხედვით გარდაცვალების შემთხვევათა რაოდენობის შესახებ მონაცემებისა და მოსახლეობის შესახებ გადაანაგარიშების მოდელში დადგენილი მონაცემების ბაზაზე	44
ცხრილი 7.1ბ: ქალების მოკვდაობის ცხრილი, 2010–2014 წწ.; ასაკის მიხედვით გარდაცვალების შემთხვევათა რაოდენობის შესახებ მონაცემებისა და მოსახლეობის შესახებ გადაანაგარიშების მოდელში დადგენილი მონაცემების ბაზაზე	45
ცხრილი 7.2: მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, 2010–2014 წწ.	46
ცხრილი 7.3: გადაანაგარიშების მოდელში მოკვდაობის სტატისტიკის კორექტირების საფუძველზე მიღებული ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები ყოველ 1 000 ცოცხლად დაბადებულზე, რეგიონების მიხედვით	48
ცხრილი 8.1: საქალაქო დასახლებების მოსახლეობის პროცენტული წილი, რეგიონების მიხედვით, გადაანგარიშების თანახმად	51
ცხრილი 8.2: საქართველოს მოსახლეობის განაწილება საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით, 2002 და 2014 წლებში	52
ცხრილი 8.3: მამაკაცებისა და ქალების გადანაწილება საქალაქო – სასოფლო დასახლებებში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით; სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით	53

ცხრილი 8.4: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა საქალაქო და სასოფლო დასახლებებში (მოსახლეობის საერთო რაოდენობაში), საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში	54
ცხრილი 9.1: მიგრანტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2002 წლისა და 2014 წლის აღწერათაშორის პერიოდში, მონაცემები ასახავს ბოლო მიგრაციას (მიგრაციის საწყისი წერტილი მარცხენა სვეტში, მიგრაციის დანიშნულების ადგილი ზედა ვერტიკალურ მწკრივში)	56
ცხრილი 9.2: იძულებით გადაადგილებული პირები, ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის (რეგიონი) და იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მიღებამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით	57
ცხრილი 9.3: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს აღრიცხული იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკის, სქესისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	58
ცხრილი 11.1: 2002–2014 წლებში, იმიგრანტი მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი საქართველოში, წარმომავლობის ქვეყნისა და დაბადების ადგილის (ქვეყანა) მიხედვით	63
ცხრილი 11.2: იმიგრანტები (მკვიდრი და არამკვიდრი) სქესისა და საქართველოში ჩამოსვლის წლის მიხედვით, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერისა და გადაანგარიშების შედეგების თანახმად	63
ცხრილი 12.1: საქართველოდან ემიგრირებული მოსახლეობის პროცენტული წილი დანიშნულების ქვეყნების მიხედვით, მოსახლეობის აღწერისას შევსებული ემიგრანტის შესახებ კითხვარის მიხედვით	65
ცხრილი 12.2: საქართველოში დაბადებულ ემიგრანტთა განაწილება რეგიონების, მოსახლეობის აღწერისას შევსებული ემიგრანტის შესახებ კითხვარის და გადაანგარიშების მიხედვით	66
ცხრილი 12.3: ემიგრანტების რაოდენობა, საქართველოდან გამგზავრების წლის მიხედვით, მოსახლეობის აღწერისას შევსებული ემიგრანტის შესახებ კითხვარისა და გადაანგარიშების მიხედვით	67
ცხრილი 12.4: საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობაში 10 წელზე უფროსი ასაკის პირების, ემიგრანტების (ემიგრანტის შესახებ კითხვარის მიხედვით), სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისა და (არამკვიდრი) იმიგრანტების განათლების მიღწეული დონე, სქესის მიხედვით (პროცენტებში)	68

წინასიტყვაობა

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი) და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისი წარმოგიდგენთ საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების ანალიზის საფუძველზე შექმნილ მონოგრაფიას სახელწოდებით: *მოსახლეობის დინამიკა საქართველოში – 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებზე დაფუძნებული მიმოხილვა.*

2014 წლის აღწერის შედეგად მიღებულ იქნა უახლესი ინფორმაცია მოსახლეობის რიცხოვნობის, მათი სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის, დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის მდგომარეობის, საარსებო წყაროების, საცხოვრისების და სასოფლო-სამეურნეო აქტიურობის შესახებ.

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით და გადაანგარიშების მეთოდის გამოყენებით, წინამდებარე მონოგრაფიაში შეფასებულია საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდის, ქორწინების, შობადობის, მოკვდაობის, ასევე ურბანიზაციის, შიდა და გარე მიგრაციის სტატისტიკა და წარმოდგენილია მოსახლეობის დინამიკის განახლებული ხედვა.

წინამდებარე მონოგრაფია არის გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯი ქვეყნის მოსახლეობის დინამიკის მონაცემებზე დაყრდნობით სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და დაგეგმვის პროცესის ხელშეწყობისთვის.

მადლობა

ავტორი მადლობას უხდის კოლეგებს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურიდან: ბ-ნ თენგიზ ცეკვავას, საქსტატის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს და ბ-ნ პაატა შავიშვილს, მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოს უფროსს. ასევე, ის განსაკუთრებული მადლიერებით აღნიშნავს მოსახლეობის აღწერისა და დემოგრაფიის სამმართველოს მთავარი სპეციალისტის – ქ-ნ შორენა წიკლაურის წვლილს წინამდებარე ანგარიშში გამოყენებული ინფორმაციის მოპოვების საქმეში გაწეული დახმარებისათვის, ასევე, მონოგრაფიის შინაარსის დახვეწის, მონაცემების განმარტებისა და მათი თვალნათლივ წარმოჩენის საქმეში.

წინამდებარე ანგარიში ასევე წარმოადგენს გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის თანამშრომლების თავდადებული შრომის შედეგს. ავტორი გულწრფელ მადლობას უხდის ქ-ნ ლელა ბაქრაძეს, UNFPA საქართველოს ოფისის ხელმძღვანელს და ქ-ნ ანა ცქიტიშვილს, UNFPA საქართველოს ოფისის პროგრამების თანაშემწეს.

მონოგრაფია გამდიდრდა მოსახლეობისა და განვითარების საკითხებში გაეროს მოსახლეობის ფონდის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ოფისის მრჩეველის – ბ-ნ ედუარდ იონგსტრას მოსაზრებებითა და რეკომენდაციებით, რისთვისაც მას ავტორი მადლობას უხდის.

შემოკლებები

CRRC	კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი
EECA	აღმოსავლეთ ევროპა და ცენტრალური აზია
GERHS	ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში
MICS	მრავალ-ინდიკატორული კლასტერული კვლევა
PSA	მოსახლეობის სიტუაციური ანალიზი
SMAM	ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი
TFR	შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი
UNDESA	გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNFPA	გაეროს მოსახლეობის ფონდი
UNICEF	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდი
UNPD	გაეროს მოსახლეობის განყოფილება
USAID	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WHO	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია
WMS	კეთილდღეობის მონიტორინგის კვლევა
გადაანგარიშება	*(აქ:)* 2014–2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება
გაერო	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
იგპ	იძულებით გადაადგილებული პირები
საქსტატი	საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქართველოს ადმინისტრაციული რუკა


ბორჯომი
ახალციხე
ადიგენი
ასპინძა
ნინოწმინდა
ჯავახეთის ს.ტ.
ბაღდათი
ვანი
ზესტაფონი
ტყიბული
ალაგირი
ალაზანი
ალგეთი
ბოლნისი
ბორჯომი
ბაკურიანი
ბაზალეთი
ბარეული
ბანთა
ბანდა
ბაბანეთი
ბაბანური
ბაბანარი
ბაბანალი
ბაბანა
ბაბა
ბაბა
ბაბ

1. შესავალი

1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, საქართველოში დემოგრაფიული სტატისტიკის წარმოება შეფერხდა, შობადობის, მოკვდაობისა და განსაკუთრებით, მიგრაციის შესახებ სტატისტიკური მონაცემების შეგროვებასთან დაკავშირებული პრობლემების გამო. საბჭოთა პერიოდში, დემოგრაფიული სტატისტიკა გარკვეული სიზუსტით წარმოებდა მოსახლეობის აღწერის საშუალებით, ხოლო მონაცემთა ბაზის განახლება რეგულარულად ხორციელდებოდა ერთიანი სისტემის ფარგლებში. თუმცა 1991 წლიდან დაახლ. 2010 წლამდე, აღნიშნული სისტემა ჩამოიშალა, ინსტიტუციონალური ცვლილებების, ეკონომიკის რესტრუქტურიზაციის, ეთნიკური დაპირისპირებების, შეიარაღებული კონფლიქტებისა და მოსახლეობის მასობრივი მიგრაციის გამო. მიუხედავად სტატისტიკის სამსახურის მცდელობისა აღედგინა წესრიგი დემოგრაფიული სტატისტიკის სფეროში, განხილვის საგანია იმ დემოგრაფიული სტატისტიკის სიზუსტე, რომელიც საქართველოში გასული 20 წლის მანძილზე შეგროვდა. ამ კონტექსტში, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა განიხილება, როგორც საბაზისო მონაცემების შექმნის და წარსულის დემოგრაფიულ ტენდენციებთან დაკავშირებული გაურკვევლობის აღმოფხვრის შესაძლებლობა.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა წარმოებდა 5-დან 19 ნოემბრამდე და იგი მოიცავდა, აფხაზეთისა (საქართველო) და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის (საქართველო) გარდა (ჯამში ტერიტორიით 13,000 კმ^2, საქართველოს მთლიანი ტერიტორიის 82 პროცენტს (57 000 კმ^2). შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშში შესული 2014 წლის აღწერის ინფორმაცია ეფუძნება მხოლოდ იმ ტერიტორიის მონაცემებს, სადაც აღნიშნული მოსახლეობის აღწერა ჩატარდა. მისი მასშტაბისა და შინაარსიდან გამომდინარე, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა წარმოადგენს ქვეყანაში მოსახლეობის სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის უნიკალურ წყაროს. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად შესაძლებელი გახდა უახლესი ინფორმაციის მოპოვება მოსახლეობის რიცხოვნობის, მისი სქესობრივი თუ ასაკობრივი შემადგენლობის, მოსახლეობის დასაქმების, განათლების, ჯანმრთელობის, შემოსავლის წყაროების, საცხოვრისებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შესახებ.

გასული ათი წლის განმავლობაში, გაეროს მოსახლეობის ფონდი ეხმარებოდა საქართველოს მთავრობას სტატისტიკის ეროვნული სამსახურის შესაძლებლობების გაძლიერების საქმეში. ეს მიზნად ისახავდა საქსტატის მიერ ისეთი მტკიცებულებების მოპოვებას, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს ადამიანის უფლებების დაცვაზე ორიენტირებული პოლიტიკის შემუშავებას და უნდა განხორციელდეს მოსახლეობის დინამიკასთან და მდგრად განვითარებასთან მისი ურთიერთკავშირის ანალიზის საფუძველზე. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერას ხელმძღვანელობდა საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური და განხორციელდა გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA), შვედეთის მთავრობისა და მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით.

დემოგრაფიული სტატისტიკის წარმოების შემაფერხებელ ზემოაღნიშნულ ფაქტორებს შორის, სავარაუდოდ გარე მიგრაციამ გამოიწვია აღნიშნულ პერიოდში მოსახლეობის სტატისტიკაში არსებული უზუსტობების დიდი წილი. საბჭოთა პერიოდში, გარე მიგრაცია მკაცრად კონტროლდებოდა, მაგრამ 1990-იან წლებში მან ისეთი მასშტაბური ხასიათი მიიღო, რომ დემოგრაფიული სტატისტიკის წარმოება თითქ-

მის შეუძლებელი გახდა. არ არსებობდა სისტემა, რომელიც ზუსტად აღრიცხავდა და ერთმანეთისაგან განარჩევდა პირებს, რომლებიც დროებით ტოვებდნენ ქვეყნის ტერიტორიას ან შემოდიოდნენ ქვეყანაში, მათგან ვინც ხანგრძლივი დროით შემოდიოდა თუ გადიოდა; გარდა ამისა, ვერ ხორციელდებოდა არარეზიდენტი და რეზინდენტი დაბადებული ბავშვების გამიჯვნა. მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებიც ნაკლებად სარწმუნოდ მიიჩნევა, ვინაიდან ძალიან ბევრ შემთხვევაში ოჯახები ქვეყნიდან წასულ პირებს საკუთარი შინამეურნეობის წევრებად ასახელებდნენ, ვინაიდან უფრთხოდნენ გარკვეული უფლებებისა და სოციალური დახმარებების დაკარგვის შესაძლებლობას. აღნიშნულის გამო, ამჟამად მიიჩნევა, რომ მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები დაახლ. 8 ან 9 პროცენტით მეტად არის შეფასებული. შობადობის, მოკვდაობისა და ქორწინების რეგისტრაციის სიზუსტეც გარკვეულწილად პრობლემატურია. დაბადების რეგისტრაცია ხშირად სერიოზული დაგვიანებით წარმოებდა, ხოლო გარდაცვალების მიზეზები ჯეროვნად არ აღირიცხებოდა. დემოგრაფიული სტატისტიკის წარმოების სისტემის მეტ-ნაკლებად მოწესრიგება და მონაცემთა უტყუარობის სათანადო დონის უზრუნველყოფა საქართველოში მხოლოდ 2010 წლისთვის გახდა შესაძლებელი.

1990 წლიდან მოყოლებული საქართველოში მოსახლეობის გამოთვლის რამდენიმე მცდელობას ჰქონდა ადგილი. ეს მცდელობები ეყრდნობოდა მონაცემთა სხვადასხვა ბაზებს და იყენებდა მოსახლეობის ტენდენციებისა და დემოგრაფიულ სტატისტიკაში არსებული უზუსტობების კორექციის მექანიზმებს. *ცხრილში 1.1* ერთმანეთთან შედარებულია მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ოთხი სხვადასხვა წყაროდან მიღებული მონაცემები: საქსტატის მიერ მოწოდებული ოფიციალური მონაცემები; ილიას უნივერსიტეტის პროფესორის გ. წულაძის მიერ შეგროვილი მონაცემები; მოსახლეობის 2002 და 2014 წლის საყოველთაო აღწერებს შორის პერიოდისათვის, ეროვნული და რეგიონალური სტატისტიკის გადაანგარიშების შედეგები, რომლებიც ხშირად არის გამოყენებული წინამდებარე მონოგრაფიაში; და გაეროს მოსახლეობის განყოფილების მიერ მომზადებული „მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივების“ განახლებულ ვერსიაში (2017 წლის გადახედვა) შესული მონაცემები. პირველი ორი წყაროს მონაცემებისგან განსხვავებით (გარდა საქსტატის 2015 წლის მონაცემებისა), გაეროს მოსახლეობის განყოფილების მიერ მოწოდებულ მონაცემებში გათვალისწინებულია მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის წინასწარი შედეგები.

ცხრილის 1.1 ერთ-ერთ თვალშისაცემ მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ მოსახლეობის 2002 წლის აღწერის მონაცემები სხვაგვარად არის წარმოდგენილი. საქსტატი არ ახდენს მოსახლეობის აღწერის მონაცემების კორექტირებას მაშინ, როცა გაეროს მოსახლეობის განყოფილების ანგარიში მონაცემებს ზრდის 5,9 პროცენტით, ითვალისწინებს რა აფხაზეთისა (საქართველო) და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის (საქართველო) მონაცემებს, ვინაიდან მიიჩნევს ამ რეგიონებს საქართველოს ტერიტორიის ნაწილად, 1993 წლის შემდეგაც.[1] წულაძე,

1 აფხაზეთის (საქართველო) მოსახლეობასთან დაკავშირებული ამჟამინდელი მონაცემები არ არის დაზუსტებული. მოსახლეობის 1989 წლის აღწერის თანახმად, აფხაზეთში (საქართველო) მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენდა 525 061. 2003 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგად, აფხაზეთის (საქართველო) მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 215 972, თუმცა აღნიშნულ მონაცემს არ აღიარებს საქართველოს მთავრობა. საქსტატის მიერ განხორციელებული ბოლო ორი ამგვარი შეფასების მიხედვით, აფხაზეთის (საქართველო) მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა დაახლ. 179 000 მოსახლე 2003 წელს და დაახლ. 178 000 მოსახლე - 2005 წელს. კრიზისების საერთაშორისო ჯგუფის შეფასებით, აფხაზეთის (საქართველო) მოსახლეობა 2006 წელს შეადგენდა 157 000-დან 190 000-მდე კაცს, ხოლო გაეროს მოსახლეობის განყოფილების შეფასებით, აფხაზეთის (საქართველო) მოსახლეობა 1998 წელს შეადგენდა 180 000-დან 220 000-მდე კაცს. 2011 წელს ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ჩატარებული მოსახლეობის უკანასკნელი აღწერის შედეგად, აფხაზეთის (საქართველო) მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 240 705, აქედან 122 069-ს შეადგენდნენ ეთნიკურად აფხაზებს. სამხრეთ ოსეთის მოსახლეობასთან დაკავშირებული ამჟამინდელი მონაცემები კიდევ უფრო დაუზუსტებელია, თუმცა ყველაზე ხშირად სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის რიცხოვნობის შეფასებისას 70 000 სახელდება. 2017 წელს გაეროს მოსახლეობის განყოფილების მიერ წარმოებული შეფასების თანახმად, საქართველოს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა 2011 წელს 3,992 მილიონს შეადგენდა (იხ. ცხრილი 1), აქედან აფხაზეთსა (საქართველო) და ცხინვალი რეგიონში/სამხრეთ ოსეთში (საქართველო) მცხოვრები პირების რაოდენობამ 220 000-ზე ნაკლები შეადგენდა.

ცხრილი 1.1: საქართველოს მოსახლეობა 1990–2020 წწ. (ათასებში) – შეფასებები და პროგნოზები

წელი	საქსტატი	წულაძე	გადაანგარიშება[2]	გაეროს მოსახლეობის განყოფილება (2017 წლის გადახედვა)[3]		
				დაბალი	საშუალო	მაღალი
1990	5 424	5 178			5 410	
1991	5 453	5 206			5 371	
1992	5 467	5 216			5 298	
1993	5 346	5 078			5 205	
1994	4 930	4 625			5 108	
1995	4 794	4 475			5 020	
1996	4 675	4 342			4 946	
1997	4 558	4 213			4 881	
1998	4 505	4 152			4 825	
1999	4 470	4 112			4 773	
2000	4 435	4 073			4 722	
2001	4 401	4 034			4 672	
2002	4 372	4 001	3 991		4 625	
2003	4 343	3 966	3 966		4 579	
2004	4 315	3 931	3 938		4 533	
2005	4 322	3 899	3 917		4 487	
2006	4 401	3 869	3 888		4 439	
2007	4 395	3 839	3 873		4 391	
2008	4 382	3 814	3 848		4 341	
2009	4 385	3 797	3 829		4,288	
2010	4 436	3 790	3 800		4 232	
2011	4 469	3 786	3 774		4 171	
2012	4 498	3 777	3 739		4 108	
2013	4 484	3 768	3 718		4 046	
2014	4 491		3 717		3 992	
2015	3 714		3 714		3 952	
2016				3 938[4]	3 925	3 947
2017				3 922	3 912	3 943
2018				3 905	3 907	3 939
2019				3 887	3 904	3 935
2020				3 867	3 899	3 930

წყარო: გაეროს მოსახლეობის ფონდი (განახლებული და გავრცობილი ვერსია), 2015 წელი: ცხრილი 4

2 მოცემულ მომენტში, საქართველოს გეოგრაფიული საზღვრების გათვალისწინებით და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის (საქართველო) და კოდორის ხეობის ჩათვლით 2009 წლამდე.

3 საქსტატისა და წულაძის მონაცემები ეყრდნობა ყოველი წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებულ ვითარებას; გადაანაგარიშება – ყოველი წლის 17 იანვრის მდგომარეობას; გაეროს მოსახლეობის განყოფილების შეფასებები და პროგნოზები – ყოველი წლის 1 ივლისის მდგომარეობას; ეს უკანასკნელი ასევე მოიცავს აფხაზეთისა (საქართველო) და ცხინვალი რეგიონის/სამხრეთ ოსეთის (საქართველო) მონაცემებს მაშინ, როცა პირველი ორი წყარო შემოიფარგლება მხოლოდ საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიების მონაცემებით.

4 გაეროს მოსახლეობის განყოფილების მიერ მოწოდებული დაბალი მაჩვენებლები 2016 და 2017 წლებისათვის აღემატება იმავე პერიოდისათვის განსაზღვრულ საშუალო მაჩვენებლებს, რაც შესაძლებელია უკავშირდებოდეს მეთოდოლოგიაში ცდომილებას ან ინფორმაციის განახლებისას გაპარულ შეცდომას.

მეორე მხრივ, იყენებს მონაცემთა შეფასების მეთოდს, რაც მონაცემთა 8,5 პროცენტით შემცირებაში გამოიხატება, ითვალისწინებს რა გარე მიგრაციასთან დაკავშირებულ ზემოაღნიშნულ პრობლემას.

მე-3 სვეტში წარმოდგენილია გადაანგარიშების მონაცემები, რომელიც მიღებულია მოსახლეობის ეროვნული და რეგიონალური სტატისტიკის რეტროაქტიული კორექტირების შედეგად. გადაანგარიშება მიიჩნევს, რომ მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები რეალურ ვითარებას ასახავს, ხოლო მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები უნდა ჩასწორდეს და მოხდეს მათი 8,7 პროცენტიანი შემცირება, შინამეურნეობის ინტეგრირებული კვლევის შედეგად მიღებული შედეგების საფუძველზე. გადაანგარიშების ზუსტი მეთოდოლოგია დეტალურად არის აღწერილი ცალკე სახელმძღვანელოში. თუმცა ამ ეტაპზე საკმარისია აღვნიშნოთ, რომ სოფლის მოსახლეობის აღწერისას მეტი უზუსტობა იქნა დაშვებული, ვიდრე ქალაქის მოსახლეობის აღწერისას. შესაბამისად, გამოყენებული 8,7 პროცენტიანი კორექტირება, ფაქტობრივად, წარმოადგენს ქალაქის მოსახლეობის აღწერის შედეგების კორექტირების შედარებით დაბალი კოეფიციენტისა (1,7 პროცენტი) და სოფლის მოსახლეობის აღწერის შედეგების კორექტირების გაცილებით მაღალი კოეფიციენტის (16,4 პროცენტი) საშუალო არითმეტიკულს. განსხვავებული კორექტირების კოეფიციენტები ემყარება, ერთი მხრივ, 2002 წლის შინამეურნეობის ინტეგრირებული კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემს ქვეყნის დონეზე, ხოლო, მეორე მხრივ, იმ მოსაზრებას, რომ მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით განსაზღვრული ურბანიზაციის მაჩვენებელი (52,3 პროცენტი) არ ასახავდა ისტორიულ ტენდენციებს და იყო მეტისმეტად დაბალი და, რომ ამ ეტაპისთვის ურბანიზაცია, სავარაუდოდ, დაახლ. 56,3 პროცენტს შეადგენდა. ეს უკანასკნელი აღებული იქნა, როგორც მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერით მიღებული, ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მონაცემების კორექტირების მეორე კრიტერიუმი.

მოსახლეობის 2002 წლის აღწერის გარდა, სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემაში დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობების კორექტირების მეთოდს მიმართავს წულაძეც, როგორც ეს ნაჩვენებია *გრაფიკზე 1.1.* მოსახლეობის სიტუაციური ანალიზის (გაეროს მოსახლეობის ფონდის წარმომადგენლობა საქართველოში, 2015 წ.) თანახმად, 1999, 2005 და 2010 წლებში საქართველოში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევები მნიშვნელოვან შეუსაბამობებს ადგენს ბავშვთა მოკვდაობის შესახებ სტატიკის ეროვნულ მონაცემებსა და კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს შორის. განსაკუთრებით ეს ეხება 1999 წელს ჩატარებულ ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევას. ამ კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელი ყოველ 1 000 ცოცხლად დაბადებულზე შეადგენდა 41,6 შემთხვევას, ხოლო 5 წლამდე ბავშვებში, ყოველ 1 000 ბავშვზე 45,3 შემთხვევას. სამოქალაქო რეესტრის მონაცემები კი ზემოაღნიშნული მაჩვენებლების დაახლ. ნახევარს შეადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევებით არ დგინდება მნიშვნელოვანი სხვაობები დაბადების რიგითობის, დედის ასაკისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით დაბადების რეგისტრაციის თვალსაზრისით, აღნიშნული კვლევებით დაბადების არარეგისტრირებული შემთხვევების სიმრავლე გამოვლინდა კახეთში, გურიასა და ქვემო ქართლში, ასევე განათლების დაბალი დონის მქონე მოსახლეობასა და ყველაზე დაბალი ქონებრივი კვინტილის მქონე მოსახლეობაში. მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ დიდი სხვაობა არსებობს სამშობიარო სახლებში დაბადებულ ბავშვთა რეგისტრაციის მაჩვენებელსა (ბავშვთა 97 პროცენტზე მეტი რეგისტრირებულია) და სახლში ან სხვაგან დაბადებულ ბავშვთა რეგისტრირების მაჩვენებელს შორის, რომელთა დაახლ. ერთი მესამედი არარეგისტრირებულია. ანალოგური დასკვნები გაკეთდა საქართველოში 2011 წელს ჩატარებული კეთილ-

დღეობის მონიტორინგის კვლევის საფუძველზე (გაეროს ბავშვთა ფონდი, 2012 წ.), რომლის ფარგლებშიც დამატებით გამოვლინდა დაბადებისას ბავშვთა რეგისტრაციის სიმცირე ეთნიკურად სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობაში და ასევე, შიდა ქართლის მოსახლეობაში. ამავე კვლევამ მნიშვნელოვანი გაუმჯობესება დაფიქსირა ზოგადად დაბადებისას ბავშვთა რეგისტრაციის თვალსაზრისით. კერძოდ, 2005 წლის მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევით დაფიქსირებული დაბადების რეგისტრაციის მაჩვენებელი გაიზარდა 91,9 პროცენტიდან და 2011 წელს ჩატარებული ანალოგური კვლევის ფარგლებში 98,5 პროცენტი აჩვენა. აგრეთვე, დაბადების რეგისტრაციის მაჩვენებელი გაიზარდა 2005 წელს საქართველოში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის შედეგად დაფიქსირებული 92,9 პროცენტიდან და 2010 წელს ჩატარებული ანალოგური კვლევის შედეგად 97,3 პროცენტამდე ზრდა აჩვენა. აღნიშნული ადასტურებს ბოლო წლებში დაბადების რეგისტრაციის თვალსაზრისით სიტუაციის გაუმჯობესებას საქართველოში. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერამ გამოავლინა, რომ ამჟამად, საქართველოში, დაბადების არასრული აღრიცხვის პრობლემის ნაცვლად დგას დაბადების ფაქტების ზედმეტად აღრიცხვა.

მოსახლეობის აღწერა შესაძლებლობას იძლევა მოხდეს გარკვეული მაჩვენებლების შედარება, როგორიცაა 10 წლამდე ბავშვების რიცხოვნობის შედარება ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლებთან თანმიმდევრულობის შეფასებისა და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირების მიზნით. გარდა ამისა, მოსახლეობის აღწერის შედეგად დგინდება შიდა და გარე მიგრაციის მაჩვენებლები, რომელთა მოპოვებაც შეუძლებელია სხვა წყაროებიდან. წინამდებარე მონოგრაფია ეყრდნობა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებს, რომლებსაც მიიჩნევს სარწმუნოდ, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც მონაცემებში უზუსტობები წინასწარ არის განხილული. შესაბამისად, წინამდებარე მონოგრაფიაში კორექტირება ძირითადად შეეხება ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლების რეგისტრაციის სისტემის უწყვეტობას. ამასთან, როგორც ადრე აღვნიშნეთ, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერიდან და წინა პერიოდში შინამეურნეობის გამოკვლევიდან მიღებული მონაცემების საფუძველზე დგინდება,

გრაფიკი 1.1: სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემაში აღრიცხული, წულაძის მიერ კორექტირებული შობადობისა და მოკვდაობის პროცენტული მაჩვენებლები



წყარო: წულაძე და სხვები, 2013 წ. და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) წარმომადგენლობა საქართველოში, 2015 წ.

რომ მოსახლეობის 2002 წლის აღწერამ ფაქ-ტიურზე მეტი მოსახლეობა დააფიქსირა.

განხილული თემატიკის თვალსაზრისით, წინამდებარე მონოგრაფიაში ყურადღება გამახვილებულია შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის ტენდენციებზე და იმ გავლენაზე, რომელსაც აღნიშნული ტენდენციები ახდენს მოსახლეობის საერთო რაოდენობაზე და რეგიონების მიხედვით მოსახლეობის განა-წილებაზე. მოსახლეობის ასაკობრივი გა-ნაწილება ზოგადად იქნება განხილული, ვინაიდან ამ საკითხს ორი მონოგრაფია ეძღვნება, რომლებშიც დეტალურად არის განხილული მოსახლეობის დაბერებასთან (De Bruijn & Chitanava, 2017) და ახალგაზრდებთან დაკავშირებული საკითხები (Eelens, 2017). რაც შეეხება შობადობას, წინამდებარე მო-ნოგრაფიაში ყურადღება ძირითადად გამახ-ვილებულია საერთო მაჩვენებლებზე და საქართველოს რეგიონების მიხედვით მათ განაწილებაზე. კავკასიის რეგიონში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს - სქეს-თა რაოდენობრივი თანაფარდობას დაბა-დებისას და მის დარღვევას ასევე ცალკე მონოგრაფია ეძღვნება (Guilmote & Tafuro, 2017).

საჭიროა აღინიშნოს, რომ მონაცემების უკან გადაანგარიშებისას არ არსებობს პროცედურა, რომელიც მოგვცემს მტკიცე გარანტიას იმისა, რომ აბსოლუტური სი-ზუსტით მოხდება გასული 25 წლის მან-ძილზე საქართველოს მოსახლეობასთან დაკავშირებული ტენდენციების და მისი კომ-პონენტების აღდგენა. ის, რისი გაკეთებაც არის შესაძლებელი ამ მიმართულებით, არის ყველაზე სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით რეალობასთან მიახლოებული ვარაუდების დაშვება და ყველაზე თანამიმდევრული და გამჭვირვალე მეთოდოლოგიის გამოყენება. სწორედ აღნიშნულ მიზანს ემსახურება წინამდებარე მონოგრაფია.

2. მოსახლეობის რიცხოვნობა და მათი განაწილება მოსახლეობის ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით რეგიონულ დონეზე

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ერთ-ერთ ძირითად მიღწევად მიიჩნევა ის, რომ დადასტურდა ზოგიერთი ქართველი დემოგრაფის (Tsuladze et al, 2013) პროგნოზი, რომლის თანახმადაც საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება, ნაცვლად იმისა, რომ გაიზარდოს და მიაღწიოს დაგეგმილ 5 მილიონს, რის შესახებაც პროგნოზი 3 წლის წინ გაკეთდა. *ცხრილში 2.1* შესულია ინფორმაცია ქვეყნის მასშტაბით საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ, ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით, 2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით.

შევადაროთ გადაანგარიშების მონაცემები მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებულ მონაცემებს (*იხ. ცხრილი 2.2*).

როგორც წინა თავში აღვნიშნეთ, გადაანგარიშება ეფუძნება 2002 წელს ჩატარებული შინამეურნეობის ინტეგრირებული კვლევის შედეგად ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის შესახებ მიღებულ მონაცემებს და არა 2002 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგებს. ეს განპირობებულია იმ აღიარებული და საფუძვლიანი ეჭვით, რომ მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემები საშუალოდ 8,7 პროცენტით მეტით არის დათვლილი (აღნიშნული ცდომილება 1,7 პროცენტს შეადგენს ქალაქის მოსახლეობის შემთხვევაში და 16,4 პროცენტს – სოფლის მოსახლეობაში).

ცხრილი 2.1: საქართველოს მოსახლეობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით.

ასაკობრივი ჯგუფი	მამაკაცი	ქალი
0–4	132 700	122 389
5–9	121 245	108 779
10–14	109 481	96 735
15–19	118 877	107 145
20–24	135 305	130 820
25–29	139 945	138 717
30–34	129 921	132 139
35–39	121 943	126 606
40–44	118 318	124 963
45–49	114 036	125 371
50–54	126 710	144 676
55–59	111,641	133 750
60–64	92 412	118 973
65–69	64 036	88 430
70–74	49 336	77 505
75–79	49 895	85 869
80–84	25 100	46 575
85–89	10 166	24 342
90–94	1 620	5 875
95–99	163	1 008
100+	14	273
სულ	**1 772 864**	**1 940 940**

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილი 2.2: საქართველოს მოსახლეობა ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით, მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგებისა და გადაანგარიშების შედეგების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	მოსახლეობის აღწერა		გადაანგარიშება	
	მამაკაცი	ქალი	მამაკაცი	ქალი
0–4	127 470	115 525	122 393	107 846
5–9	154 937	146 718	138 756	124 173
10–14	187 266	182 000	171 859	156 518
15–19	179 436	177 010	169 641	156 963
20–24	162 256	164 601	151 170	146 194
25–29	151 405	159 115	139 539	142 780
30–34	144 341	155 654	130 937	142 590
35–39	151 662	171 169	139 250	156 019
40–44	157 401	177 392	143 441	162 144
45–49	133 819	153 255	121 580	144 392
50–54	114 359	132 527	100 238	124 826
55–59	66 803	81 719	60 852	76 295
60–64	110 842	146 303	101 251	130 918
65–69	87 138	114 594	82 115	105 847
70–74	72 296	103 048	68 238	96 074
75–79	36 135	68 362	36 114	65 093
80–84	11 536	32 086	12 888	31 500
85–89[5]	4 828	15 169	8 168	22 671
90–94	1 522	5 338		
95–99	299	1 579		
100+	69	570		
არ არის მითითებული	1 236	1 086		
სულ	**2 057 056**	**2 304 820**	**1 898 430**	**2 092 843**

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერა და 2014–2002 წლების დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

5 ამ კატეგორიაში შესული გადაანგარიშების შედეგად მიღებული მონაცემები ეხება 85 წლის და უფროსი ასაკის პირებს.

ზემოაღნიშნული ასევე ვრცელდება სქესის და მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის მიხედვით 2002 წლის მონაცემების გადაანაგარიშების შედეგებზეც, რომელიც ნაჩვენებია *გრაფიკზე 2.1* (მარჯვნივ). როგორც იყო მოსალოდნელი, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ამსახველი ორივე პირამიდა ერთმანეთის მსგავსია და მათ შორის სხვაობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ მარჯვენა პირამიდის კონტურები უფრო გლუვია, ვიდრე მარცხენა პირამიდის, განსაკუთრებით პირამიდის კენწეროსთან ახლოს, სადაც ხანდაზმული მოსახლეობის სტრუქტურაა მოცემული. 2002 წლის მონაცემებით, მოსახლეობის რიცხოვნობის მკვეთრი კლება აღინიშნება 55-დან 60 წლამდე ასაკის მოსახლეობაში, რაც უკავშირდება მეორე მსოფლიო ომის პერიოდში სამოქალაქო პირების მოკვდაობის მაღალ დონესა და შობადობის დაბალ დონეს. ეს ასაკობრივი კატეგორია არ მოიცავს იმ დაახლ. 300 000 ქართველ სამხედრო პირს,

გრაფიკი 2.1: მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა, ერთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით; არაკორექტირებული მონაცემები (მარცხნივ) და გადაანგარიშების შედეგად მიღებული მონაცემები (მარჯვნივ); მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2002 წელი



წყარო: მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერა და გადაანგარიშება

გრაფიკი 2.2: მოსახლეობის სქესობრივ-ასაკობრივი პირამიდა; საქართველო, მოსახლეობის საყოველთაო აღწერა, 2014 წელი



წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

რომლებიც საბჭოთა კავშირის სამხედრო სამსახურში დაიღუპნენ მეორე მსოფლიო ომის დროს, ვინაიდან 2002 წლისათვის მათი ასაკი 80 წელს ზევით იქნებოდა.

გრაფიკზე 2.2 ნათლად ჩანს შობადობის დონის ზრდის ტენდენცია, რაც გამოხატულია პირამიდის ფუძის გაფართოებით, რაც შეესაბამება 7-8 წლამდე ასაკის მოსახლეობას.

მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის ზუსტი რიცხოვნობა სადავოა, *ცხრილებში 2.1* და *2.2* აშკარად ჩანს საქართველოს მოსახლეობის დაბერების ტენდენცია, თუმცა არა წინასწარ პროგნოზირებული მასშტაბით. 60 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად დაფიქსირებული 18,6 პროცენტიდან (გადაანგარიშების შედეგად მიღებული 19,1 პროცენტიდან) 20,0 პროცენტამდე გაიზარდა მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების თანახმად. აღნიშნული პროცესი მომავალი ათწლეულების მანძილზე გაგრძელდება. მსოფლიო მოსახლეობის დაბერების ანგარიშის (გაერო, 2013 წ. ბ) თანახმად, მოსახლეობის დაბერების თვალსაზრისით, საქართველო 201 ქვეყნიდან და ტერიტორიიდან 37-ე ადგილზეა და უსწრებს ავსტრალიასა და აშშ-ს. მოსახლეობის მედიანური ასაკი მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად დაფიქსირებული 34,5 წლიდან (გადაანგარიშების შედეგად მიღებული 34,9 წლიდან) 37,7 წლამდე გაიზარდა მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგების თანახმად. გაეროს მოსახლეობის განყოფილების 2017 წლის კვლევის თანახმად, ეს ესადაგება 2015 წლისათვის რეგიონის სხვა ქვეყნებში დაფიქსირებულ მონაცემებს: სომხეთში მედიანური ასაკი შეადგენდა 33,9 წელს; აზერბაიჯანში – 30,3 წელს; ბულგარეთში – 43,5 წელს; მოლდავეთში – 35,6 წელს; რუმინეთში – 41,3 წელს; რუსეთში – 38,7 წელს; თურქეთში – 29,9 წელს და უკრაინაში – 40,3 წელს.

ასაკობრივი სტრუქტურის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვაობები არსებობს საქართველოს რეგიონებს შორის. არსებული მონაცემებით, მოსახლეობის დაბერება ყველაზე მეტად გამოხატულია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, სადაც მოსახლეობის დაახლ.

ცხრილი 2.3: საქართველოს მოსახლეობა რეგიონების, სქესისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით, 2014 წლის აღწერის შედეგები

	მამაკაცი	**ქალი**	**საქალაქო დასახლებები**	**სასოფლო დასახლებები**
თბილისი	502 890	605 827	1 078 297	30 420
აჭარა	162 928	171 025	184 774	149 179
გურია	54 660	58 690	31 904	81 446
იმერეთი	258 598	275 308	258 510	275 396
კახეთი	156 154	162 429	71 526	247 057
მცხეთა-მთიანეთი	47 645	46 928	21 259	73 314
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	15 584	16 505	6 970	25 119
სამეგრელო და ზემო სვანეთი	159 070	171 691	129 391	201 370
სამცხე-ჯავახეთი	78 521	81 983	54 663	105 841
ქვემო ქართლი	208 532	215 454	180 118	243 868
შიდა ქართლი	128 282	135 100	105 211	158 171
საქართველო	1 772 864	1 940 940	2 122 623	1 591 181

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

53 პროცენტი 50 წელს გადაცილებულია, რაც მიიჩნევა ქალების რეპროდუქციული ასაკის დასასრულად; ამავე რეგიონში ძირითადი რეპროდუქციული ასაკის (25-44 წლამდე ასაკის) მოსახლეობის წილი მოსახლეობის 20 პროცენტზე ნაკლებია. გურიაში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში, იმერეთში და კახეთში 50 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი ასევე მაღალია. თუმცა, ყველა ამ რეგიონში ასევე შედარებით მაღალია 25-44 წლამდე ასაკის მოსახლეობის წილიც, რაც რეგიონების მთლიანი მოსახლეობის 25-27 პროცენტს შეადგენს. თბილისში, აჭარასა და ქვემო ქართლში მოსახლეობა შედარებით ახალგაზრდაა. აქ 50 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი მთლიანი მოსახლეობის 30 პროცენტზე ნაკლებია.

ცხრილებში 2.3 და *2.4* ნაჩვენებია მოსახლეობის განაწილება საქართველოს რეგიონების მიხედვით, 2002 და 2014 წლების მოსახლეობის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით. *ცხრილში 2.5* ნაჩვენებია მოსახლეობის განაწილება რეგიონების მიხედვით, გადაანგარიშების თანახმად.

ცხრილებში 2.3, 2.4 და *2.5* შესული მონაცემების შედარებისას, საჭიროა შემდეგის გათვალისწინება:

- მონაცემები ითვალისწინებს კონკრეტული პერიოდისათვის არსებულ საქართველოს საზღვრებს. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის შეიარაღებული კონფლიქტის გამო საქართველოს მთავრობამ კონტროლი დაკარგა გარკვეულ ტერიტორიებზე, უნდა მივიჩნიოთ, რომ აღნიშნულ ცვლილებას ზემოქმედება არ მოუხდენია საქართველოს მთლიან მოსახლეობაზე, ვინაიდან ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებმა თითქმის მთელმა მოსახლეობამ 2008 წელს დატოვა ოკუპირებული ტერიტორიები და მათი დიდი უმრავლესობა იძულებით გადაადგილებულ პირებად იქცა. გადაანგარიშებისას მიჩნეულია, რომ ახალგორიდან დევნილი მოსახლეობა (ან მათი უმრავლესობა) დასახლდა ქ. მცხეთის შემოგარენში (სასოფლო დასახლებებში); შიდა ქართლის ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილი მოსახლეობის უმრავლესობა - ქ. გორის

ცხრილი 2.4: საქართველოს მოსახლეობა რეგიონების, სქესისა და საქალაქო - სასოფლო დასახლებების მიხედვით.[6]

	მამაკაცი	ქალი	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები
თბილისი	488 507	593 172	1 081 532	147
აჭარა	181 139	194 877	166 398	209 618
გურია	67 234	76 123	37 531	105 826
იმერეთი	331 908	367 758	323 792	375 874
კახეთი	195 041	212 141	84 827	322 355
მცხეთა-მთიანეთი	60 395	65 048	32 144	93 299
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	24 029	26 940	9 587	41 382
სამეგრელო და ზემო სვანეთი	219 818	246 282	183 133	282 967
სამცხე-ჯავახეთი	100 400	107 198	65 535	142 063
ქვემო ქართლი	241 285	256 245	186 505	311 025
შიდა ქართლი	150 999	163 040	113 812	200 227
კოდორის ხეობა	998	958	-	1 956
საქართველო	2 061 753	2 309 782	2 284 796	2 086 739

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერა

6 მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის ოფიციალურ შედეგები, კორექტირების გარეშე.

ცხრილი 2.5: საქართველოს მოსახლეობა რეგიონების, სქესისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით, მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემთა გადაანგარიშების შედეგები

	მამაკაცი	ქალი	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები
თბილისი	490 872	571 285	1 062 034	123
აჭარა	165 604	176 484	166 880	175 208
გურია	58 623	66 685	36 854	88 454
იმერეთი	300 270	331 856	317 954	314 172
კახეთი	168 004	184 732	83 298	269 438
მცხეთა-მთიანეთი	53 019	56 529	31 564	77 984
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	21 083	22 920	9 414	34 589
სამეგრელო და ზემო სვანეთი	197 916	218 433	179 831	236 518
სამცხე-ჯავახეთი	89 392	93 704	64 353	118 743
ქვემო ქართლი	220 924	222 186	183 142	259 968
შიდა ქართლი	131 881	147 238	111 760	167 359
კოდორის ხეობა	842	791	---	1 633
საქართველო	1 898 430	2 092 843	2 247 084	1 744 189

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე წარმოებული გადაანგარიშება

შემოგარენში (სასოფლო დასახლებებში), ხოლო კოდორის ხეობიდან დევნილი მოსახლეობის უმრავლესობა – ქ. ზუგდიდის შემოგარენში (სასოფლო დასახლებებში), სამეგრელო და ზემო სვანეთის რეგიონში.

- 2007 წელს, მცხეთის მუნიციპალიტეტის ნაწილი (მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად – 18 281 კაცი, ხოლო მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად –17 188 კაცი) და ქვემო ქართლში, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ნაწილი (მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად – 21 333 კაცი, ხოლო მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად – 19 647 კაცი) თბილისს შეუერთდა. 2012 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შიდა საზღვრები გარკვეულწილად შეიცვალა, თუმცა ამას ზემოქმედება არ მოუხდენია რეგიონების მიხედვით მოსახლეობის განაწილებაზე.
- როგორც ზევით აღვნიშნეთ, კორექტირების სხვადასხვა კოეფიციენტები იქნა გამოყენებული ქალაქისა და სოფლის მოსახლეობასთან მიმართებაში (ქალაქის მოსახლეობა დაკორექტირდა 1,8 პროცენტით, ხოლო სოფლის – 16,4 პროცენტით). აღნიშნული კორექტირების შედეგად ურბანიზაციის დონემ შეადგინა 56,3 პროცენტი, როგორც ეს მოცემულია *ცხრილში 2.5*, მაშინ როცა *ცხრილში 2.4* ანალოგური მაჩვენებელი შეადგენს 52,3 პროცენტს. *ცხრილში 2.5* შესული მონაცემები უფრო მეტად შეესაბამება ქვეყანაში დაფიქსირებულ, ისტორიულ ტენდენციას, განსაკუთრებით 1989 და 2014 წლებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგების გათვალისწინებით.
- კიდევ ერთი შედეგი, რომელიც ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის რაოდენობების კორექტირების სხვადასხვა კრიტერიუმების გამოყენებას უკავშირდება არის ის, რომ იმ რეგიონებში, სადაც უმეტესად სასოფლო ტიპის დასახლებებია, როგორიცაა კახეთი ან რაჭა-ლეჩხუმი და

ქვემო სვანეთი, კორექტირების შედეგად მოსახლეობის რიცხოვნობა უფრო მეტად შემცირდა, ვიდრე ძირითადად ურბანული ტერიტორიებით დაკომპლექტებული რეგიონების შემთხვევაში, მაგ., როგორიცაა თბილისი. შედეგად, *ცხრილებში 2.5* და *2.4* რეგიონების მიხედვით მოსახლეობის განაწილების პროცენტული მაჩვენებლები ერთმანეთისაგან განსხვავდება.

ცხრილში 2.6 ნაჩვენებია რეგიონების, სქესისა და საქალაქო-სასოფლო დასახლებების მიხედვით მოსახლეობის რიცხოვნობის პროცენტული ცვლილება, რაც მიიღება *ცხრილებში 2.3* და *2.4* შესული მონაცემების ერთმანეთთან შედარებით. საჭიროა იმის გათვალისწინება, რომ ზოგიერთ რეგიონში, როგორიცაა რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი ან სამეგრელო და ზემო სვანეთი, დაფიქსირებული ცვლილების მასშტაბები ნაკლებად სარწმუნოა; ამგვარი მასშტაბის ცვლილება მხოლოდ მასიური მიგრაციის შედეგი შეიძლება იყოს, რისი გაზომვაც შეუძლებელია. აღნიშნულის უფრო რეალური ახსნა შესაძლოა იმაში მდგომარეობს, რომ მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის დროს ადგილი ჰქონდა ცდომილებას, რომლის შედეგადაც მოსახლეობის ფაქტობრივ რაოდენობასთან შედარებით გაცილებით მეტი კაცი იქნა დაფიქსირებული, იმ მიზეზების გამო, რომელზეც წინამდებარე ანგარიშის შესავალში გვქონდა საუბარი, კერძოდ, შინამეურნეობების წევრებად იყვნენ აღწერილი ის პირებიც, რომლებიც ფაქტობრივად საზღვარგარეთ ცხოვრობდნენ.

ცხრილში 2.7 მოცემულია პროცენტული ცვლილება, რომელიც ეფუძნება *ცხრილებში 2.3* და *2.5* შესული მონაცემების შედარებას. აღნიშნული შედარება უფრო შედეგიანია, ვინაიდან ამგვარად ხდება იმ არაზუსტი ტენდენციების გაბათილება, რომლებიც უკავშირდება მოსახლეობის აღწერების დროს სხვადასხვა ტერიტორიების მოცვას და, ასევე, რეგიონების საზღვრების ცვლილებას. *ცხრილის 2.7* თანახმად, 2002 წლიდან 2014

ცხრილი 2.6: მოსახლეობის რიცხოვნობის პროცენტული ცვლილება რეგიონების, სქესისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით, 2002 წელსა და 2014 წელს ჩატარებულ მოსახლეობის აღწერებს შორის

	მამაკაცი	ქალი	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები
თბილისი	2,94	2,13	-0,30	----[7]
აჭარა	-10,05	-12,24	11,04	-28,83
გურია	-18,70	-22,90	-14,99	-23,04
იმერეთი	-22,09	-25,14	-20,16	-26,73
კახეთი	-19,94	-23,43	-15,68	-23,36
მცხეთა-მთიანეთი	-21,11	-27,86	-33,86	-21,42
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-35,15	-38,73	-27,30	-39,30
სამეგრელო და ზემო სვანეთი	-27,64	-30,29	-29,35	-28,84
სამცხე-ჯავახეთი	-21,79	-23,52	-16,59	-25,50
ქვემო ქართლი	-13,57	-15,92	-3,42	-21,59
შიდა ქართლი	-15,04	-17,14	-7,56	-21,00
საქართველო[8]	-14,01	-15,97	-7,10	-23,75

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2002 და 2014 წლების აღწერები

7 თბილისის რეგიონში სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა, მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, იმდენად მცირე იყო, რომ შედარება რეალურ სურათს არ მოგვცემს.

8 მოიცავს მოსახლეობის 2002 წლის მონაცემების კოდორის ხეობიდან

წლამდე მონაკვეთში, მხოლოდ თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში მოხდა მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა (მათ შორის, საზღვრების ცვლილებასთან დაკავშირებული მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა და კლებაც). მოსახლეობის რიცხოვნობის ყველაზე მასშტაბური შემცირება ფიქსირდება რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის და სამეგრელო და ზემო სვანეთის რეგიონებში. ის ფაქტი, რომ მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის რეგიონებში მამაკაცების რიცხოვნობის ზრდა აღემატება ქალების რიცხოვნობის ზრდას, შესაძლებელია უკავშირდებოდეს აღნიშნულ პერიოდში სქესის მიხედვით შერჩევით მიგრაციას.

მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის ერთ-ერთი ინდიკატორი, რომელმაც ყურადღება მიიპყრო უკანასკნელ წლებში, არის 15-64 წლის ასაკის მოსახლეობის, ანუ პოტენციურად ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის პროცენტული წილი მთლიან მოსახლეობაში. ეგრეთ წოდებული „დემოგრაფიული დივიდენდი" (Bloom, Canning & Sevilla, 2003) მიჩნეულია აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში (კორეა, ტაივანი, ტაილანდი და ა.შ.) ეკონომიკური ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორად და შესაძლებელია სხვა ქვეყნებისთვისაც შეიცავდეს ეკონომიკური ზრდის პერსპექტივას.

როგორც ნაჩვენებია *გრაფიკზე 2.3*, მთლიან მოსახლეობაში 15-64 წლის ასაკობრივი ჯგუფის პროცენტული წილი, ქვეყნის დონეზე წარმოებული გადაანგარიშების თანახმად, ჯერ კიდევ 2002 წელს საკმაოდ მაღალი იყო და კიდევ უფრო გაიზარდა 2005 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში. თუმცა ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ აღნიშნული ტენდენცია დადებითად აისახა საქართველოს ეკონომიკაზე. როგორც ბლუმი, კანინგი და სევილა თავიანთ ნაშრომში აღნიშნავენ, დემოგრაფიული დივიდენდი ავტომატურად არ განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას, არამედ საჭიროებს კონკრეტული ხელშემწყობი ფაქტორების არსებობას, როგორიცაა მაგ., სრული დასაქმება. ის სიტუაციამ, რომელშიც საქართველო აღმოჩნდა,

ცხრილი 2.7: მოსახლეობის რიცხოვნობის პროცენტული ცვლილება რეგიონებისა და სქესისა მიხედვით, 2002 და მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერებს შორის, 2002 წლის მოსახლეობის რიცხოვნობის გადაანგარიშების მიხედვით

	მამაკაცი	**ქალი**	**საქალაქო დასახლებები**	**სასოფლო დასახლებები**
თბილისი	2,45	6,05	1,53	----- [9]
აჭარა	-1,62	-3,09	10,72	-14,86
გურია	-6,76	-11,99	-13,43	-7,92
იმერეთი	-13,88	-17,04	-18,70	-12,34
კახეთი	-7,05	-12,07	-14,13	-8,31
მცხეთა-მთიანეთი	-10,14	-16,98	-32,65	-5,99
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	-26,08	-27,99	-25,96	-27,38
სამეგრელო და ზემო სვანეთი	-19,63	-21,40	-28,05	-14,86
სამცხე-ჯავახეთი	-12,16	-12,51	-15,06	-10,87
ქვემო ქართლი	-5,61	-3,03	-1,65	-6,19
შიდა ქართლი	-2,73	-8,24	-5,86	-5,49
საქართველო**	-6,61	-7,26	-5,54	-8,77

წყარო: გადაანგარიშება

9 თბილისის რეგიონში სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობა, მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, იმდენად მცირე იყო, რომ შედარება რეალურ სურათს არ მოგვცემს.

კერძოდ სრული დასაქმების არარსებობამ, აიძულა ეკონომიკურად აქტიური ასაკის მოსახლეობის დიდ ნაწილი სამუშაოს შოვნის იმედით წასულიყო მეზობელ ქვეყნებში, როგორიცაა რუსეთი და უკრაინა, სადაც სამუშაო ძალაზე მოთხოვნა შედარებით მაღალია, მიუხედავად იმისა, რომ ამ ქვეყნებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის პროცენტული წილი, საქართველოსთან შედარებით, მცირედით მაღალია.

ცხრილებთან 2.3, 2.4 და *2.5* დაკავშირებული კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც განმარტებას საჭიროებს არის სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა მამაკაცებისა და ქალების საერთო რაოდენობაში. მთელი ქვეყნის მასშტაბით, *ცხრილის 2.3* თანახმად, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა შეადგენს 91,3 მამაკაცს ყოველ 100 ქალზე. აღნიშნული მაჩვენებელი შედარებით დაბალია, თუმცა არ წარმოადგენს გამონაკლისს, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნებისათვის, სადაც მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებლებს შორის სხვაობა დიდია. გაეროს მოსახლეობის განყოფილების ანგარიშის (2007 წლის გადახედვა) თანახმად, 2015 წელს სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა სომხეთში შეადგენდა 88,7 მამაკაცს ყოველ 100 ქალზე, რუსეთში – 86,8 მამაკაცს ყოველ 100 ქალზე, ხოლო უკრაინაში – 85,9 მამაკაცს ყოველ 100 ქალზე. მეორე მხრივ, აზერბაიჯანში ანალოგური მაჩვენებელი შეადგენდა 99,1 მამაკაცს ყოველ 100 ქალზე, ხოლო თურქეთში – 96,8 მამაკაცს ყოველ 100 ქალზე. სხვა თუ არაფერი, საქართველოში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა მეტ-ნაკლებად დაბალანსდა მოსახლეობის 2002 წლის აღწერის შედეგებთან შედარებით, რომლის დროსაც ეს თანაფარდობა შეადგენდა 89,3 მამაკაცს ყოველ 100 ქალზე (90,7 მამაკაცს ყოველ 100 ქალზე, გადაანგარიშების თანახმად). უფრო საყურადღებოა ამ მხრივ რეგიონებს შორის დაფიქსირებული სხვაობა – ამ მხრივ ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს თბილისს – 83,0 მამაკაცი ყოველ 100 ქალზე, ხოლო ყველაზე მაღალი მცხეთა-მთიანეთს – 101,5 მამაკაცი ყოველ 100 ქალზე. მცხეთა-მთიანეთი ერთადერთი რეგიონია საქართველოში, სადაც მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად მამაკაცების რაოდენობა აღემატება ქალებისას. სხვა რეგიონებში სხვაობა შედარებით მცირეა და მერყეობს 92,5-დან 97-მდე.

გრაფიკი 2.3: ეკონომიკურად აქტიური (15–64 წლის) მოსახლეობის პროცენტული წილი, მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის გადაანგარიშების შედეგების მიხედვით[10]



წყარო: გადაანგარიშება

10 აღსანიშნია, რომ ცვლილება არც ისე დინამიური, როგორიც მოცემულ გრაფიკზე ერთი შეხედვით ჩანს, ვინაიდან ვერტიკალურ ღერძზე პროცენტები მოცემულია 66-დან 68-ის ფარგლებში.

3. შინამეურნეობის შემადგენლობა

ცხრილში 3.1 შესული მონაცემებით დგინდება, რომ საქართველოში ერთსულიანი შინამეურნეობების წილი ჯერ კიდევ საკმაოდ დაბალია, აღმოსავლეთ ევროპისა და, განსაკუთრებით, დასავლეთ ევროპის საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით. ამ მხრივ მნიშვნელოვანი ცვლილება არ აღინიშნება 2002 წლიდან მოყოლებული, რა დროსაც ერთსულიანი შინამეურნეობების პროცენტული წილი 16,3 პროცენტს შეადგენდა. საქართველოში შინამეურნეობის საშუალო ზომა არ არის დიდი. მთლიანობაში, სასოფლო დასახლებებში შინამეურნეობების ზომა მცირედით აჭარბებს საქალაქო დასახლებებში შინამეურნეობების ზომას, თუმცა სხვაობა საკმაოდ მცირეა. საშუალო ზომის შინამეურნეობებიდან ყველაზე მცირე შინამეურნეობებს ვხვდებით რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში. ამავე რეგიონში ერთსულიანი შინამეურნეობების პროცენტული წილიც ყველაზე მაღალია (34,1 პროცენტი სასოფლო დასახლებებში და 26,2 პროცენტი საქალაქო დასახლებებში). რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში შინამეურნეობების 61,8 პროცენტი ერთი ან ორსულიანია. შემთხვევითი არ არის ის, რომ ამ რეგიონში 50 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობის პროცენტული წილი ძალიან მაღალია (თითქმის 53 პროცენტი), ხოლო ოჯახის შექმნის ასაკის (25-44 წლის) მოსახლეობის პროცენტული წილი – 20 პროცენტზე ნაკლებია.

აღნიშნული რეგიონიდან ქვეყნის შიგნით მიგრაციული სალდო ყველაზე მაღალია საქართველოს მასშტაბით და ყოველ 1 000 მოსახლეზე თითქმის 6 პირს შეადგენს. მეორე და მესამე ადგილს იკავებს გურია და სამეგრელო-ზემო სვანეთი, სადაც აღნიშნული მაჩვენებელი ყოველ 1 000 მოსახლეზე დაახლ. 4,4 პირს შეადგენს. შედეგად, რაჭა-ლეჩხუმისა და ზემო სვანეთის მოსახლეობის რიცხოვნობა 2014 წელს 25 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე 2002 წელს. მეორე მხრივ, ეს რეგიონი, საქართველოს რეგიონებს შორის, ყველაზე მაღალი შობადობის დონით გამოირჩევა (შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი = 2,27 ბავშვი ყოველ ქალზე, 2014 წლის მონაცემებით), თუმცა ვინაიდან რეგიონში რეპროდუქციული ასაკის მოსახლეობის რაოდენობა მცირეა, მაღალი შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ვერ აბათილებს მიგრაციით გამოწვეულ მოსახლეობის შემცირებას. სულადობის მიხედვით, ყველაზე მრავალრიცხოვანი შინამეურნეობები ფიქსირდება აჭარის სოფლებში. აღნიშნულ რეგიონში ერთსულიანი შინამეურნეობების პროცენტული წილი ქვეყნის საშუალო მაჩვენებელზე გაცილებით დაბალია. საერთო ჯამში აღნიშნული მონაცემები დიდად არ განსხვავდება 2002 წლის მონაცემებისგან, რომელთა თანახმადაც, შინამეურნეობის საშუალო ზომა რეგიონების დონეზე მერყეობდა შინამეურნეობის 2,83 წევრიდან რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში – 4,08 წევრამდე აჭარაში.

გაეროს განვითარების პროგრამის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით (2013), საქართველოში შენამეურნეობების 33,8 პროცენტს არ ჰყავს 18 წლამდე ბავშვები; 24,9 პროცენტს ჰყავს ამ ასაკობრივი ჯგუფის მხოლოდ ერთი წევრი, 28,4 პროცენტს – ორი წევრი, ხოლო 12,9 პროცენტს სამი და მეტი. იძულებით გადაადგილებული პირებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შინამეურნეობებში, როგორც წესი, 18 წლამდე ასაკის ბავშვების რაოდენობა ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულ საშუალო რაოდენობასთან შედარებით ნაკლებია მაშინ, როცა მაღალმთიანი რეგიონების შინამეურნეობებში შედარებით მეტი ბავშვია (შინამეურნეობების 42,2 პროცენტს ჰყავს ორი ან მეტი შვილი). თუმცა აღსანიშნავია,

ცხრილი 3.1: შინამეურნეობის საშუალო ზომა რეგიონებისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით და ერთსულიანი შინამეურნეობების პროცენტული წილი

	სულ	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები	ერთსულიანი შინამეურნეობა
თბილისი	3,26	3,25	3,80	17,2
აჭარა	3,98	3,68	4,44	9,9
გურია	3,24	3,24	3,24	19,3
იმერეთი	3,15	3,16	3,13	20,2
კახეთი	3,22	3,04	3,27	20,1
მცხეთა-მთიანეთი	3,10	3,03	3,12	22,8
რაჭა-ლეჩხუმიდა ქვემო სვანეთი	2,49	2,73	2,43	32,6
სამეგრელო და ზემო სვანეთი	3,26	3,18	3,31	18,1
სამცხე-ჯავახეთი	3,64	3,35	3,81	14,5
ქვემო ქართლი	3,68	3,36	3,95	14,0
შიდა ქართლი	3,28	3,31	3,26	18,3
საქართველო	3,34	3,27	3,44	17,5

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლების საყოველთაო აღწერა

რომ ეს სხვაობა მაინც უმნიშვნელოა. შინამეურნეობები, რომელთაც ქალები უძღვებიან[11] შინამეურნეობების საერთო რაოდენობის 27,9 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული ტიპის შინამეურნეობების პროცენტული წილი შედარებით მაღალია (31,8 პროცენტი) იძულებით გადაადგილებულ შინამეურნეობებს შორის და იმ შინამეურნეობებს შორის, რომელთა თუნდაც ერთი წევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია (29,9 პროცენტი). მაღალმთიან რეგიონებში ამ ტიპის შინამეურნეობების პროცენტული წილი შედარებით დაბალია (20,6 პროცენტი).

11 აღნიშნული მოსახლეობის აღწერის დროს გამოყენებული იქნა ცნება „შინამეურნეობის პირველად ჩაწერილი პირი“, რაც არ გულისხმობს პირს, რომელიც პასუხისმგებელია ოჯახის რჩენასა და გადაწყვეტილებების მიღებაზე. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინფორმაციის დამუშავებისას გარკვეული სიფრთხილეა საჭირო.

4. მოსახლეობის ზრდა და მისი კომპონენტები

დემოგრაფიული ზრდის დაბალი ტემპი საქართველოში შედარებით ახალი ფენომენია. საბჭოთა პერიოდში, საქართველოში მოსახლეობის ზრდა წელიწადში 1 პროცენტს შეადგენდა (1950-1991 წწ.), რაც აღემატებოდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში დაფიქსირებულ ზრდის ტემპს, თუმცა ჩამოუვარდება ცენტრალური აზიის ქვეყნების, ალბანეთის, აზერბაიჯანის, მოლდავეთის, თურქეთის და სომხეთის მაჩვენებლებს. ეს ვითარება უმეტესწილად უცვლელად გრძელდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობამდე, თუმცა მიგრაციის თვალსაზრისით გარკვეული ცვლილებები აღინიშნა 1950-იან და 1960-იან წლებში, როდესაც მიგრაციის სალდოს დადებითი მაჩვენებელი დაფიქსირდა და 1970-იან და 1980-იან წლებში, როდესაც

ცხრილი 4.1: საქართველოს მოსახლეობა ყოველი კალენდარული წლის 17 იანვრის მდგომარეობით და მოცემული წლის 17 იანვრიდან მომდევნო წლის 17 იანვრამდე მოსახლეობის კომპონენტების ცვლილება

თარიღი	მოსახლეობა	შობადობა რეზიდენტთა შორის	მოკვდაობა	იმიგრაცია	ემიგრაცია
მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერა					
17 იანვარი, 2002 წ.	3 991 273	45 127	47 514	47 616	70 746
17 იანვარი, 2003 წ.	3 965 756	45 450	47 114	48 338	74 714
17 იანვარი, 2004 წ.	3 937 716	45 751	49 746	61 356	78 114
17 იანვარი, 2005 წ.	3 916 963	46 063	49 534	57 516	83 034
17 იანვარი, 2006 წ.	3 887 974	46 845	50 014	74 918	87 004
17 იანვარი, 2007 წ.	3 872 719	48 499	50 204	67 540	90 958
17 იანვარი, 2008 წ.	3 847 596	52 442	50 490	74 372	94 914
17 იანვარი, 2009 წ.	3 829 006	56 568	50 794	63 632	98 580
17 იანვარი, 2010 წ.	3 799 832	55 230	51 066	72 776	103 214
17 იანვარი, 2011 წ.	3 773 558	51 565	49 818	71 220	107 202
17 იანვარი, 2012 წ.	3 739 323	49 969	49 347	69 063	90 584
17 იანვარი, 2013 წ.	3 718 424	49 657	48 564	92 458	95 064
17 იანვარი, 2014 წ.[12]	3 716 911	41 783	39 610	66 304	71 584
მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა	3 713 804				
სულ		634 949	633 815	867 109	1 145 712

წყარო: 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

12 2014 წლისათვის შობადობის, მოკვდაობისა და მიგრაციის მონაცემები არ ასახავს მთელი წლის მონაცემებს, არამედ მხოლოდ 2014 წლის 17 იანვრიდან მოსახლეობის აღწერამდე (2014 წლის 5 ნოემბრამდე) პერიოდისათვის მოპოვებულ მონაცემებს.

მიგრაცია უარყოფითისკენ გადაიხარა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, ქვეყანაში მოსახლეობის შემცირებამ რეგიონის დონეზე უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია (საომარი მოქმედებების შედეგად აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების დაკარგვის გარეშეც კი). აღნიშნული ტენდენციის ძირითად მიზეზად მიიჩნევა შობადობის დონის შემცირება, თუმცა უფრო დიდ პრობლემას წარმოადგენს გარე მიგრაცია (Hakkert & Chitanava, 2016). გაეროს მოსახლეობის განყოფილების ანგარიშის (2017 წლის გადახედვა) თანახმად, 1990–2010 წლებში, საქართველო, მსოფლიოს ქვეყნებს შორის, ალბანეთისა და სომხეთის შემდეგ, მესამე ადგილს იკავებდა ქვეყნიდან (მათ შორის აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან) მოსახლეობის გადინების მაღალი მაჩვენებლის გამო, რომელმაც 1 მილიონს გადააჭარბა.

ცხრილში 4.1 შესულია ინფორმაცია მოსახლეობის 2002 წლის აღწერასა (2002 წლის 17 იანვარი) და მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერას (2014 წლის 5 ნოემბერი) შორის პერიოდში საქართველოში მოსახლეობის ცვლილებისა და მისი კომპონენტების შესახებ. გამარტივების მიზნით, მიჩნეულ იქნა, რომ ყოველი მომდევნო წლის 17 იანვრისათვის მოსახლეობაში დაფიქსირებული ცვლილება ანალოგიურია შესაბამისი კალენდარული წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების. ამგვარად, მოხდა სხვადასხვა თარიღებთან დაკავშირებით საჭირო კორექტირებებისა და შესწორებების თავიდან აცილება.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები მიჩნეულია სანდოდ, შესაბამისად, არ მომხდარა მიღებული შედეგების კორექტირება. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები ჩასწორდა 2002 წელს ჩატარებული შინამეურნეობის ინტეგრირებული კვლევის მონაცემებს საფუძველზე. ამგვარად ჩასწორდა მოსახლეობის საერთო რაოდენობა და რეგიონების მიხედვით მოსახლეობის განაწილება, სადაც ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მონაცემების კორექტირება სხვადასხვა კოეფიციენტის გამოყენებით განხორციელდა. შესაბამისად, 2002 წლის 17 იანვრისთვის ანუ მოსახლეობის აღწერის თარიღისთვის – საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობამ შეადგინა 3 991 273 ადამიანი. *ცხრილში 4.1* წარმოდგენილია მონაცემები, რომლებიც ერთმანეთთან ე.წ. ზრდის ბალანსით არის დაკავშირებული.[13]

ზრდის კომპონენტებზე დაკვირვების შედეგად კეთდება დასკვნა, რომ 2002 წლიდან მოყოლებული, ქვეყანაში დაბადებულთა რაოდენობის ზრდა ფიქსირდება, რომელიც პიკს აღწევს 2009 წელს, რა დროსაც შობადობის მაჩვენებელმა შეადგინა 56 568. 2009 წლიდან მოყოლებული შობადობა იკლებს და 49 650-ს აღწევს 2013 წელს. 2014 წელს დაფიქსირებული რაოდენობა – 41 806, შობადობის მკვეთრ შემცირებად შეიძლება აღიქვას, თუმცა ეს მაჩვენებელი მოიცავს მხოლოდ 2014 წლის 17 იანვრიდან 2014 წლის 5 ნოემბრამდე პერიოდს. იგივე ვრცელდება 2014 წლის მონაცემების დანარჩენ კომპონენტებზეც.

13 ცხრილში 4.1 მოცემულ მეორე სვეტში შესულია ქვეყნის მოსახლეობის საერთო რიცხოვნობა გადაანგარიშების მიხედვით. ყოველ მომდევნო მონაცემს შორის სხვაობას განაპირობებს თითოეული წლისათვის მოსახლეობის ცვლილების ოთხი კომპონენტი, ანუ მოსახლეობა (t+1) = მოსახლეობა (t) + დაბადებულები (t) – გარდაცვლილები (t) + იმიგრანტები (t) – ემიგრანტები (t)

მაგ., მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა 2002 წლის 17 იანვრიდან 2003 წლის 17 იანვრამდე პერიოდში განისაზღვრება შემდეგნაირად: 3 965 756 = 3 991 273 + 45 127 – 47 514 + 47 616 – 70 746. ფაქტობრივად, განტოლების ბოლო ოთხი კომპონენტის გამოანგარიშების შედეგი უცვლელად უარყოფითია, ვინაიდან ქვეყანაში მოსახლეობის რიცხოვნობის კლება მიმდინარეობდა, მოსახლეობის 2002 და 2014 წლების აღწერათშორის პერიოდში.

ცხრილში 4.1 ერთგვარად უცნაურად ჩანს ტერმინი „შობადობა რეზიდენტთა შორის“. აღნიშნულ ტერმინში „რეზიდენტთა“ გამოყენება უკავშირდება იმას, რომ ყოველ კალენდარულ წელს ქვეყანაში დაახლ. 15 პროცენტიანი სხვაობა ფიქსირდება ერთი მხრივ, იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი დაბადების რეგისტრში და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების (პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი ან მონაცემები) გაცემაზე პასუხისმგებელ განყოფილებაში რეგისტრირებულ ახალშობილთა რაოდენობასა და მეორე მხრივ, მოსახლეობის აღწერისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტატისტიკით აღრიცხული შესაბამისი ასაკის ბავშვების რაოდენობებს შორის. ჯერჯერობით ამ სხვაობას სარწმუნო ახსნა ვერ მოეძებნა, თუმცა სახელდება რამდენიმე სავარაუდო მიზეზი. გადაანგარიშებისა და წინამდებარე მონოგრაფიის მიზნებიდან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ დაბადებისას რეგისტრირებული ბავშვებისა და გაცემული პირადობის მოწმობების სიჭარბის მიზეზს წარმოადგენს ის, რომ საქართველოში ხდება არარეზიდენტი ბავშვების დაბადების რეგისტრირება, რომელთა დედებიც საქართველოში ჩამოდიან ბავშვის გასაჩენად, მშობიარობის დაბალი საფასურის გამო, ოჯახის მხრიდან დახმარების მისაღებად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ შემდგომ მათი შვილები სრულად შეძლებენ ისარგებლონ მოქალაქის სტატუსით. თუმცა აღნიშნული საკითხი შემდგომ კვლევას საჭიროებს სახელმწიფო სტრუქტურების მხრიდან, რომლებიც პასუხს აგებენ სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემაზე.

მოკვდაობის მაჩვენებლებთან დაკავშირებით ორი ტენდენცია იკვეთება. ერთი მხრივ, მოსახლეობის დაბერების შედეგს წარმოადგენს ის, რომ მეტი ადამიანის კვდება. მეორე მხრივ, ის ფაქტი, რომ ადამიანების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა იზრდება და მოსახლეობის რიცხოვნობა მცირდება, ამცირებს სიკვდილის შემთხვევათა რაოდენობას. *ცხრილის 4.1* თანახმად, 2002 წლიდან 2010 წლამდე დომინირებდა პირველი ტენდენცია, ხოლო 2010 წლიდან მოყოლებული – მეორე ტენდენცია.

ცხრილის 4.1 საფუძველზე იკვეთება ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია – კერძოდ, მოსახლეობის აღწერებს შორის პერიოდში, დაბადებულთა რაოდენობა მცირედით აჭარბებს გარდაცვლილთა რაოდენობას, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყნის ე. წ. ბუნებრივი მატების ანუ მოსახლეობის ზრდის კოეფიციენტი დადებითი იყო (0,0023 პროცენტს წელიწადში) აღწერათაშორის პერიოდში. თუ მხოლოდ 2010–14 წლებს განვიხილავთ, მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი შეადგენს 0,054 პროცენტს წელიწადში. ეს ნიშნავს, რომ ქვეყანაში არსებული მოსახლეობის შემცირების ტენდენცია არ არის განპირობებული დაბადებულთა რაოდენობის შემცირებით, არამედ ემიგრაციის ზრდით. გარე მიგრაციის გარეშე, საქართველოს მოსახლეობა გაიზრდებოდა, თუმცა, სავარაუდოდ, საკმაოდ ნელი ტემპით. აღნიშნული ტენდენცია იშვიათობას წარმოადგენს ევროპაში, ვინაიდან სულ უფრო მეტ ევროპულ ქვეყანაში იკვეთება მოსახლეობის უარყოფითი ბუნებრივი მატების ტენდენცია. *ცხრილში 4.2* აღნიშნული ტენდენცია ნაჩვენებია ე.წ. შობადობის და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტების საშუალებით, ე.ი. დაბადებულთა და გარდაცვლილთა რაოდენობა გაყოფილია მოცემული მომენტისათვის მოსახლეობის საშუალო რაოდენობაზე. ცხრილში შესულია ინფორმაცია საქართველოს მეზობელი ქვეყნების შესახებ, რომელთაგანაც ზოგიერთს (აზერბაიჯანი, თურქეთი) ჯერ კიდევ ახალგაზრდა მოსახლეობა ჰყავს და მაღალი შობადობა უფიქსირდებათ.

დემოგრაფიული ცვლილების მესამე კომპონენტი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, არის გარე მიგრაცია. მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერიდან 2014 წლის აღწერამდე პერიოდში, *ცხრილში 4.1* მოცემული ინფორმაციის თანახმად, 1,15 მილიონმა ადამიანმა დატოვა ქვეყნის ტერიტორია 6 თვით ან მეტი დროით. იმავე პერიოდში, დაახლ. 807 000 ადამიანი ჩამოვიდა საქართველოში საცხოვრებლად. მიგრა-

ცხრილი 4.2 : შობადობის და მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტები (ათას კაცზე) და მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტები (პროცენტებში), საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, 2010–2014 წლების პერიოდში

ქვეყანა	შობადობის ზოგადი კოეფიციენტი	მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი	მოსახლეობის ბუნებრივი მატების კოეფიციენტი
სომხეთი	14,5	9,7	0,48
აზერბაიჯანი	19,2	6,7	1,25
ბულგარეთი	9,4	15,0	-0,56
საქართველო[14]	14,4	13,1	0,13
მოლდავეთი	10,9	11,4	-0,05
რუმინეთი	9,8	12,4	-0,26
რუსეთი	13,0	13,4	-0,04
თურქეთი	17,3	5,8	1,15
უკრაინა	10,8	14,9	-0,41

წყარო: „მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივების“, 2017 წლის გადახედვა, გაეროს მოსახლეობის განყოფილება.

14 გაეროს მიერ მოწოდებულ მონაცემებში შესულია აფხაზეთის, საქართველო და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის, საქართველო მონაცემები.

ციულმა სალდომ შეადგინა 278 648 კაცი, რომლებმაც დატოვეს ქვეყნის ტერიტორია, რაც 2002 წელს საქართველოს მოსახლეობის დაახლ. 7 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული მასშტაბის ემიგრაციის კომპენსირებისთვის დაბადებულთა რაოდენობა ამ პერიოდში 44 პროცენტით უფრო მაღალი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ფაქტობრივად დაფიქსირდა, ე.ი. თითოეულ ქალზე საშუალოდ ერთი ბავშვი.

მიუხედავად იმისა, რომ *ცხრილში 4.1* შესული მიგრაციის მონაცემები მეტ-ნაკლები სიზუსტით არის მოცემული, არსებობს გარკვეული ეჭვი იმის თაობაზე, თუ რამდენად ასახავს ეს მონაცემები რეალურ ვითარებას. *ცხრილში 4.1* მოცემული 2012, 2013 და 2014 წლების მონაცემები ეფუძნება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მოწოდებულ სტატისტიკას. 2012 წელს საქართველოში შემოღებული სისტემის საშუალებით, ქვეყანაში შემოსული ან ქვეყნიდან გასული პირების საპასპორტო ინფორმაცია მოწმდება ამავე პირის საპირისპირო მიმართულებით საზღვრის გადაკვეთის შესახებ მონაცემების ფონზე. ეს შესაძლებელს ხდის იმის დადგენას, თუ ვინ შემოვიდა ქვეყანაში ან ვინ დატოვა ქვეყნის ფარგლები მხოლოდ რამოდენიმე დღით ან რამდენიმე კვირით და ვინ დარჩა ქვეყანაში ან ვინ დატოვა ქვეყნის ფარგლები 6 თვეზე მეტი დროით. 2012 წლამდე, ამგვარი სისტემა არ არსებობდა და ერთადერთი ინფორმაცია, რომელსაც ფლობდა შინაგან საქმეთა სამინისტრო, იყო ის თუ რამდენმა ადამიანმა გადაკვეთა ქვეყნის საზღვარი ნებისმიერი მიმართულებით. ამ ფონზე შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ ვინ იყო მიგრანტი და ვინ ვიზიტორი ან ტურისტი. ეს იმას ნიშნავს, რომ 2012 წლამდე პერიოდისათვის *ცხრილში 4.1* შესული ინფორმაცია არ ეყრდნობა უტყუარ ფაქტებს.

მოსახლეობის აღწერა გვაწვდის იმიგრაციასთან დაკავშირებულ გარკვეულ ინფორმაციას, თუმცა ამ ინფორმაციის თანახმად ქვეყანაში შემოსულ პირთა რაოდენობა გაცილებით მცირეა, ვიდრე 2012 წლის შემდგომ სტატისტიკაზე დაყრდნობით იყო მოსალოდნელი. კრიტერიუმად აღებული იქნა იმიგრანტთა რაოდენობის გრადაცია ისე, რომ მონაცემები მეტ-ნაკლებად შესაბამისობაში ყოფილიყო 2012 წლის შემდეგ დაფიქსირებულ ტენდენციასთან და მომხდარიყო 2012 წლამდე არსებული აღწერის მონაცემების პროპორციული ცვლილება. ემიგრაციის შემთხვევაში, არსებული ინფორმაცია კიდევ უფრო მწირია. აღნიშნული ცვლადის განსაზღვრა წარმოებდა არაპირდაპირი

მეთოდით, რომელიც ეყრდნობა ვარაუდს წრფივი ტენდენციის არსებობის შესახებ და აწარმოებს ემიგრანტთა რაოდენობის გრადაციას ისე, რომ მიღებული მონაცემები შეესაბამებოდეს 2002 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში დაფიქსირებულ მოსახლეობის რაოდენობის ცვლილებას, რომელიც ასევე მოიაზრებს 2002 წლისათვის მოსახლეობის რიცხოვნობის გამოთვლის ზემოხსენებულ მეთოდს. რა თქმა უნდა, შეუძლებელია დამაჯერებლად იმის განცხადება, რომ გამოყენებული მეთოდები უტყუარ მონაცემებს იძლევა. თუმცა, თუ ჩავთვლით, რომ მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად დაფიქსირებული მოსახლეობის რიცხოვნობის შესახებ ინფორმაცია ზუსტია, მაშინ მივიღებთ, რომ აღნიშნულ პერიოდში ემიგრაციის შედეგად საქართველოს მოსახლეობა 650 000 ადამიანით შემცირდა, რაც ძნელი წარმოსადგენია.

ცხრილში 4.3 მოცემულია *ცხრილის 4.1* პირველ სვეტში წარმოდგენილი მონაცემები, რომლებიც რეგიონების მიხედვით არის დაყოფილი. საჭიროა აღინიშნოს, რომ 2007 წელს განხორციელებული საზღვრების ცვლილება ასახულია ზოგიერთ რეგიონში (თბილისი, ქვემო ქართლი და მცხეთა) დაფიქსირებულ მოსახლეობის რიცხოვნობაში.

ცხრილი 4.3: მოსახლეობა რეგიონების მიხედვით, გადაანაგარიშების შედეგების თანახმად

	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი
2002	1 062 157	342 088	125 308	632 126	352 736	109 548	44 003	416 349	183 096	443 110	279 119
2003	1 062 846	341 041	124 160	622 748	349 150	109 159	43 055	410 612	181 744	441 987	277 644
2004	1 060 626	340 026	122 631	614 419	345 884	108 776	42 220	403 686	180 061	441 329	276 475
2005	1 067 168	338 585	121 065	605 724	341 639	108 925	40 849	397 727	178 252	440 755	274 714
2006	1 064 570	336 447	119 913	596 340	339 406	108 712	39 752	391 330	176 601	440 122	273 246
2007	1 103 483	335 126	119 250	590 592	336 933	92 394	38 860	387 074	174 993	421 935	272 079
2008	1 102 971	333 180	118 376	582 030	334 520	93 105	37 937	380 280	173 102	421 238	270 857
2009	1 105 437	332 421	117 736	576 162	331 894	92 088	37 271	373 746	171 454	423 962	266 835
2010	1 100 015	332 508	117 241	568 601	329 170	92 520	36 319	364 878	169 730	422 811	266 039
2011	1 097 685	332 194	116 767	559 448	326 269	93 050	35 431	356 656	167 330	422 768	265 960
2012	1 091 200	331 853	115 811	550 554	323 376	93 350	34 443	347 176	165 039	421 548	264 973
2013	1 092 003	332 471	114 918	542 843	321 253	93 461	33 497	339 812	163 074	420 954	264 138
2014	1 101 203	333 236	114 125	538 275	320 104	94 085	32 745	335 093	161 678	422 521	263 846
2014 წლის აღწერა	1 108 717	333 953	113 350	533 906	318 583	94 573	32 089	330 761	160 504	423 986	263 382

წყარო: 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

5. შობადობა

ცნობილია რომ, საქართველოში რეგისტრირებულ დაბადებულთა რაოდენობა პრობლემატური თემაა. აღნიშნული პრობლემები რამოდენიმე კატეგორიად შეიძლება დახარისხდეს:

1. 2002 წლიდან 2007 წლამდე პერიოდში შობადობის კოეფიციენტები ძალიან დაბალი იყო, თუმცა 2008 წლიდან შობადობის ზრდა ფიქსირდება. არსებობს აზრთა სხვადასხვაობა იმასთან დაკავშირებით, აღნიშნული ზრდა რეალური იყო თუ შობადობის კოეფიციენტები აღნიშნულ წლამდეც მაღალი იყო, მაგრამ არ ხდებოდა დაბადებისას ყველა ბავშვის რეგისტრაცია.
2. დაბადებისას სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით საქართველოში მკვეთრი დისბალანსი ფიქსირდება, რაც, დიდი ალბათობით, რეალობას შეესაბამება (ქვეყანაში გენდერული ნიშნით აბორტების ტრადიცია აშკარად უწყობს ხელს ამ დისბალანსს) და განპირობებულია დიფერენცირებული არასრული აღრიცხვით ან დაბადებისას არარეზიდენტი ბავშვების გენდერული ნიშნით დიფერენცირებული რეგისტრაციით (იხ. პუნქტი 3). ზემოაღნიშნულის რეალობას ამტკიცებს მაგ., ის ფაქტი, რომ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დისბალანსი იზრდება ბავშვთა დაბადების რიგითობის ზრდასთან ერთად. გარდა იმისა, რომ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის დისბალანსი მაღალია, ის ასევე მკვეთრად მერყეობს წლებისა და რეგიონების მიხედვით, განსაკუთრებით 2008-2009 წლების პერიოდში.
3. გარკვეული პერიოდია გაჩნდა მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში დაბადებისას რეგისტრირებული ბავშვების მაღალი პროცენტული წილი საზღვარგარეთ ცხოვრობს; ემიგრანტი მშობლები თადარიგის იჭერენ და შვილებს საქართველოში არეგისტრირებენ, ქვეყანაში დაბრუნების შემთხვევაში რეინტეგრაციის გამარტივების მიზნით. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს დაფიქსირებული 0, 1, 2, 3, და ა.შ. წლის ბავშვების რაოდენობა 15 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე 2014, 2013, 2012, და ა.შ. წლებში რეგისტრირებული ბავშვების. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოსწავლეთა რეგისტრაციის სტატისტიკა ადასტურებს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემებს, მაგრამ განსხვავდება დაბადების რეგისტრის მონაცემებისაგან. აღნიშნული პრობლემა არ არის უნიკალური და საქართველოს გარდა ემიგრაციის მაღალი მაჩვენებლის მქონე სხვა ქვეყნებშიც ფიქსირდება. მაგალითად, მეტნაკლებად მსგავსს სიტუაციას ვაწყდებით ბულგარეთში 2011 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის კონტექსტში.

სიტუაციას კიდევ უფრო ართულებს ის ფაქტი, რომ სისტემატურად ფიქსირდება სხვაობა დაბადების რეგისტრში რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობასა და პირადობის დამადასტურებელი მოწმობების გაცემაზე პასუხისმგებელი, იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემებს შორის, როგორც ეს ნაჩვენებია ცხრილში 5.1.

დაბადებისას რეგისტრირებული ბავშვების რაოდენობებს შორის არსებული სხვაობა ართულებს შობადობის რეალური მაჩვენებლების გამოანგარიშებას. მაგ., 2010-2014 წლებისთვის, ქვეყნის მასშტაბით შესაძლებელია სამი განსხვავებული შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის გამოანგარიშება - ე.ი. ბავშვების რაოდენობა ერთ ქალზე, რეპროდუქციული ასაკის დასასრულს, ასაკის მიხედვით შობადობის არსებული კოეფიციენტების საფუძველზე:

ცხრილი 5.1: კალენდარული წლის განმავლობაში დაბადებული ბავშვების რაოდენობა, დაბადების რეგისტრის მონაცემებისა და იუსტიციის სამინისტროს მიერ ახალშობილებზე გაცემული პირადობის დამადასტურებელი მოწმობების (პირადი საიდენტიფიკაციო ნომერი ან ამ ნომრების რეგისტრაციის მონაცემები) მიხედვით

წელი	დაბადებული ბავშვების რაოდენობა, დაბადების რეგისტრის მონაცემებით		ახალშობილებზე გაცემული პირადი საიდენტიფიკაციო ნომრების რაოდენობა	
	ბიჭი	გოგო	ბიჭი	გოგო
2002	24 598	22 007	27 598	24 430
2003	24 397	21 797	26 792	23 666
2004	26 039	23 533	27 781	24 202
2005	24 654	21 858	27 027	24 007
2006	25 236	22 559	27 223	24 380
2007	25 882	23 405	27 569	24 916
2008	31 720	24 845	31 223	28 133
2009	32 385	30 992	33 699	30 885
2010	32 488	30 097	33 498	31 040
2011	30 330	27 684	31 434	28 729
2012	29 801	27 230	30 906	28 293
2013	30 027	27 851	30 974	28 757
2014	31 325	29 310	32 203	30 114

წყარო: იუსტიციის სამინისტრო

1. შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი, დაბადების რეგისტრის სტატისტიკის თანახმად და მოსახლეობის რაოდენობის გადაანგარიშებით მიღებული მაჩვენებლების საფუძველზე, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი შეადგენს 2,31 ბავშვს ერთ ქალზე.
2. დაბადების რეგისტრის სტატისტიკის ნაცვლად პირადობის საიდენტიფიკაციო ნომრების მონაცემების გამოყენებით (დედის ასაკის მიხედვით შობადობის იგივე განაწილების გათვალისწინებით), შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი მცირედით იზრდება და შეადგენს 2,40 ბავშვს ერთ ქალზე.
3. მეორე მხრივ, მოსახლეობის აღწერის შედეგად 0, 1, 2, და ა.შ. წლის ბავშვების რაოდენობის შესახებ მოპოვებული მონაცემების მათი დაბადების თარიღზე გადაანგარიშების თანახმად (შობადობის იგივე ასაკობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით), შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი საგრძნობლად მცირდება და შეადგენს 1,98 ბავშვს ერთ ქალზე.

გაეროს მოსახლეობის განყოფილების ანგარიშის (2015 წლის გადახედვა) თანახმად, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კიდევ უფრო დაბალია და შეადგენს 1,81 ბავშვს ერთ ქალზე. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მონაცემი არარეალურად დაბალი იყო და ახლახანს მოხდა მისი შესწორება. შესაბამისად, ამჟამად მიიჩნევა, რომ შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი შეადგენს 2,00 ბავშვს ერთ ქალზე. მეორე მხრივ, საქართველოს 2015 წლის დემოგრაფიულ წელიწდეულის (გაეროს მოსახლეობის ფონდი, 2016 წ.) თანახმად, შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი 2015 წლისთვის შეადგენდა 2,328 ბავშვს ერთ ქალზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სინანულს იწვევს იმის გააზრება, რომ 2014 წლის საკმაოდ მაღალ დონეზე ორგანიზებული მოსახლეობის აღწერისა და 2010 წლის შემდგომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული დაბადების რეგისტრაციის პროცედურების მიუხედავად, შობადობის კოეფიციენტი (1,81–2,33) კვლავ დაუზუსტებელი რჩება. წინამდებარე მონოგრაფიის მიზნებიდან

გამომდინარე მიჩნეულია, რომ შობადობის კოეფიციენტი უახლოვდება 2,0 ბავშვს ერთ ქალზე. შესაბამისად, საქართველო მაღალი შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის მქონე ქვეყნების რიგებშია, როგორც ევროპის მასშტაბით, ასევე მეზობელ ქვეყნებს შორისაც – საქართველო უსწრებს მოლდავეთს (1,27), უკრაინას (1,49), რუმინეთს (1,48), ბულგარეთს (1,51), სომხეთს (1,65) და რუსეთს (1,70), თუმცა ჩამორჩება თურქეთს (2,12) და აზერბაიჯანს (2,10) (გაეროს მოსახლეობის განყოფილება). აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საქართველოში უკიდურესად დაბალ შობადობასთან დაკავშირებული შიშები გაზვიადებულია.

ცხრილში 5.2 ნაჩვენებია შობადობის ტენდენციები ქვეყნის მასშტაბითა და რეგიონების მიხედვით, 2004 წლიდან, დაბადების რეგისტრის მონაცემებსა და გადაანგარიშების მოდელზე დაყრდნობით; ეს

ცხრილი 5.2: შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტები წლებისა და რეგიონების მიხედვით, სამოქალაქო რეესტრის მონაცემების ბაზაზე წარმოებული გადაანგარიშების თანახმად და გადაანგარიშების მოდელში რეზიდენტ დაბადებულთა მონაცემების მიხედვით

წელი	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	საქართველო
2004	1,41	2,04	1,91	1,88	1,66	2,12	1,56	1,32	2,20	1,96	1,93	1,71
2005	1,46	1,67	1,95	1,66	1,54	1,81	1,92	1,56	1,76	1,56	1,99	1,61
2006	1,53	1,66	1,83	1,78	1,76	1,77	1,28	1,60	1,60	1,78	1,65	1,66
2007	1,55	1,68	1,99	1,85	1,90	2,11	1,78	1,71	1,61	1,82	1,69	1,72
2008	1,65	1,95	2,39	2,15	2,32	2,39	2,38	2,07	1,99	2,10	2,22	1,99
2009	1,82	2,31	2,91	2,56	2,55	2,53	3,35	2,49	2,26	2,23	2,57	2,26
2010	1,78	2,32	2,88	2,71	2,59	2,45	3,33	2,52	2,14	2,23	2,66	2,26
2011	1,83	2,12	2,51	2,45	2,31	2,33	3,14	2,24	1,88	2,17	2,31	2,12
2012	1,81	2,15	2,35	2,47	2,49	2,09	2,87	2,36	1,99	2,08	2,19	2,11
2013	1,85	2,25	2,48	2,52	2,58	2,17	2,74	2,49	2,04	2,12	2,30	2,18
2014	1,96	2,43	2,57	2,63	2,79	2,25	3,20	2,71	2,04	2,35	2,48	2,31
2004	1,59	1,54	1,58	1,55	1,66	1,68	1,35	1,28	1,74	1,75	1,57	1,58
2005	1,62	1,47	1,61	1,55	1,68	1,75	1,38	1,36	1,63	1,81	1,53	1,59
2006	1,68	1,46	1,59	1,59	1,72	1,61	1,38	1,43	1,60	1,81	1,51	1,62
2007	1,73	1,54	1,66	1,66	1,80	1,88	1,41	1,47	1,74	1,85	1,55	1,69
2008	1,86	1,77	1,82	1,81	1,91	2,07	1,61	1,58	1,88	1,98	1,82	1,84
2009	1,95	2,02	2,13	2,05	2,08	2,35	1,88	1,79	1,93	2,15	2,08	2,01
2010	1,91	1,96	2,11	2,12	2,06	2,32	2,05	1,80	1,88	2,12	2,07	2,00
2011	1,77	1,81	2,11	2,03	1,98	2,22	2,12	1,71	1,88	2,01	1,96	1,89
2012	1,69	1,81	2,00	2,04	2,07	2,03	1,97	1,78	1,85	1,94	1,89	1,85
2013	1,65	1,87	2,03	2,04	2,15	2,04	2,06	1,88	1,90	1,97	1,96	1,87
2014	1,73	2,00	2,13	2,17	2,32	2,07	2,27	2,08	1,96	2,10	2,10	1,98

წყარო: 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

უკანასკნელი იყენებს შობადობის პირობით კოეფიციენტს, რომელიც გამოანგარიშებულია მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე. ორივე კრიტერიუმით, მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება შობადობის მაჩვენებლებს შორის, აქედან შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი ყველაზე დაბალია თბილისში და მნიშვნელოვნად მაღალია რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში, კახეთში, სამეგრელო-ზემო სვანეთში და იმერეთში. საერთო ჯამში, იკვეთება შობადობის ზრდის ტენდენცია, მიუხედავად იმისა, რომ 2011, 2012 და 2013 წლებში შობადობის კოეფიციენტი უფრო დაბალია, ვიდრე 2009, 2010 და 2014 წლებში.

ცხრილში 5.2 ნაჩვენები არ არის შობადობის მაჩვენებლები დედის ასაკის მიხედვით; ამ თვალსაზრისით რეგიონებში არსებული სხვაობები არ განსხვავდება შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტებს შორის დაფიქსირებული სხვაობებისგან. შობადობა 25 წლამდე ასაკის ქალებში ყველაზე დაბალია თბილისში (29,6 პროცენტი – 2014 წელს), მაგრამ გაცილებით მაღალია ქვემო ქართლში (53,6 პროცენტი), სამცხე-ჯავახეთში (50,8 პროცენტი), კახეთში (50,8 პროცენტი), გურიაში (48,4 პროცენტი) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (47,0 პროცენტი).

სამწუხაროდ, არც მოსახლეობის აღწერა და არც დემოგრაფიული სტატისტიკა არ იძლევა შობადობის მიმდინარე ჯამობრივი კოეფიციენტის გამოთვლის საშუალებას მოსახლეობის სხვა ჯგუფებისათვის, როგორიცაა ეთნიკური ჯგუფები, ან განათლების მიღწეული დონის მიხედვით შედგენილი ჯგუფები. მოსახლეობის აღწერისას გამოიკითხა ინფორმაცია ნებისმიერ დროს დაბადებული ბავშვების რაოდენობის შესახებ და არა აღწერის მომენტისათვის შობადობის შესახებ. ნებისმიერ დროს დაბადებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით შესაძლებელია განისაზღვროს შობადობის ზოგადი მაჩვენებელი, რომელიც წარმოადგენს 40-44 წლის ასაკის ქალების მიერ ნებისმიერ დროს გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობას. ფორმალურად, აღნიშნული მაჩვენებელი არ წარმოადგენს შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტს, თუმცა ის იძლევა მინიშნებას სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის შობადობის თვალსაზრისით არსებული ზოგადი სხვაობების შესახებ.[15]

ცხრილი 5.3: 40–44 წლის ასაკის ქალების მიერ ნებისმიერ დროს გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა, ეთნიკური წარმომავლობისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით

ეთნიკური ჯგუფი	სულ	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები
ქართველი	1,87	1,74	2,09
ოსი	1,70	1,55	1,89
რუსი	1,76	1,70	2,16
აფხაზი	1,97	2,07	----*
აზერბაიჯანელი	2,24	2,05	2,28
სომეხი	2,04	1,78	2,33
სხვა	2,00	1,82	2,57
ყველა ეთნიკური ჯგუფი	1,86	1,76	2,03

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

** შემთხვევათა სიმცირის გამო შეუძლებელია სარწმუნო მონაცემის დადგენა.*

როგორც *ცხრილში 5.4* არის ნაჩვენები, ყველაზე მაღალი შობადობის მაჩვენებელი ფიქსირდება საბაზო და საშუალო განათლების მქონე ქალებს შორის და დაბალია იმ ქალებს შორის, რომლებიც დოქტორის ან მასთან გათანაბრებულ აკადემიურ ხარისხს ფლობენ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გაურკვეველი რჩება თუ რამ გამოიწვია 2008 წლიდან მოყოლებული ქვეყანაში შობადობის მატების ტენდენცია. გარკვეული დროის განმავლობაში, შეუძლებელი იყო იმის მტკიცედ უარყოფა, რომ აღნიშნული მატება უკავშირდებოდა მხოლოდ დაბადების რეგისტრაციის სის-

15 კიდევ ერთი მეთოდი, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მიღებულ მონაცემების დამუშავებისათვის, არის ე.წ. „Own Children Method" ანუ /„საკუთარი შვილების მეთოდი"/, რომელიც ბავშვებს აკავშირებს საკუთარ დედებთან (Moultrie et al., 2013:35). აღნიშნული მეთოდი არ ყოფილა გამოყენებული წინამდებარე კვლევაში.

ცხრილი 5.4: 40–44 წლის ასაკის ქალების მიერ გაჩენილი ბავშვების საშუალო რაოდენობა, დედის განათლების მიღწეული დონისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით

განათლების დონე	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები
დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	1,36	1,21
მაგისტრი/სერტიფიცირებული ექიმი/ვეტერინარი/ სტომატოლოგი	1,66	1,54
საბაკალავრო ან მასთან გათანაბრებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	1,76	1,59
პროფესიული განათლება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ბაზაზე	1,94	1,72
პროფესიული განათლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ბაზაზე	1,90	1,71
პროფესიული განათლება ზოგადი განათლების დაწყებით ბაზაზე	1,95	1,74
სრული ზოგადი განათლება (საშუალო განათლება)	2,16	1,85
ზოგადი განათლების საბაზო საფეხური	2,26	1,94
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	1,99	1,52
დაწყებითი განათლების გარეშე, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნე	1,74	1,35
წერა-კითხვის უცოდინარი	__[16]	__[16]

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

16 *შემთხვევათა სიმცირის გამო შეუძლებელია სარწმუნო მონაცემის დადგენა.*

ტემის გაუმჯობესებას. მოსახლეობის აღწერის შედეგებმა, მიუხედავად იმისა, რომ დააფიქსირა დაბადებულთა უფრო დაბალი რაოდენობა, ვიდრე დაბადების რეგისტრის მიერ დარეგისტრირებული რაოდენობა, ერთგვარად ნათელი მოჰფინა ამ საკითხს, თუნდაც იმით, რომ დაადასტურა შობადობის მატების ტენდენციის არსებობა. უფრო რთული გასარკვევია ის, თუ რა უდევს საფუძვლად აღნიშნულ ტენდენციას. აღნიშნული მატება ქვემოთ აღწერილი სამი მიზეზიდან ერთ-ერთით შეიძლება იყოს განპირობებული:

1. მომავლის რწმენა, რომელსაც საფუძვლად უდევს უკანასკნელი წლების ეკონომიკური ზრდა.
2. კონფლიქტის ეფექტი: მისიის დროს რამდენიმე რესპოდენტებმა აღნიშნა, რომ 2008 წლის კონფლიქტით გამოწვეულმა კრიზისმა განაპირობა ახალი ოჯახების შექმნის ტენდენცია, არა მხოლოდ არსებული ურთიერთობების ოფიციალურად დარეგისტრირების შედეგად გარკვეული დახმარებების უზრუნველსაყოფად, არამედ ეს ასევე იყო შექმნილ გაურკვევლობასთან გამკლავების რთული ფსიქოლოგიური მცდელობა.[17]
- პატრიარქის ეფექტი: 2007 წლის ბოლოს, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა – ილია მეორემ ხელი შეუწყო შობადობის მატებას, დაპირდა რა ორ და მეტ შვილიან ოჯახებს, რომ პირადად მონათლავდა მათ შემდგომ შვილებს. მიიჩნევა და ოფიციალურადაც არის გაცხადებული, რომ პატრიარქს დიდი წვლილი მიუძღვის შობადობის დონის მატების წახალისებაში, რომელიც 2009 წლისთვის **35** პროცენტით აღემატებოდა

17 *აღნიშნული მოსაზრება საკამათოა, ვინაიდან საკუთარი ბუნებიდან გამომდინარე გაურკვევლობის პერიოდმა ასევე შესაძლებელია გამოიწვიოს შობადობის კლება. აღნიშნული წარმოადგენს ჰიპოთეზას, რომელიც საჭიროებს ემპირიულ დადასტურებას.*

2005 წლის მაჩვენებელს. 2016 წლის ნოემბრის მონაცემებით საქართველოს პატრიარქს მონათლული ჰყავდა 29 000 ბავშვი.[18]

თეორიულად, არსებობს კიდევ ერთი – მეოთხე მიზეზი, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ ბოლო პერიოდში შობადობის მატება განპირობებულია დროის ეფექტით. ქალები, რომლებიც მიზანმიმართულად აგვიანებდნენ შვილების გაჩენას და 20-დან 30 წლის ასაკამდე არ ჩქარობდნენ დედობას, ისინი 30-40 წლის ასაკში იწყებენ შვილებს გაჩენას. რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში, როგორიცაა ალბანეთი, მოლდავეთი და თურქეთი, აღნიშნული დროის ეფექტი მნიშვნელოვანად განაპირობებს შობადობის ტენდენციებს. თუმცა საქართველოში აღნიშნული არ იკვეთება, ვინაიდან პირველი ბავშვის გაჩენის საშუალო ასაკი დროთა განმავლობაში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა: 1997 წელს ის შეადგენდა 25,7 წელს, ხოლო 2014 წელს – 27,1 წელს. 25 წლამდე ასაკის ქალებში შობადობა 2004 წელს დაფიქსირებული 48,3 პროცენტიდან 42,2 პროცენტამდე შემცირდა 2014 წლისათვის. ეს ნიშნავს, რომ საქართველოში ქალები მაინც საკმაოდ ახალგაზრდა ასაკში აჩენენ ბავშვებს. ფაქტობრივად, საქართველოს, რეგიონის ქვეყნებს შორის, აზერბაიჯანისა და სომხეთის შემდეგ მესამე ადგილი უკავია ახალგაზრდა ასაკში შობადობის თვალსაზრისით (*იხ. ცხრილი 5.5*) და მსოფლიო მასშტაბითაც ერთ-ერთ იმ ქვეყანას წარმოადგენს, სადაც ახალგაზრდა ასაკში შობადობა მაღალია. ამის გათვალისწინებით, ვობეცკამ და სხვებმა (2013) საკუთარ ნაშრომში საქართველოს შემთხვევაში მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირება გამოიყენეს შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტში შობადობის გადავადების ეფექტის ასახვის მიზნით.

ცხრილი 5.5: დედის საშუალო ასაკი ბავშვის დაბადებისას საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში – 2010-2014 წწ.

ქვეყანა	საშუალოდ
სომხეთი	26,26
აზერბაიჯანი	25,85
ბულგარეთი	27,18
საქართველო	26,44
მოლდავეთი	26,83
რუმინეთი	27,34
რუსეთი	27,88
თურქეთი	28,16
უკრაინა	27,13

წყარო: „მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივები", 2017 წლის გადახედვა, გაეროს მოსახლეობის განყოფილება.

შობადობის ტენდენციის დაკავშირება ეკონომიკურ აღმასვლასთან ასევე არადამაჯერებლად ჟღერს, ვინაიდან 2009 წელს, ქვეყანა ეკონომიკური კრიზისს განიცდიდა.[19] „კონფლიქტის ეფექტი" შესაძლებელია იყოს აღნიშნული ტენდენციის მიზეზი, თუმცა ჩნდება კითხვა: თუ რატომ არ დაფიქსირებულა მსგავსი ტენდენცია წინა კონფლიქტის დროს 1990-იან წლებში. „პატრიარქის ეფექტი", მიუხედავად იმისა, რომ მან ტრადიციების მიმდევართა მოწონება დაიმსახურა, არ დასტურდება ფაქტებით. გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს წარმომადგენლობის ანგარიშში (2014) და ლანჩავას ნაშრომში (2014 წ.) აღნიშნულია, რომ (1) რიგითობით პირველი და მეორე დაბადებულების რაოდენობა უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე რიგითობით მესამე და ა.შ. დაბადებულების რაოდენობა; და (2) აღნიშნული მატება არა

18 Baby boom continues in republic of Georgia; 600 baptized at Orthodox cathedral, Lifesite, 2016 წლის 23 ნოემბერი; იხ. https://www.lifesitenews.com/news/baby-boom-continues-in-republic-of-georgia-600-baptized-at-orthodox-cathedr.

19 აღსანიშნავია, რომ 2008 წლის კავკასიის ბარომეტრის კვლევის (CRRC, 2008) თანახმად, 18-35 წლის ასაკის მოსახლეობის 66 პროცენტმა განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ მოლოდინი იმისა, რომ მათ შვილებს, მათ ასაკში, უკეთესი ეკონომიკური მდგომარეობა ექნებოდათ, ვიდრე თავად ჰქონდათ. აღნიშნული პროცენტული რაოდენობა მეტნაკლებად ნარჩუნდებოდა და მცირედი კლება განიცადა 2009 წელს. 2008 წელს, ამავე ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის 12 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი სამუდამოდ აპირებდნენ საქართველოს დატოვებას, თუმცა ამ კატეგორიის მოსახლეობის პროცენტული წილი მნიშვნელოვნად შემცირდა მომდევნო წლებში. სამწუხაროდ, 2008 წელს მსგავსი გამოკითხვა პირველად ჩატარდა ქვეყანაში, შესაბამისად, შეუძლებელია მისი შედეგების შედარება წინა წლების მონაცემებთან.

მხოლოდ ქართველ მართლმადიდებელ მოსახლეობაშია დაფიქსირებული, არამედ სხვა ეთნიკური წარმომავლობისა და განსხვავებული რელიგიური მრწამსის მქონე ჯგუფებში, რომელთა შორისაც შობადობის მატება არ შეიძლება უკავშირდებოდეს პატრიარქის ინიციატივას. 2008-2010 წლებში შობადობის მაჩვენებლის ზრდა ძირითადად განპირობებულია რიგითობით პირველი დაბადებულების (რამაც შობადობის ზრდის მაჩვენებლის 63,8 პროცენტი შეადგინა 2002 წლიდან 2008 წლამდე პერიოდში; 52,4 პროცენტი – 2002 წლიდან 2009 წლამდე პერიოდში; და 38,2 პროცენტი – 2002 წლიდან 2010 წლამდე პერიოდში) ან რიგითობით მეორე დაბადებულების ხარჯზე (32,8 პროცენტი, 36,6 პროცენტი და 46,4 პროცენტი, შესაბამისად). არ არსებობს ინფორმაცია იმის შესახებ იყო თუ არა რიგითობით პირველი და მეორე ბავშვების დაბადება ამ პერიოდში განპირობებული იმ პერსპექტივით, რომ მესამე ბავშვს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი მონათლავდა, თუმცა ეს მოსაზრება არარეალურად ჟღერს.

გარდა ამისა, შობადობის ზრდა დაბადების რიგითობის მიხედვით ერთგვაროვანი არ არის. 2013 წელს რიგითობით პირველი დაბადებულების რაოდენობა თითქმის დაუბრუნდა 2002 წლის მაჩვენებელს, ხოლო როგოთობით მეორე და მესამე დაბადებულთა რაოდენობა უცვლელი დარჩა და, რიგ შემთხვევებში, გაუსწრო კიდეც წინა წლების მაჩვენებელს. 2002 წლიდან 2013 წლამდე დაბადებულთა რაოდენობის მატების 63,5 პროცენტი მეორე ბავშვების დაბადების ხარჯზე მოხდა, ხოლო 25,2 პროცენტი – მესამე და შემდგომი ბავშვების დაბადების ხარჯზე. ფაქტობრივად, 2013 წელს ოფიციალურად რეგისტრირებული მესამე და შემდგომ დაბადებულთა რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო 1992 წლიდან მოყოლებული და დაახლ. 13 პროცენტით აღემატებოდა 2008-2010 წლებში დაფიქსირებულ ანალოგურ მაჩვენებელს, როდესაც შობადობის მატება აშკარად უკავშირდებოდა პატრიარქის ინიციატივით მესამე და შემდგომი ბავშვების გაჩენის წახალისებას. აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი, რომ უკანასკნელ წლებში მესამე და შემდგომი ბავშვების შობადობის მატების მიუხედავად, 15-44 წლის ასაკის სამი ან მეტ შვილიანი ქალების პროცენტული წილი არ არის ისეთი მაღალი, როგორიც იყო 2005 წელს (14,9 პროცენტი; საქართველოს რეპროდუქციული ჯანმრთელობის 2005 წლის კვლევა). საქართველოში, ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის 2010 წლის კვლევის თანახმად, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 12,0 პროცენტი და შობადობის რეგისტრაციის მონაცემებზე დაყრდნობით გაკეთებული პროგნოზით 2014 წლის იანავრისთვის აღნიშნული მაჩვენებელი კვლავ 12,0 პროცენტს უდრიდა. ეს განპირობებულია იმით, რომ მრავალშვილიანი, ასაკოვანი ქალების მაღალი პროცენტული წილი რეპროდუქციულ ასაკის დასასრულს უახლოვდებოდა, ხოლო ახალგაზრდა თაობის ქალებში ნაკლებად შეინიშნებოდა მრავალშვილიანობისკენ მიდრეკილება.

კიდევ ერთი ფაქტორი უკავშირდება მომავალ თაობებში ქალების შედარებით მცირე რაოდენობას. ერთ-ერთი დემოგრაფის თანახმად "*...მიმდინარე დემოგრაფიულმა აღმასვლამ პიკს მიაღწია და მომდევნო წლებში შესაძლოა ტენდენციის საწინააღმდეგო მიმართულებით განვითარება. შობადობის შემცირება მოსალოდნელია 2016-დან 2018 წლამდე პერიოდში, ვინაიდან ქორწინების ასაკში მოსახლეობის შედარებით მცირერიცხოვანი თაობა შედის, რომელიც 1992 წლის შემდგომ* დაიბადა" („ახალი თაობა", 2009 წლის 28 დეკემბერი, ციტატა ბადურაშვილისა და სხვების, 2011: 51 ნაშრომიდან). აღნიშნული ფაქტი იმოქმედებს დაბადებულთა რაოდენობაზე, თუმცა შესაძლებელია უცვლელი დარჩეს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი. მოსახლეობის აღწერის თანახმად, 2014 წელს შობადობის ასაკობრივი კოეფიციენტებისა და 0-დან 54 წლამდე მდედრობითი სქესის მოსახლეობის რიცხოვნობის გათვალისწინებით, ნავარაუდევია დაბადებულთა რაოდენობის მცირედით ზრდა 2017 წლამდე და შემდგომ კლება, რაც 2029 წლისთვის შობადობის ჯამობრივი მაჩვენებლის 15 პროცენტით შემცირებას გამოიწვევს 2014 წლის ანა-

ლოგური მაჩვენებელთან შედარებით, რეპროდუქციული ასაკის ქალების ემიგრაციის არარსებობის ფონზე.

ცხრილში 5.6 მოცემულია ინფორმაცია ნებისმიერ დროს დაბადებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით ქალების განაწილების შესახებ და, ასევე, ქალების განაწილება ბავშვების საშუალო რაოდენობისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით. მიუხედავად იმისა, რომ *ცხრილში 5.6* შესული ინფორმაციის ახსნას აფერხებს მონაცემების არასრულყოფილება, ის ადასტურებს, რომ 1964–1973 წლებში დაბადებულ ქალებში, შობადობის კოჰორტული კოეფიციენტი ერთ ქალზე 2 ბავშვზე ნაკლებს შეადგენს მაშინ, როცა 1954–1963 წლებში დაბადებული ქალებისთვის ანალოგური მაჩვენებელი მცირედით აღემატება 2 ბავშვს ერთ ქალზე. სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ქალებს შორის შობადობის კოჰორტული კოეფიციენტები საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალების შობადობაზე 20–25 პროცენტით მაღალია. 40–44 წლის ასაკის ქალების, მათ შორის ამ ასაკის იმ ქალების, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, მხოლოდ 10,3 პროცენტი მიიჩნევა უშვილოდ. ეს

ცხრილი 5.6: ქალების პროცენტული განაწილება დაბადებული ბავშვების რაოდენობის მიხედვით და ბავშვების საშუალო რაოდენობა დედების ასაკობრივი ჯგუფებისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით

სულ

ასაკობრივი ჯგუფი	ბავშვების რაოდენობა									
	0	1	2	3	4	5	6	7+	არ არის მითითებული	საშუალო**
15–19	72,78	4,70	0,78	0,02	0,00	0,00	0,00	0,00	21,72	0,08
20–24	50,74	23,06	12,48	1,30	0,09	0,02	0,00	0,00	12,31	0,60
25–29	24,95	26,60	32,14	6,09	0,65	0,11	0,02	0,01	9,44	1,24
30–34	15,24	20,89	41,92	12,37	1,85	0,37	0,09	0,05	7,22	1,64
35–39	11,63	17,61	44,80	15,98	2,99	0,68	0,21	0,13	5,96	1,84
40–44	10,33	17,48	45,80	16,22	3,43	0,89	0,26	0,21	5,37	1,89
45–49	9,50	17,29	45,45	17,44	4,03	1,05	0,30	0,19	4,74	1,94
50–54*	8,49	16,22	43,68	20,20	5,07	1,31	0,41	0,23	4,40	2,04
55–59*	8,15	16,22	41,16	21,56	5,85	1,83	0,54	0,33	4,37	2,11

საქალაქო დასახლებები

ასაკობრივი ჯგუფი	ბავშვების რაოდენობა									
	0	1	2	3	4	5	6	7+	არ არის მითითებული	საშუალო**
15–19	78,73	3,33	0,44	0,01	0,00	0,00	0,00	0,00	17,48	0,05
20–24	58,15	21,73	8,64	0,70	0,04	0,01	0,00	0,00	10,73	0,46
25–29	28,36	29,70	28,37	4,34	0,38	0,06	0,01	0,00	8,76	1,11
30–34	17,00	24,30	40,53	9,82	1,28	0,26	0,05	0,04	6,70	1,52
35–39	13,08	20,76	44,21	13,40	2,18	0,48	0,14	0,10	5,66	1,72
40–44	11,71	21,05	45,74	13,00	2,32	0,56	0,17	0,14	5,30	1,75
45–49	10,97	21,36	46,54	13,22	2,37	0,56	0,17	0,11	4,70	1,77
50–54*	9,95	20,08	46,14	15,38	3,02	0,67	0,20	0,13	4,43	1,84
55–59*	9,56	19,87	44,50	16,92	3,43	0,89	0,23	0,15	4,43	1,89

სასოფლო დასახლებები										
ასაკობრივი ჯგუფი	ბავშვების რაოდენობა									
	0	1	2	3	4	5	6	7+	არ არის მითითებული	საშუალო**
15–19	64,12	6,68	1,27	0,04	0,00	0,00	0,00	0,00	27,90	0,13
20–24	37,78	25,39	19,20	2,36	0,17	0,02	0,00	0,00	15,09	0,84
25–29	19,02	21,22	38,67	9,13	1,10	0,21	0,03	0,01	10,62	1,47
30–34	12,13	14,86	44,38	16,87	2,84	0,57	0,15	0,08	8,13	1,85
35–39	9,20	12,30	45,79	20,34	4,37	1,02	0,33	0,19	6,48	2,04
40–44	8,14	11,85	45,87	21,31	5,18	1,42	0,42	0,32	5,49	2,12
45–49	7,44	11,58	43,93	23,37	6,36	1,74	0,50	0,30	4,79	2,20
50–54*	6,51	11,00	40,36	26,71	7,83	2,17	0,69	0,37	4,35	2,31
55–59*	6,31	11,48	36,82	27,57	8,98	3,04	0,94	0,57	4,28	2,39

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

** აღნიშნული მაჩვენებელი იძლევა იმის ვარაუდის შესაძლებლობას, რომ შობადობა გრძელდება 50-დან 60 წლამდე ასაკის ქალებში, თუმცა აქვე გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ეხება უფროსი თაობის ქალებს, რომლებსაც ახასიათებდათ შობადობის გაცილებით მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე ახალგაზრდა თაობის ქალებს ახასიათებთ.*

*** ბავშვების საშუალო რაოდენობა ემყარება იმ ქალების შემთხვევაში მოპოვებულ მონაცემებს, რომლებმაც მიუთითეს გაჩენილი ბავშვების რაოდენობა. შესაბამისად, შედეგები შესაძლებელია არ ასახავდეს რეალურ ვითარებას, ვინაიდან იმ ქალების უმრავლესობა, რომლებმაც არ უპასუხეს მოცემულ კითხვას, წარმოადგენდნენ ქალებს, რომლებიც არ იმყოფებოდნენ ქორწინებაში და წესით არ უნდა ჰყოლოდათ ბავშვები.*

მაჩვენებელი უფრო დაბალია, ვიდრე 1961–1967 წლებში დაბადებული ქალების შემთხვევაში, რომელთაგან 13,4 პროცენტი არის მიჩნეული უშვილოდ საქართველოს ოჯახური ურთიერთობებისა და თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გამოკვლევის შედეგების თანახმად. ქალების 50 პროცენტზე ცოტა ნაკლებს ორი შვილი ჰყავს. საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალების 22 პროცენტს და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალების 12 პროცენტს მხოლოდ ერთი შვილი ჰყავს მაშინ, როცა საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალების დაახლ. 15 პროცენტს და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალების 25–30 პროცენტს სამი შვილი ჰყავს. საქართველოში ქალების 10 პროცენტზე ნაკლებს ჰყავს 4 ან მეტი შვილი.

გარკვეულწილად, უკანასკნელ წლებში საქართველოში შობადობის მერყეობაზე გავლენას ახდენდა ქორწინება. ქორწინების ტენდენცია შობადობის ტენდენციის მსგავსია, თუმცა აქ უფრო მეტად თვალშისაცემია 1990-იანი წლების დასასრულსა და 2000-იანი წლების დასაწყისში დაფიქსირებული კლება. მაშინ, როცა 1990 – 2003 წლებში, დაბადებულთა რაოდენობა 50 პროცენტზე მეტით შემცირდა, ხოლო 1990–2002 წლებში, რიგითობით პირველი დაბადებულების რაოდენობა 40 პროცენტით შემცირდა, 2000–2003 წლებში რეგისტრირებული სამოქალაქო ქორწინებების რაოდენობამ 1990 წელს დაფიქსირებული ანალოგური მაჩვენებლის მხოლოდ 35 პროცენტი შეადგინა. სამოქალაქო ქორწინებათა რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა დაიწყო 2004 წელს და 2010 წლისათვის ის მეტ-ნაკლებად დაუბრუნდა 1991 წლის დონეს. ორწლიანი, ოდნავ დაღმავალი ტენდენციის შემდგომ, 2013 წელს ქორწინებათა მაჩვენებელმა კვლავ 2010 წლის მაქსიმალურ ნიშნულს მიაღწია. აღნიშნული ტენდენცია ნაჩვენებია *გრაფიკზე 5.1.* ქორწინებათა რაოდენობის 2008 წელს დაფიქსირებული ზრდა შესაძლებელია უკავშირდებოდეს 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს, ვინაიდან ახალგაზრდა წყვილების შეუღლების შესახებ გადაწყვეტილება შესაძლებელია განპირობებული ყოფილიყო გარკვეული სოციალური შეღავათების მიღების ან სამხედრო სამსახურიდან გათავისუფლების იმედით. მაგრამ აღნიშნული ვერ ხსნის

შემდგომ წლებში ქორწინების მაღალი დონის შენარჩუნებას, რომელმაც 2010 და 2013 წლებში გადააჭარბა 2008 წლის მაჩვენებელს.

გრაფიკის 5.1 მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს ის, რომ 2008 წლამდე რიგითობით პირველი დაბადებულების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ქორწინებების რაოდენობას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მივათვლით მეორე და შემდგომ ქორწინებებსაც. თეორიულად, საქართველოს მსგავს ქვეყანაში, სადაც პირველი ბავშვის დაბადება ჩვეულებრივ ხდება ქორწინებიდან ერთ ან ორ წელიწადში, აღნიშნული ორი მაჩვენებელი დაახლ. ერთნაირი უნდა იყოს. აღნიშნული ტენდენცია ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობის საგრძნობ ზრდას უკავშირდება. სამოქალაქო რეესტრის ოფიციალური მონაცემებით (რომელიც მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინებებს აღრიცხავს), ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობა საქართველოში მუდმივად უფრო მაღალი იყო, ვიდრე მოსალოდნელია ისეთი ქვეყნისათვის, სადაც ქორწინება ოჯახის შექმნის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების პერიოდში ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების პროცენტული წილი თითქმის 20 პროცენტს შეადგენდა. ხოლო 2001-დან 2007 წლამდე აღნიშნულმა მაჩვენებელმა 47 პროცენტს მიაღწია, რაც დანიის ანალოგურ მაჩვენებელს უტოლდება! 2008 წლიდან მოყოლებული, ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ დაბადებული ბავშვების საერთო რაოდენობის დაახლ. ერთი მესამედი (32,4 პროცენტი, 2015 წლის მონაცემით) კვლავ ოფიციალური ქორწინების გარეშე კავშირების შედეგად იბადება და ბავშვების რაოდენობა მცირედით მაღალია 20 წლამდე ასაკისა და 45 წელზე უფროსი ასაკის ქალებში. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის თანახმად, 40-44 წლის ასაკის იმ ქალებიდან, ვინც არასოდეს ყოფილა ქორწინებაში – მხოლოდ 3,7 პროცენტს ჰყავს გაჩენილი შვილი, რაც გვაძლევს იმის ვარაუდის საშუალებას, რომ ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მშობლები საბოლოოდ მაინც ქორწინდებიან.

გრაფიკი 5.1: რეგისტრირებული ქორწინებათა, რიგითობით პირველი დაბადებულების და სულ დაბადებულების რაოდენობა საქართველოში, 1990–2015 წწ.



წყარო: სამოქალაქო რეესტრის მონაცემები, საქსტატი

6. ქორწინება

დანიის მსგავსი ქვეყნებისაგან განსხვავებით, საქართველოში რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების გარკვეული ნაწილი დაბადებულია საეკლესიო ქორწინების შემდეგ. სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის გაფორმებული კონკორდატის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს საეკლესიო ჯვრისწერას, თუმცა ამგვარი ქორწინებებს სახელმწიფოს რეესტრის ოფიციალური სტატისტიკა ავტომატურად არ აღრიცხავს. თუ კავკასიის ბარომეტრის კვლევას (CRRC, 2013) დავეყრდნობით, მხოლოდ საეკლესიო ქორწინებების რაოდენობა დაბალია და ვერ ხსნის ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების სიმრავლეს, რომელსაც საქართვლოში ვხვდებით. 2013 წლის კავკასიის ბარომეტრის კვლევის თანახმად, ნებისმიერი ტიპის პარტნიორულ კავშირში მყოფი 25-34 წლის ასაკის რესპოდენტთა მხოლოდ 11,9 პროცენტმა განაცხადა, რომ მხოლოდ რელიგიური ცერემონიის საშუალებით იყვნენ დაქორწინებულნი და არ გააჩნდათ სამოქალაქო ქორწინების დამადასტურებელი მოწმობა. 2010 წელს ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევის თანახმად, 15-44 წლის ასაკის ქალების 2 პროცენტი იმყოფება რელიგიურ ქორწინებაში და არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. 2013 წლის შინამეურნეობის ინტეგრირებული კვლევის შედეგად ირკვევა, რომ 15-44 წლის ასაკის ქალების მხოლოდ 3,7 პროცენტი იმყოფება პარტნიორთან არარეგისტრირებულ კავშირში. რეკომენდებულია შემდგომი მოსახლეობის აღწერის დროს საქართველომ გამოიყენოს იმ ქვეყნებში აპრობირებული პრაქტიკა, რომლებშიც დიდი რაოდენობით დე ფაქტო ქორწინებები ფიქსირდება და რომელიც ერთმანეთისაგან ასხვავებს ქორწინებებს, რომლებიც არ არის ფორმალურად რეგისტრირებული სამოქალაქო წესით, მაგრამ აღიარებულია საეკლესიო წესით და ქორწინებებს, რომლებიც საერთოდ არ არის რეგისტრირებული.

ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს იმაზე, რომ ქორწინებების რაოდენობა, რომლებიც 1990-იანი წლების შუახანებიდან 2008 წლის ჩათვლით შედგა, სრულად არ ყოფილა დათვლილი სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემაში. ეს ერთგვარად მოულოდნელია, იმის გათვალისწინებით, რომ პირველი ბავშვების რეგისტრაციის მონაცემები შედარებით სრულყოფილი სახით მოიპოვება. ჩვეულებრივ, მოსალოდნელია საპირისპირო - ქორწინება წარმოადგენს სამართლებრივ აქტს, რომელიც, თავისთავად გულისხმობს, რომ უნდა დარეგისტრირდეს მაშინ, როცა დაბადებისას ბავშვის რეგისტრაცია მშობლების ნებაზეა დამოკიდებული. კიდევ ერთი შესაძლო ახსნა იმაში მდგომარეობს, რომ დაბადების ფაქტიურზე მეტი რეგისტრაცია ასევე ვრცელდება პირველ ბავშვებზეც. თუმცა ამ შემთხვევაშიც არსებობს გაურკვევლობა, ვინაიდან გამოდის, რომ ზოგიერთი წყვილი ქორწინდება საქართველოს ფარგლებს გარეთ, ხოლო პირველი შვილის დაბადებას საქართველოში არეგისტრირებს.

ცხრილში 6.1 წარმოდგენილია საქართველოში 15 წლის და უფროსი ასაკის მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის ანგარიშებიდან გამომდინარე.

საქორწინო ასაკის, ანუ 18 წელზე უფროსი ასაკის, ქალების 14,3 პროცენტი არასოდეს ყოფილა ქორწინებაში. მიუხედავად იმისა, რომ ქალებში ქორწინების მედიანური ასაკი 22,0 წელზე ცოტა მეტია, მოსახლეობის აღწერისას, 18 წლამდე ასაკის ქალების საკმაოდ დიდმა პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი ქორწინებაში იმყოფებოდნენ. ქვეყნის მასშტაბით, 15-17 წლის ასაკის 3 598 გოგომ ანუ ამ ასაკის გოგონების მთლიანი რაოდენობის 7,5 პროცენტმა

ცხრილი 6.1: 15 წლის და უფროსი ასაკის მამაკაცებისა და ქალების ქორწინებითი მდგომარეობა (პროცენტებში)

	არასოდეს ყოფილა ქორწინებაში	ქორწინებაში მყოფი	ქვრივი	განქორწინებული	არ არის მითითებული	სულ
მამაკაცები	24,7	64,6	3,4	2,3	5,0	100
ქალები	16,5	57,4	18,3	4,3	3,5	100

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

განაცხადა, რომ ისინი ქორწინებაში იმყოფებოდნენ ან განქორწინებული იყვნენ. როგორც მოსალოდნელი იყო, სასოფლო დასახლებებში მცხოვრები 15–17 წლის გოგონების უფრო მაღალი პროცენტი (10,9 პროცენტი) იმყოფებოდა ქორწინებაში, ვიდრე საქალაქო დასახლებებში (4,4 პროცენტი). ამ ტიპის ქორწინებათა უმრავლესობა არ იყო რეგისტრირებული. ამავდროულად, სასოფლო დასახლებებში მცხოვრები 15–17 წლის გოგონების 3,8 პროცენტმა და საქალაქო დასახლებებში მცხოვრები იმავე ასაკის გოგონების 1,5 პროცენტმა განაცხადა, რომ მათი ქორწინება იყო რეგისტრირებული. ვინაიდან არასრულწლოვანთა ქორწინების

ცხრილი 6.2: 40–44 წლის ასაკის იმ მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში

ქვეყანა	მამაკაცები	ქალები	წელი
სომხეთი	10,5	9,2	2011
აზერბაიჯანი	5,1	8,2	2014
ბულგარეთი	33,5	18,5	2014
საქართველო[20]	9,1	8,9	2002
მოლდავეთი	5,2	1,3	2012
რუმინეთი	15,6	9,7	2011
რუსეთი	8,2	6,6	2010
თურქეთი	5,4	6,7	2013
უკრაინა	4,4	3,0	2012

წყარო: "ქორწინების მონაცემთა მსოფლიო ბაზა", გაეროს მოსახლეობის განყოფილება. 2015 წ.

20 აქ წარმოდგენილია ამ წყაროდან მიღებული უახლესი ინფორმაცია, სულ მცირე მამაკაცების პროცენტული წილის შესახებ. კიდევ უფრო ახალი მონაცემები არსებობს ამ კატეგორიის ქალების შესახებ. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემებით მამაკაცების 9,0 პროცენტი და ქალების 13,8 პროცენტი არასდროს ყოფილა ქორწინებაში.

საკითხი მნიშვნელოვანია გენდერული თვალსაზრისით, ამგვარ ქორწინებათა რეგიონების მიხედვით გადანაწილებისა და ეთნიკური და რელიგიური თავისებურებების შესახებ დეტალური ინფორმაცია შესულია იმ მონოგრაფიაში, რომელიც ეძღვნება გენდერის საკითხებს.

როგორც *ცხრილში 6.2* მოცემული საერთაშორისო მონაცემების შედარებით ირკვევა, საქართველოში 40–44 წლის ასაკის იმ მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, რეგიონის სხვა ქვეყნების მსგავსია, ან, რიგ შემთხვევებში, უსწრებს კიდეც სხვა ქვეყნებს და შეადგენს დაახლ. 5–10 პროცენტს. რეგიონში ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც განსხვავებული სიტუაცია აქვს ამ თვალსაზრისით, არის ბულგარეთი (და, მეტ-ნაკლებად, რუმინეთი), სადაც იმ ქალებისა და განსაკუთრებით მამაკაცების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, მნიშვნელოვნად მაღალია, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში.

დემოგრაფიული ანალიზისთვის დამახასიათებელია ყურადღების გამახვილება მოსახლეობის კატეგორიაზე, რომელიც არასოდეს ყოფილა ქორწინებაში, რის საფუძველზეც წარმოებს ჰაჯნალის ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის გამოანგარიშება.[21] თუმცა მრუდი, რომელიც

21 ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის (SMAM) გამოიანგარიშება შემდეგნაირად: 15-ს პლუს საშუალო რაოდენობა იმ წლებისა, რომელსაც 15 წლის ასაკში დასაქორწინებელი მაგრამ 50 წლის ასაკამდე ერთხელ მაინც დაქორწინებული პირი ატარებს დასაქორწინებლის სტატუსით. წარმოებს რა 15-დან 50 წლამდე ნებისმიერი ასაკის დაუქორწინებელი პირების პროცენტული წილის ინტერპრეტირება, იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ ასაკში ნებისმიერი მოცემული პირი შესაძლებელია კვლავ

გრაფიკი 6.1: იმ მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში, საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით



წყარო: საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული გაანგარიშება, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

აჩვენებს დაუქორწინებელი პირების პროცენტულ წილს წლოვანების მიხედვით, წარმოაჩენს სხვა საინტერესო მახასიათებლებსაც. მაგ., მიუხედავად იმისა, რომ მამაკაცები ქალებთან შედარებით დაახლ. 4 წლით გვიან ქორწინდებიან (მამაკაცები – 25,9 წელი; ქალები – 22,0 წელი), საბოლოო ჯამში, ქალებთან შედარებით უფრო ნაკლები მამაკაცი რჩება დაუქორწინებელი და მცირე სხვაობა აღინიშნება საქალაქო და სასოფლო დასახლებების მოსახლეობას შორის. სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალები, საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ ქალებთან შედარებით 2-3 წლით ადრე ქორწინდებიან. *გრაფიკზე 6.1* ნაჩვენებია საქალაქო დასახლებებში (ცისფერი მრუდები) და სასოფლო დასახლებებში (ნაცრისფერი მრუდები) მცხოვრები იმ მამაკაცებისა (უწყვეტი მრუდი) და ქალების (წყვეტილი მრუდი) პროცენტული წილები, რომლებიც არასოდეს ყოფილან ქორწინებაში. *გრაფიკზე 6.1* იკვეთება რამდენიმე მახასიათებელი.

*გრაფიკზე 6.3*ა არის ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა სხვაობები ფიქსირდება რეგიონებს შორის სასოფლო და საქალაქო დასახლებებში მცხოვრები ქალების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის თვალსაზრისით. ამასთან, ცალ-ცალკეა მოწოდებული მონაცემები რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი და არარეგისტრირებულ (ყველა სხვა ტიპის ქორწინებაში) მყოფი ქალების შესახებ. აღნიშნული მონაცემის გამოანგარიშებისას, ნებისმიერი ტიპის არარეგისტრირებული ქორწინებაში მყოფი ქალი მიჩნეულია, როგორც გაუთხოვარი. საჭიროა აღინიშნოს, რომ

არ იმყოფებოდეს ქორწინებაში, მიღებული მონაცემი წარმოადგენს პირველი ქორწინების ტიპურ ასაკს და მისი გამოანგარიშება წარმოებს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელმისაწვდომი არ არის ინფორმაცია ქორწინების ასაკის შესახებ. საქართველოს შემთხვევაში, ამგვარი ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სამოქალაქო რეესტრიდან, თუმცა სამოქალაქო რეესტრში ინფორმაცია ხელმისაწვდომია მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინებების შესახებ, რომლის საფუძველზეც შეუძლებელია სოციო-ეკონომიკური ანალიზის წარმოება. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის მონაცემი არ ვრცელდება მეორე და შემდგომ ქორწინების შემთხვევებზე.

*ცხრილში 6.3*ა მოყვანილი მონაცემები აბსოლუტური სიზუსტით არ ასახავს რეალობას და შესაძლოა ფაქტობრივად არსებულ მონაცემებზე ნაკლები იყოს. ეს გამოწვეულია იმით, რომ მოსახლეობის აღწერისას მრავლად იყო შემთხვევა, როდესაც ახალგაზრდა ქალებმა არ მიუთითეს ქორწინებითი მდგომარეობის შესახებ, რომელთა უმრავლესობა, სავარაუდოდ, არასოდეს ყოფილა ქორწინებაში.

მამაკაცების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი ასახულია *ცხრილში 6.3*ბ.

*ცხრილებში 6.3*ა *და 6.3*ბ მნიშვნელოვანი სხვაობა იკვეთება ზოგადად ქორწინების ასაკსა და რეგისტრირებული ქორწინების ასაკს შორის.[22] ვინაიდან სამოქალაქო რეგისტრაციის სისტემა გვაწვდის ინფორმაციას მხოლოდ რეგისტრირებული ქორწინებების შესახებ, მხოლოდ სამოქალაქო რეესტრიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე გამოანგარიშებული ქორწინების საშუალო ასაკი არაზუსტია და, რიგ შემთხვევებში, 4 ან 5 წლით აღემატება ქორწინების ფაქტობრივ ასაკს. მაგ., ქვემო ქართლის სოფლებში ქალების ქორწინების საშუალო ასაკი, ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, შეადგენს 25,2 წელს, თუმცა პირველი კავშირის ფაქტობრივი ასაკი 19,9 წელია.

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი წყვილების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის (ქალებისთვის – 25,9 წელი; მამაკაცებისთვის – 29,5 წელი) შედარება შესაძლებელია დაბადების რეგისტრის მიერ აღრიცხულ ქორწინებებში მყოფი წყვილების საშუალო ასაკთან. 2015 წელს, ქალების ქორწინების საშუალო ასაკი შეადგენდა 28,2 წელს, ხოლო მამაკაცების – 31,5 წელს. ერთი შეხედვით ცდომილება საკმაოდ დიდი ჩანს, თუმცა გასათვალისწინებელია ორი ფაქტორი:

1. ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი ითვალისწინებს მხოლოდ პირველ ქორწინებას მაშინ, როცა დაბადების რეგისტრში წარმოებს ასევე მეორე და შემდგომი ქორწინებების რეგისტრაცია. 2015 წელს ქალების პირველი ქორწინების საშუალო ასაკი, დაბადების რეგისტრის მონაცემების თანახმად, შეადგენდა 27,1 წელს, ხოლო მამაკაცების – 30,4 წელს. უკანასკნელ წლებში ხელახალი ქორწინების რაოდენობის ზრდა წარმოადგენს 2002 წლიდან 2015 წლამდე პერიოდში ქალებისა და მამაკაცების ქორწინების საშუალო ასაკის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორს (აღნიშნული მაჩვენებელი ქალებში გაიზარდა 25,3 წლიდან 28,2 წლამდე, ხოლო მამაკაცებში – 29,1 წლიდან 31,5 წლამდე); აქვე აღსანიშნავია, რომ ადგილი აქვს პირველი ქორწინების საშუალო ასაკის რეალურ ზრდასაც.
2. ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის გამოანგარიშება არ წარმოებს მხოლოდ მოსახლეობის აღწერის შედეგების საფუძველზე, არამედ ეყრდნობა მოსახლეობის აღწერამდე 15-20 წლის განმავლობაში დაფიქსირებილი ტიპიური ასაკების აწონილ საშუალოს. პირველი ქორწინების ტიპური ასაკის ზრდასთან ერთად, მოსალოდნელია, რომ ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი უფრო დაბალი იქნება, ვიდრე 2015 წლის მონაცემებით პირველი ქორწინების საშუალო ასაკი, მაგრამ უფრო მაღალი იქნება, ვიდრე 2002 წლის ანალოგური მონაცემი, რასაც რეალურადაც აქვს ადგილი.

ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მისი გამოანგარიშება წარმოებს რამდენიმე სოციო-ეკონომიკური ფაქტორის გამოყენებით, რომელთა შესახებაც ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი დაბადების რეგისტრის მონაცემთა ბაზაში. მაგ., *ცხრილში 6.4*

22 განმარტების თანახმად, ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის გამოანგარიშება წარმოებს თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში იმ პირების პროცენტული წილის საფუძველზე, რომლებიც აცხადებენ, რომ არასდროს ყოფილან ქორწინებაში. ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის თვალსაზრისით სხვაობა ყველა ტიპის ქორწინებასა და რეგისტრირებულ ქორწინებებს შორის დგინდება მხოლოდ იმ პირების პროცენტული წილის გათვალისწინებით, რომლებიც აცხადებენ, რომ არ იმყოფებიან ქორწინებაში (ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი ყველა ტიპის ქორწინებების შემთხვევაში) ან იმ პირების პროცენტული წილის გათვალისწინებით, რომლებიც აცხადებენ, რომ არ იმყოფებიან ქორწინებაში ან იმყოფებიან არარეგისტრირებულ ქორწინებაში (ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი, რეგისტრირებული ქორწინებების შემთხვევაში).

ცხრილი 6.3ა: ქალების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი, ქორწინების ტიპის, რეგიონისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით

რეგიონი	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრი-რებული	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრი-რებული	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრი-რებული
თბილისი	24,6	27,5	23,4	27,5	24,6	27,5
აჭარა	22,6	24,3	22,2	23,5	22,4	24,0
გურია	20,6	22,3	21,8	23,7	21,5	23,3
იმერეთი	22,1	24,3	22,3	24,8	22,2	24,5
კახეთი	21,7	26,6	21,0	26,0	21,1	26,2
მცხეთა-მთიანეთი	23,1	27,3	23,0	28,7	23,0	28,4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	22,2	24,5	23,3	24,9	23,0	24,8
სამეგრელო და ზემო სვანეთი	22,1	24,0	22,3	24,2	22,2	24,1
სამცხე-ჯავახეთი	22,6	24,6	21,6	23,7	21,9	24,0
ქვემო ქართლი	22,6	26,8	19,9	25,2	21,2	25,9
შიდა ქართლი	22,2	25,2	22,0	26,2	22,1	25,7
საქართველო	23,6	26,4	21,6	25,0	22,9	25,9

ცხრილი 6.3ბ: მამაკაცების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი , ქორწინების ტიპის, რეგიონისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით

რეგიონი	საქალაქო დასახლებები		სასოფლო დასახლებები		სულ	
	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრი-რებული	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრი-რებული	ყველა ტიპის ქორწინება	რეგისტრი-რებული
თბილისი	27,6	29,7	27,0	29,8	27,6	29,7
აჭარა	26,9	27,9	27,3	28,2	27,1	28,1
გურია	26,7	27,9	28,0	29,1	27,6	28,7
იმერეთი	27,0	28,3	29,3	30,7	28,1	29,5
კახეთი	26,9	30,1	27,2	30,3	27,2	30,2
მცხეთა-მთიანეთი	28,3	30,9	28,2	31,6	28,2	31,5
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	29,9	30,6	32,0	32,7	31,4	32,1
სამეგრელო და ზემო სვანეთი	28,0	29,0	29,5	30,7	28,9	30,0
სამცხე-ჯავახეთი	27,2	28,4	26,6	28,1	26,8	28,2
ქვემო ქართლი	26,8	29,5	25,9	29,3	26,3	29,4
შიდა ქართლი	27,2	28,8	28,0	30,2	27,7	29,6
საქართველო	27,4	29,2	27,7	29,8	27,5	29,5

წყარო: საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული გაანგარიშება, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

წარმოდგენილია მონაცემები ქორწინების პირობითი საშუალო ასაკის შესახებ, განათლების მიღწეული დონის მიხედვით.

ამდაგვარი შედარებების გაკეთება შესაძლებელია ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის (ნაჩვენები არ არის). შედარების

ცხრილი 6.4: ყველა ტიპის ქორწინებისათვის ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი, განათლების მიღწეული დონისა და სქესის მიხედვით

განათლების დონე	**მამაკაცები**	**ქალები**
დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	29,9	26,3
მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი	28,3	24,9
ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი	28,0	24,4
პროფესიული განათლება ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ბაზაზე	27,8	23,3
პროფესიული განათლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ბაზაზე	27,7	23,0
პროფესიული განათლება ზოგადი განათლების დაწყებითი ბაზაზე	28,0	22,2
სრული ზოგადი განათლება	27,2	21,8
ზოგადი განათლების საბაზო საფეხური	27,0	20,4
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	26,5	18,7
ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე დაბალი	27,0	21,5
სულ	27,5	22,9

წყარო: საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული გაანგარიშება, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილში 6.4 შესული მონაცემების საფუძველზე დგინდება, რომ მამაკაცების პირველი ქორწინების ასაკი თითქმის უცვლელია განათლების მიღწეული დონის მიუხედავად, თუმცა ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სხვაობა აღინიშნება ქალებში. კერძოდ, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე ქალების ქორწინების საშუალო ასაკი შეადგენს 26,3 წელს, მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე ქალებისათვის – 24,9 წელს, ხოლო მხოლოდ დაწყებითი ზოგადი განათლების მქონე ქალებისათვის – 18,7 წელს. პირველი ქორწინების ასაკის მხრივ არსებული მინიმალური სხვაობა, რომელიც ფიქსირდება განათლების სხვადასხვა დონის მქონე მამაკაცებს შორის, სავარაუდოდ განპირობებულია მათი, როგორც ოჯახის მარჩენალის, ტრადიციული როლით. განათლების დონის მიუხედავად, ეს როლი მამაკაცებისგან მოითხოვს ოჯახის ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფას.

შედეგად დგინდება, რომ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, ქორწინების ასაკში არსებული სხვაობა ძალიან მცირეა; გამონაკლისს წარმოადგენენ ეთნიკური აზერბაიჯანელები, რომლებიც ადრეულ ასაკში ქორწინდებიან (მამაკაცების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი – 24,7 წელი; ქალების – 18,6 წელი). ეთნიკურად ქართველი და რუსი მამაკაცების ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი ყველაზე მაღალია (27,8 წელი და 28,0 წელი, შესაბამისად), ისევე როგორც ეთნიკურად ქართველი ქალების (23,3 წელი). ქორწინების ასაკში სხვაობა ფიქსირდება რელიგიურ ჯგუფებს შორისაც; მუსლიმებში ქორწინების პირობითი საშუალო ასაკი ყველაზე დაბალია (მამაკაცებისთვის – 25,2 წელი, ხოლო ქალებისთვის – 19,9 წელი). ყველაზე გვიან ქორწინდებიან პირები, რომლებიც არც ერთი რელიგიას არ მიეკუთვნებიან (მამაკაცები 29,8 წლის ასაკში, ხოლო ქალები – 24,9 წლის ასაკში).

რეგისტრირებული და სხვა ტიპის ქორწინებებს შორის სხვაობის შეფასება ასევე

გრაფიკი 6.2: ფორმალურად რეგისტრირებული ქორწინებების პროცენტული წილი მამაკაცებისა და ქალებისთვის, საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით



წყარო: საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული გაანგარიშება, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

შესაძლებელია ასაკის მიხედვით, ოფიციალურად დარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი და არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილის გამოანგარიშებით. *გრაფიკზე 6.2* ნაჩვენებია ქვეყნის მასშტაბით აღნიშნული ტენდენცია მამაკაცებისა და ქალებისათვის. თითოეულ შემთხვევაში ამოსავალს წარმოადგენს იმ პირების რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ, რომ რეგისტრირებულ ან სხვა ტიპის არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან. როგორც *გრაფიკიდან 6.2* ირკვევა, არაფორმალური ქორწინებების რაოდენობა საკმაოდ მაღალია, განსაკუთრებით რეპროდუქციულ ასაკში (20 პროცენტზე მაღალი). გარდა ამისა, ამ თვალსაზრისით დიდი სხვაობა არ ფიქსირდება სქესთა შორის ან ქალაქის და სოფლის მოსახლეობას შორის. აღსანიშნავია, რომ 40 წლის ასაკის შემდეგ აღნიშნული კავშირების უმეტესობა ოფიციალურად რეგისტრირდება.

ცხრილი 6.5 : ქორწინებათა პროცენტული წილი რეგისტრაციის ტიპის მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	ოფიციალურად რეგისტრირებული ქორწინება	რელიგიური ქორწინება	თანაცხოვრება	N
18-24	76,8	13,0	10,2	69
25-34	79,6	11,9	8,5	235
35-44	82,7	7,5	9,8	254
45-54	92,2	3,3	4,5	271
55-64	97,3	2,2	0,5	224
65+	95,5	2,0	2,5	201
სულ	88,5	5,9	5,6	1 254

წყარო: კავკასიის ბარომეტრის კვლევის (CRRC, 2013) მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული გამოანგარიშება

გრაფიკი 6.3: ქვრივების პროცენტული წილი, სქესის, ასაკისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით



წყარო: საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული გაანგარიშება, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

გრაფიკზე 6.3 წარმოდგენილია საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით ქვრივი მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი. დაქვრივების თვალსაზრისით ასაკის მიხედვით მნიშვნელოვანი სხვაობა აღინიშნება მამაკაცებისა და ქალების პროცენტულ წილებს შორის და უმნიშვნელო სხვაობა ფიქსირდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის. ეს ვითარება ხშირად ფიქსირდება მსგავსი ანალიზისას და ძირითადად განპირობებულია სამი ფაქტორით:

1. ქალების მოკვდაობის მაჩვენებელი, განსაკუთრებით ხანდაზმულ ასაკში, ნაკლებია, ვიდრე მამაკაცების. შესაბამისად, მეტია ალბათობა იმისა, რომ ქალი დაქვრივდეს, ვიდრე პირიქით. ქვრივ ქალებსა და მამაკაცებს შორის რიცხობრივი სხვაობის გარდა, მამაკაცები უფრო ხანდაზმულ ასაკში ქვრივდებიან (საშუალოდ 72,2 წელი), ვიდრე ქალები (საშუალოდ 68,7 წელი).
2. პირველი ქორწინებისას ასაკობრივი სხვაობის გამო, დაქორწინებულ წყვილში ქალები ზოგადად მამაკაცებზე უმცროსები არიან, რაც დაქვრივების ფაქტორს აძლიერებს, ანუ ქალები უფრო ადრეულ ასაკში ქვრივდებიან.
3. საოჯახო-პარტნიორულ ურთიერთობებში, ქალების ფიზიკური მიმზიდველობა უფრო მეტად არის ასაკზე დამოკიდებული, ვიდრე მამაკაცებისა. მამაკაცები ნაყოფიერებას ინარჩუნებენ ცხოვრების თითქმის მთელი ციკლის მანძილზე მაშინ, როცა ქალების რეპროდუქციული ფუნქცია დაახლ. 45 წლის ასაკში სრულდება (Miller, 2015; Feingold, 1992). გარდა ამისა, ქალისთვის ხელახალი ქორწინება არ არის ადვილი, ვინაიდან რეპროდუქციულ ასაკში მათ უმრავლესობას ჰყავს მათზე დამოკიდებული შვილები, რაც ამცირებს ქალის ხელახალი ქორწინების პერსპექტივებს.

გრაფიკზე 6.3 ორ მრუდს შორის სხვაობა უფრო გამოკვეთილია საქართველოში, ვიდრე სხვა ქვეყნებში, რაც შესაძლებელია

დიდწილად გამოწვეული იყოს საქართველოში ქალებისა და მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის არსებული საკმაოდ დიდი განსხვავებით (8,5 წელი). სამწუხაროდ, საქართველოში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დროს გამოყენებულ კითხვარში არ ყოფილა შეტანილი კითხვა იმის თაობაზე, არსებული ქორწინება პირველ ქორწინებას წარმოადგენს თუ მეორე და შემდგომ ქორწინებას, რაც მესამე ალტერნატივის დაზუსტებაში დაგვეხმარებოდა.

განქორწინებულ პირთა პროცენტული წილი, წესით, მსგავსი უნდა იყოს ქვრივ ქალთა და მამაკაცთა პროცენტული წილისა. თუმცა, *ცხრილში 6.4* მოყვანილი მონაცემები საკმაოდ განსხვავებულია, რაც განპირობებულია შემდეგით:

1. ქვრივობისგან განსხვავებით, რაც მამაკაცებთან შედარებით უფრო ხშირია ქალებში, განქორწინებული მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა თავდაპირველად უნდა იყოს თანაბარი და მათ შორის სხვაობა მხოლოდ განქორწინების შემდგომ პერიოდში უნდა ფიქსირდებოდეს; შესაბამისად, ქალებისა და მამაკაცების მრუდები, მეტ-ნაკლებად მსგავსი უნდა იყოს. თუმცა, დაქვრივებული მამაკაცებზე მეტად, განქორწინებული მამაკაცები ქორწინდებიან ხელახლა უფრო ხშირად, ვიდრე განქორწინებული ქალები.
2. საერთო ჯამში, საქართველოში განქორწინება უფრო იშვიათია, ვიდრე დაქვრივება, განსაკუთრებით ქალების შემთხვევაში. გარდა ამისა, საქართველოში განქორწინების შემთხვევებმა მხოლოდ ბოლო წლებში იმატა. აქედან გამომდინარე, განქორწინებულ პირთა ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება დაახლ. 45 წლის ასაკის პირებში. 60 წელს გადაცილებულ პირთა თაობაში განქორწინება ჯერ ისევ გამონაკლისს წარმოადგენდა.
3. საქალაქო დასახლებებში, ახალგაზრდებში განქორწინების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე სასოფლო დასახლებებში. *გრაფიკზე 6.4* აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით გამოკვეთილია ქალების შემთხვევაში. საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ მამაკაცთა შორისაც განქორწინების მაჩვენებელი უფრო მაღალია, ვიდრე სასოფლო დასახლებებში, თუმცა არსებული სხვაობა არ არის ისეთი დიდი, როგორც ქალების შემთხვევაში. სავარაუდოდ ეს უკავშირდება იმ ფაქტს, რომ საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ მამაკაცებში ხელახალი ქორწინების ტენდენცია უფრო ძლიერია.

განქორწინებული მამაკაცების და ქალების პროცენტული წილი გაცილებით მაღალია თბილისში (ქალების 6,8 პროცენტი და მამაკაცების 4,0 პროცენტი), ვიდრე სხვა ნებისმიერ რეგიონში. რთული ასახსნელია ქვემო ქართლში განქორწინებული ქალების მაღალი პროცენტული მაჩვენებელი (4,2 პროცენტი) და, ასევე, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში განქორწინებული მამაკაცებს პროცენტული წილი (2,1 პროცენტი), რომელიც აჭარბებს განქორწინებული ქალების პროცენტულ წილს (1,5 პროცენტი). განქორწინებების რაოდენობა გაიზარდა დროთა განმავლობაში, რასაც შესაძლებელია ნაწილობრივ ხელი შეუწყო იმ ფაქტმა, რომ XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში ქორწინებათა დიდი რაოდენობა დაურეგისტრირებელი იყო.

ბოლო პერიოდამდე, ხელახალი ქორწინება საქართველოში იშვიათობას წარმოადგენდა. 2009 წლამდე, ოფიციალური (რეგისტრირებული) ქორწინებების 96 პროცენტი, ორივე სქესისთვის, წარმოადგენდა პირველ ქორწინებას. 2009 წლიდან მოყოლებული, მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელახალი ქორწინებების რაოდენობა და 2015 წელს დაქორწინებულ წყვილებში ქალების 9,9 პროცენტი და მამაკაცების 11,7 პროცენტი სულ მცირე ერთხელ უკვე იყვნენ ქორწინებაში. ხელახალი ქორწინებების რაოდენობის ზრდა უშუალოდ უკავშირდება განქორწინების რაოდენობის ზრდას (იხ. ქვემოთ), ვინაიდან ხელახალი ქორწინებების დიდი უმრავლესობა მოდის განქორწინებულ პირებზე და არა ქვრივებზე. 2015 წელს, დაქორწინებულ წყვილებში ქალების მხოლოდ 1,0 პროცენტი და

გრაფიკი 6.4: განქორწინებულ პირთა პროცენტული წილი, სქესის, ასაკისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით



წყარო: საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით წარმოებული გაანგარიშება, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

მამაკაცების მხოლოდ 0,8 პროცენტი იყო ქვრივი. საჭიროა აღინიშნოს, რომ ქალების პროცენტული მაჩვენებელი მცირედით აღემატება მამაკაცების მაჩვენებელს, რაც იმით აიხსნება, რომ ქვრივი ქალების რაოდენობა აჭარბებს ქვრივ მამაკაცთა რაოდენობას, შესაბამისად, ხელახლა ქორწინების ალბათობა ქვრივ მამაკაცებში, რაც არ უნდა დაბალი იყოს, მაინც დაახლ. 5-ჯერ აღემატება ქვრივი ქალების ხელახლა ქორწინების ალბათობას, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ქვრივი ქალები ქვრივ მამაკაცებზე საშუალოდ 3,5 წლით უმცროსები არიან (იხ. ზევით). თუმცა ბოლო პერიოდში ქვრივ ქალებში ხელახალი ქორწინებების გარკვეული ზრდა დაფიქსირდა, როგორც რაოდენობრივად, ასევე ქვრივი მამაკაცების ხელახალი ქორწინებების მაჩვენებელთან შედარებით. მაგ., 2002 წელს დაქორწინებულ წყვილებში ქალების მხოლოდ 0,35 პროცენტი და მამაკაცების 0,75 პროცენტი იყო ქვრივი.

ცხრილში 6.6 ნაჩვენებია განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები (ყოველ 1 000 მოსახლეზე, ასაკისა და ქორწინებითი მდგომარეობის გათვალისწინების გარეშე)

ცხრილი 6.6: განქორწინების ზოგადი კოეფიციენტები ყოველ 1 000 მოსახლეზე, საქართველოში და მის მეზობელ ქვეყნებში, 2010–2013 წწ.

ქვეყანა	2010	2011	2012	2013
სომხეთი	3,2	1,0		
აზერბაიჯანი	1,0	1,2	1,2	1,2
ბულგარეთი	1,5	1,4	1,6	1,5
საქართველო[23]	1,1	1,3	1,6	
მოლდავეთი	3,2	3,1	3,0	
რუმინეთი	1,6	1,8	1,6	1,4
რუსეთი	4,5	4,7	4,5	
თურქეთი	1,6	1,6	1,6	1,6
უკრაინა	2,7	4,0	3,7	3,6

წყარო: "დემოგრაფიული წელიწდეული", გაეროს სტატისტიკის განყოფილება, 2014 წ.

23 საქართველოს მაჩვენებლები ფაქტობრივად ძალიან დაბალია, ვინაიდან ისინი ეფუძნება მოსახლეობის მეტობით შეფასებას. მოსახლეობის 2014 წლის აღწერის შედეგებზე დაყრდნობით კორექტირებული მაჩვენებლების თანახმად, განქორწინების ზოგადი კოეფიციენტი 2010 წლისათვის იქნებოდა 1,3, 2011 წელს – 1,6, 2012 წელს – 1,9, 2013 წელს – 2,2 და 2014 წელს – 2,5.

ცხრილი 6.7: ერთი და იგივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის ქორწინებების პროცენტული წილი, საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით

ეთნიკური ჯგუფი	სულ	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები
ქართველი	97,5	96,7	98,5
აზერბაიჯანელი	97,6	90,8	99,1
სომეხი	79,5	66,1	93,0
სხვა ეთნიკური ჯგუფები	32,9	31,0	37,6
ყველა ჯგუფი	96,9	95,7	98,4

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში. განქორწინების მზარდი ტენდენცია საქართველოში მეტად არის გამოხატული, ვიდრე მის მეზობელ ქვეყნებში. სხვა მხრივ, საქართველოში დაფიქსირებული განქორწინების მაჩვენებლები მსგავსია სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის, მაგრამ ჩამოუვარდება რუსეთის, უკრაინისა და მოლდავეთის მაჩვენებლებს.

საქართველოში შედარებით იშვიათია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის ქორწინება. ქვეყანაში დაქორწინებული წყვილების 96,9 პროცენტი ერთი და იგივე ეთნიკურ ჯგუფს განეკუთვნება (ქართველები ძირითადად ქორწინდებიან ქართველებზე, აზერბაიჯანელები აზერბაიჯანელებზე, სომხები სომხებზე და ა.შ.). წყვილების 97,5 პროცენტი, რომლებშიც ერთ პარტნიორი ქართველია, მეორე პარტნიორიც ქართველია (ქალაქის მოსახლეობაში – 96,7 პროცენტი; სოფლის მოსახლეობაში – 98,5 პროცენტი). აღნიშნული ტენდენცია ბუნებრივია, ვინაიდან ქართველები საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას ქმნიან. თუმცა მსგავსი ტენდენცია ფიქსირდება ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაშიც, სადაც მსგავსი ქორწინებები 97,6 პროცენტს შეადგენს; აქიდან ქალაქის მოსახლეობაში – 90,8 პროცენტს, ხოლო სასოფლო დასახლებებში – 99,1 პროცენტს. ეთნიკურად სომეხ მოსახლეობაში ვითარება სხვაგვარადაა, იმ წყვილების 20,5 პროცენტი, რომელთაგან ერთ-ერთი პარტნიორი სომეხია, მეორე პარტნიორი სხვა ეთნიკურ ჯგუფს წარმოადგენს. ქალაქის მოსახლეობაში ეს მაჩვენებელი ერთ მესამედს შეადგენს, ხოლო სასოფლო დასახლებებში – 7 პროცენტს. შერეული ქორწინებების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (67,1 პროცენტი) ფიქსირდება „სხვა ეთნიკურ ჯგუფებში", რომელთა შორისაც არიან ეთნიკურად რუსი და უკრაინელი მოსახლეობა. აღსანიშნავია, რომ, 17 793 წყვილიდან, რომლებშიც ერთ-ერთი პარტნიორი „სხვა ეთნიკურ ჯგუფს" განეკუთვნება, ხოლო მეორე არა, ყველაზე მრავლად არის წარმოდგენილი წყვილები, რომელთა ერთი პარტნიორი ქართველი მამაკაცია, ხოლო მეორე „სხვა ეთნიკურ ჯგუფს" წარმოადგენს (10 317). აღნიშნული ტენდენციის შესაძლო მიზეზი არის ის, რომ საქართველოში დაბრუნებულ ემიგრანტებს (რომელთა უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ) თან ჩამოჰყავთ უცხოელი პარტნიორები. ამავე კატეგორიაში, რიგით მეორე დიდ ჯგუფს ქმნიან ქართველი ქალები, რომელთა პარტნიორებიც „სხვა ეთნიკურ ჯგუფს" განეკუთვნებიან (5 113).

7. მოკვდაობა

მსგავსად შობადობის სტატისტიკისა, საქართველოში მოკვდაობის სტატისტიკის სიზუსტეც დავის საგანია. კერძოდ, წულაძე და სხვები (2013 წ.) იყენებენ კორექტირების საკმაოდ მაღალ კოეფიციენტს 2004 წლიდან 2011 წლამდე პერიოდისათვის ბუნებრივი მოძრაობის სტატისტიკის სისტემის საშუალებით მიღებულ მოკვდაობის მონაცემებთან დაკავშირებით. შედეგად, 1990 წლიდან 2012 წლამდე პერიოდისათვის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მაჩვენებელი მეტ-ნაკლებად უცვლელია და მამაკაცებში საშუალოდ 67 წელს შეადგენს, ხოლო ქალებში – 75 წელს. საქსტატის გაანგარიშებით, რომელიც ძირითადად სამოქალაქო რეესტრის მონაცემებს ეყრდნობა, სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა საქართველოში იზრდება და 2012 წლისათვის, მამაკაცების შემთხვევაში დაახლ. 70 წელს, ხოლო ქალების შემთხვევაში – დაახლ. 79 წელს შეადგენს.

წულაძისა და სხვების (2013 წ.; ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2016 წ.) შეფასებისგან განსხვავებით, არსებული გადაანგარიშების მოდელი არ იყენებს მოკვდაობის მოდელურ ცხრილებს, რომლებიც შექმნილია კოულისა, დემენისა და ვონის მიერ (Coale, Demeny & Vaughan, 1983), ან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ. ნაცვლად ამი-

ცხრილი 7.1ა: მამაკაცების მოკვდაობის ცხრილი, 2010–2014 წწ.; ასაკის მიხედვით გარდაცვალების შემთხვევათა რაოდენობის შესახებ მონაცემებისა და მოსახლეობის შესახებ გადაანაგარიშების მოდელში დადგენილი მონაცემების ბაზაზე

მამაკაცები	${}_nm_x$	${}_nq_x$	${}_nd_x$	l_x	${}_nL_x$	T_x	e_x
0	15,32	15,14	1 514	100,000	98 789	6 772 296	67,72
1	0,56	2,23	219	98 486	393 409	6 673 507	67,76
5	0,30	1,49	146	98 267	490 987	6 280 097	63,91
10	0,37	1,86	182	98 121	490 174	5 789 110	59,00
15	0,79	3,96	388	97 938	488 850	5 298 936	54,10
20	1,47	7,32	714	97 550	486 099	4 810 086	49,31
25	1,75	8,73	845	96 837	482 189	4 323 987	44,65
30	2,58	12,81	1 230	95 991	477 083	3 841 799	40,02
35	3,67	18,17	1 722	94 761	469 718	3 364 716	35,51
40	5,50	27,13	2 524	93 040	459 130	2 894 998	31,12
45	8,90	43,58	3 945	90 516	443 311	2 435 867	26,91
50	12,89	62,55	5 415	86 571	419 915	1 992 556	23,02
55	18,74	89,64	7 275	81 156	388 293	1 572 641	19,38
60	26,70	125,35	9 261	73 881	346 812	1 184 348	16,03
65	37,49	171,83	11 104	64 620	296 199	837 536	12,96
70	57,77	252,93	13 535	53 516	234 314	541 337	10,12
75	88,56	362,73	14 502	39 980	163 761	307 023	7,68
80	142,38	520,18	13 253	25 478	93 085	143 262	5,62
85	243,64	1000,00	12 225	12 225	50 177	50 177	4,10

წყარო: 2014–2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

ცხრილი 7.1ბ: ქალების მოკვდაობის ცხრილი, 2010–2014 წწ.; ასაკის მიხედვით გარდაცვალების შემთხვევათა რაოდენობის შესახებ მონაცემებისა და მოსახლეობის შესახებ გადაანგარიშების მოდელში დადგენილი მონაცემების ბაზაზე

ქალები	$_nm_x$	$_nq_x$	$_nd_x$	l_x	$_nL_x$	T_x	e_x
0	11,91	11,80	1 180	100 000	99 056	7 652 568	76,53
1	0,47	1,89	187	98 820	394 799	7 553 513	76,44
5	0,24	1,20	119	98 633	492 841	7 158 714	72,58
10	0,21	1,05	103	98 515	492 337	6 665 873	67,66
15	0,30	1,49	147	98 411	491 709	6 173 536	62,73
20	0,35	1,73	170	98 265	490 885	5 681 826	57,82
25	0,49	2,46	241	98 095	489 876	5 190 941	52,92
30	0,75	3,76	368	97 854	488 453	4 701 065	48,04
35	1,05	5,26	513	97 487	486 222	4 212 612	43,21
40	1,66	8,26	801	96 974	483 006	3 726 390	38,43
45	2,67	13,27	1 276	96 173	477 864	3 243 384	33,72
50	4,20	20,82	1 976	94 897	469 950	2 765 520	29,14
55	6,62	32,60	3 029	92 921	457 650	2 295 570	24,70
60	10,49	51,18	4 601	89 892	438 647	1 837 919	20,45
65	17,14	82,46	7 033	85 291	410 278	1 399 273	16,41
70	31,54	146,98	11 503	78 257	364 659	988 995	12,64
75	59,41	260,30	17 376	66 755	292 468	624,336	9,35
80	108,07	426,00	21 035	49 379	194 642	331 868	6,72
85	206,55	1000,00	28 344	28 344	137 226	137 226	4,84

წყარო: 2014–2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

სა, გადაანგარიშება გაკეთდა სქესისა და ერთწლიანი ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით გარდაცვალების შემთხვევათა რაოდენობის ბაზაზე და შედეგები გამოყენებული იქნა საქართველოში მოკვდაობის ემპირიული ცხრილების შესადგენად. *ცხრილებში 7.1ა* და *7.1ბ* შესულია ამგვარი გადაანგარიშების შედეგები 2010–2014 წლების პერიოდისათვის.

წარმოდგენილი მოკვდაობის ცხრილების (იხ. ცხრილები 7.1ა და 7.1ბ) თანახმად, მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მხრივ საქართველოში მცხოვრებ მამაკაცებსა (67,72 წელი) და ქალებს (76,53 წელი) შორის. სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის გამოანგარიშება მოხდა 2002–2004 წლების პერიოდისა და 2005–2009 წლების პერიოდისთვის. 2002–2004 წლებში მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელმა ხანგრძლივობამ შეადგინა 66,62 წელი, ხოლო ქალებისამ – 73,67 წელი; 2005–2009 წლებში ეს მონაცემები შეადგენდა 65,86 წელსა და 74,64 წელს, შესაბამისად. აღნიშნული მიუთითებს საქართველოში მოსახლეობის აღწერებს შორის მოკვდაობის თვალსაზრისით არსებული ვითარების გაუმჯობესებაზე, ვინაიდან მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა

გაიზარდა 1,10 წლით, ხოლო ქალების – 2,86 წლით; შესაბამისად, გაიზარდა სხვაობაც სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის თვალსაზრისით მამაკაცებსა და ქალებს შორის, რომელიც 2002 წელსაც ისედაც საკმაოდ დიდი იყო. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ეს ტენდენცია გამონაკლისს არ წარმოადგენს. უჩვეულოა ის, რომ წლების მიხედვით მონაცემების თანახმად, 2002–2004 და 2005–2009 წლებში აშკარაა მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შემცირება. გარკვეულწილად, ეს უკავშირდება 2008 წლის კონფლიქტს, რომლის შედეგადაც მამაკაცთა სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა შემცირდა 64,95 წლამდე. მაგრამ 2005–2007 წლებშიც შეინიშნებოდა აღნიშნული მაჩვენებლის კლება, როდესაც სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა 66,20 წელს შეადგენდა. მსგავს ტენდენციას აღწერს წულაძე საკუთარ ნაშრომში.

ცხრილში 7.2 ერთმანეთთან შედარებულია საქართველოსა და მის მეზობელი ქვეყნებში მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მონაცემები.

ცხრილი 7.2: მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა, საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში, 2010–2014 წწ.

ქვეყანა	მამაკაცები	ქალები
სომხეთი	70,64	77,03
აზერბაიჯანი	68,58	74,55
ბულგარეთი	70,83	77,78
საქართველო[24]	68,47	76,97
მოლდავეთი	66,74	75,21
რუმინეთი	71,35	78,37
რუსეთი	64,66	75,92
თურქეთი	71,53	78,12
უკრაინა	66,07	76,02

წყარო: „მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივების“ 17 წლის გადახედვა, გაეროს მოსახლეობის განყოფილება.

24 გაეროს მონაცემები, საქართველოს შემთხვევაში, მოიცავს აფხაზეთისა (საქართველო) და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის (საქართველო) ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობასაც და ამ მონაცემების მოპოვება განხორციელდა აქ გამოყენებული მეთოდოლოგიისაგან განსხვავებული მოთოდოლოგიის გამოყენებით.

როგორც *ცხრილიდან 7.2* ირკვევა, გაეროს მოსახლეობის განყოფილების მონაცემები საქართველოში მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შესახებ მცირედით აღემატება გადაანგარიშების მოდელში მოცემულ მონაცემებს. აღნიშნულის მიზეზს შესაძლებელია წარმოადგენდეს ის, რომ გადაანგარიშების მოდელში მოკვდაობის მაჩვენებელი კორექტირება მოხდა მცირედი მეტობით. საჭიროა აღინიშნოს, რომ გაეროს მოსახლეობის განყოფილების ანგარიშსა (2015 წლის გადახედვა) და გადაანგარიშების შედეგად მიღებულ მონაცემებს შორის სხვაობა გაცილებით დიდი იყო, თუმცა, 2017 წლის გადახედვის მიხედვით მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა დაახლ. 2,5 წლით იქნა შემცირებული, ხოლო ქალების – დაახლ. 1,25 წლით. გაეროს მოსახლეობის განყოფილების თანახმად, საქართველოში მოკვდაობა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების (მოლდავეთი, რუსეთი, უკრაინა) მაჩვენებლებთან შედარებით დაბალია. მოკვდაობის თვალსაზრისით, სქესთა შორის სხვაობა (8,50 წელი) საკმაოდ დიდია, მაგრამ ნაკლებია, ვიდრე რუსეთსა ან უკრაინაში. წინამდებარე მონოგრაფიაში გამოყენებული სქესთა შორის სხვაობის მაჩვენებელი (8,82 წელი) საკმაოდ მაღალია, თუმცა უფრო ნაკლებია, ვიდრე გაეროს მოსახლეობის განყოფილების მიერ განსაზღვრული რუსეთისა და უკრაინის ანალოგური მაჩვენებლები. წულაძისა და სხვების (2013 წ.) თანახმად, მამაკაცებსა და ქალებს შორის სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის სხვაობა კიდევ უფრო დიდია და შეადგენს 9,6 წელს.

სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შეფასებისას გამოყენებულ კიდევ ერთ წყაროს წარმოადგენს დუტესა და სხვების (2010 წ.) სტატია, რომელშიც, წინამდებარე ანალიზისგან განსხვავებით, გამოყენებულია მოკვდაობის მოდელური ცხრილები, კონკრეტულად კი, პრინსტონის დასავლეთის მოდელი – მამაკაცების შემთხვევაში და პრინსტონის ჩრდილოეთის მოდელი – ქალების შემთხვევაში (Coale, Demeny & Vaughan, 1983). სამწუხაროდ, მათი

გრაფიკი 7.1: საქართველოში მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ტენდენციები 1990–2006 წლებში, დუტესა და სხვების (2010 წ.) მიხედვით და 2002–2014 წლებისათვის წარმოებული გადაანგარიშების მიხედვით



წყარო: დუტე და სხვები., 2010 წ.: დანართი 3; გადაანგარიშება

გაანგარიშება არ მოიცავს 2006 წლის შემდგომ პერიოდს და, შესაბამისად, მასში არ არის ასახული ის ვარდნა, რომელიც 2008 წელს დაფიქსირდა და რომელზეც ზემოთ ვისაუბრეთ. მათი შეფასებით, 2002–2004 წლებისათვის, მამაკაცების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა შეადგენდა 68,2 წელს, ხოლო ქალების – 75,3 წელს, ანუ მათი მონაცემი მცირედით აღემატება წინამდებარე მონოგრაფიის ფარგლებში გაკეთებულ ანალიზს. *გრაფიკზე 7.1* მოცემულია მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის ტენდენციები, რომლებიც ეყრდნობა ამ კვლევას და ასევე 2002–2014 წლებისათვის გადაანგარიშების საფუძველზე მიღებულ წლიურ მონაცემებს. გადაანგარიშების საფუძველზე მიღებულ მრუდზე აშკარად იკვეთება მამაკაცების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის მკვეთრი შემცირება 2008 წელს და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობის შედარებით ნაკლები შემცირება 2009 წელს.

გასული ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვანი წინსვლა დაფიქსირდა ხუთ წლამდე ასაკის ბავშვების მოკვდაობის შემცირების თვალსაზრისით, კერძოდ, საქართველოში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების (GERHS) თანახმად, აღნიშნული მაჩვენებელი 2000 წელს შეადგენდა 45,8 შემთხვევას ყოველ 1 000 ბავშვზე, ხოლო 2010 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 16,4 ბავშვამდე ყოველ 1 000 ბავშვზე. მნიშვნელოვანად შემცირდა ასევე ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებელი, კერძოდ, 41,6-დან 14,1 შემთხვევამდე ყოველ 1 000 ცოცხლად დაბადებულზე.[25] [26] გარკვეული სხვაობა არსებობს რეგიონებს

25 საქართველოში 1999 და 2010 წლებში ჩატარებული რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევები.

26 გაეროს ბავშვთა ფონდის (2001, 2011 ბ)) თანახმად, ჩვილთა მოკვდავობის შემცირება სტაბილურად მიმდინარეობს, კერძოდ, 1990 წელს, აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენდა 65 ჩვილს ყოველ 1 000 ცოცხლად დაბადებულ ბავშვზე; 2000 წელს – 62 ჩვილს/1 000 ბავშვზე, ხოლო 2009 წელს – 42 ჩვილს/1 000 ბავშვზე. აღნიშნულის პარალელურად მცირდება ხუთ წლამდე ბავშვთა მოკვდაობაც, კერძოდ, 1990 წელს აღნიშნული კოეფიციენტი შეადგენდა 95 ბავშვს ყოველ 1 000 ბავშვზე, 2000 წელს – 84-ს, ხოლო ხოლო 2009 წელს – 60-ს.

ცხრილი 7.3: გადაანგარიშების მოდელში მოკვდაობის სტატისტიკის კორექტირების საფუძველზე მიღებული ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები ყოველ 1000 ცოცხლად დაბადებულზე, რეგიონების მიხედვით

წელი	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შუა ქართლი	საქართველო
2002	38,4	40,0	25,7	42,5	25,7	21,2	18,5	17,8	18,9	16,6	28,6	30,9
2003	41,1	40,9	25,2	39,9	23,9	22,2	19,1	20,2	21,6	15,8	29,7	31,8
2004	38,5	47,8	26,6	45,4	27,4	24,7	23,3	15,2	20,8	15,5	31,2	32,6
2005	37,2	62,1	17,0	41,3	14,8	12,4	5,9	15,0	20,0	1,4	37,4	29,6
2006	30,7	33,1	11,6	32,3	19,0	16,3	28,7	15,2	12,3	8,9	17,0	23,6
2007	24,7	30,5	17,9	34,1	12,7	11,6	6,0	11,9	6,1	10,3	12,8	20,5
2008	31,0	37,0	23,9	31,0	26,0	19,5	16,5	13,7	15,8	21,0	18,9	26,5
2009	25,8	26,3	18,4	19,1	20,3	31,5	22,6	16,1	17,3	19,8	24,8	22,5
2010	11,3	18,2	22,3	24,0	18,6	17,8	38,8	22,6	9,8	13,8	23,1	16,9
2011	10,1	16,7	14,1	14,5	13,5	11,5	6,8	19,7	12,0	16,9	14,6	13,7
2012	11,5	14,1	22,9	18,0	14,9	8,4	43,9	17,0	13,0	15,7	11,5	14,4
2013	10,5	13,7	17,0	15,1	14,1	11,7	22,1	18,1	10,8	13,0	10,7	12,9
2014	9,0	13,8	11,5	11,6	11,7	13,8	10,0	10,3	9,1	15,4	9,7	11,2

წყარო: 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

შორის ჩვილთა მოკვდაობის თვალსაზრისით: ყველაზე დაბალი კოეფიციენტი ფიქსირდება რაჭა-ლეჩხუმში და ქვემო სვანეთში, თბილისსა და იმერეთში, ხოლო ყველაზე მაღალი – სამეგრელოსა და მცხეთა-მთიანეთში. კახეთსა და შიდა ქართლში, ხუთ წლამდე ასაკის ბავშვთა მოკვდაობის შედარებით მაღალი დონე ფიქსირდება.

საქართველოში ჩატარებული ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევების (GERHS) შედეგების შედარება შესაძლებელია *ცხრილში 7.3* შესულ მონაცემებთან, რომელშიც მოცემულია ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტები რეგიონების მიხედვით; აღნიშნული კოეფიციენტები ეფუძნება მოსახლეობის აღწერის და გადაანგარიშების მოდელში მოცემულ, რეზიდენტ დაბადებულთა მონაცემებს. თუ დაბადების რეგისტრის მიერ აღრიცხული ყველა დაბადებული ბავშვის რაოდენობას ავიღებთ, როგორც მნიშვნელს და არა მხოლოდ გადაანგარიშებაში მოცემული, რეზიდენტ დაბადებულთა რაოდენობას, ჩვილთა მოკვდაობის კოეფიციენტი დაახლ. 10-15 პროცენტით ნაკლები იქნება. თუმცა, როგორც ზემოთ განვმარტეთ, მიჩნეულია, რომ დაბადებისას რეგისტრირებული ყველა ბავშვი საქართველოს მუდმივ მაცხოვრებელს არ წარმოადგენს, შესაბამისად, ზემოთ აღნიშნული მნიშვნელის გამოყენება მიზანშეწონილი არ არის.

ცხრილში 7.3 განსაკუთრებით აღსანიშნავია 2010 წლიდან ჩვილთა მოკვდაობის მაჩვენებლის მკვეთრი შემცირება. მართალია გადაანგარიშების მოდელში 2005-09 წლების მოკვდაობის მონაცემები კორექტირებულია, აღნიშნული კორექტირების კოეფიციენტი არც ერთი წელს არ აღემატება 20 პროცენტს, ხოლო ჩვილთა მოკვდაობის 2005-2009 წლების მაჩვენებლები დაახლ.

ორჯერ აღემატება 2009 წლის შემდგომ დაფიქსირებულ მაჩვენებლებს *(იხ. ცხრილი 7.3).*

მიუხედავად იმისა, რომ მამრობითი სქესის ჩვილთა და ბავშვების მოკვდაობის მაჩვენებლები უფრო მაღალია, ვიდრე მდედრობითი სქესის ჩვილთა და ბავშვების მოკვდაობის მაჩვენებლები, სხვაობა ნორმის ფარგლებშია და 10-20 პროცენტს შეადგენს. მამაკაცებისა და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობას შორის არსებული დიდი სხვაობა, მეორე მხრივ, იმაზე მეტყველებს, რომ ზრდასრულ ასაკში მამაკაცების მოკვდაობის მაჩვენებელი აღემატება ქალებისას, როგორც ამას ადგილი აქვს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ბევრ ქვეყანაში, სადაც 15-დან 60 წლის ასაკამდე (45q15) სიკვდილის ალბათობა, ქალებთან შედარებით, ორჯერ უფრო მაღალია მამაკაცებში. საქართველოშიც ანალოგური სიტუაცია ფიქსირდება, როგორც ეს ქვემოთ ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს:

პერიოდი	მამაკაცები	ქალები
2002-2004	234,9 ყოველ 1 000 მამაკაცზე	100,3 ყოველ 1 000 ქალზე
2005-2009	265,4 ყოველ 1 000 მამაკაცზე	97,2 ყოველ 1 000 ქალზე
2010-2014	245,6 ყოველ 1 000 მამაკაცზე	86,6 ყოველ 1 000 ქალზე

წყარო: 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

ამ მონაცემებიდან ასევე ირკვევა, რომ მაშინ, როცა 15-დან 60 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალების სიკვდილის ალბათობა თითქმის 14 პროცენტით შემცირდა, იგივე არ ითქმის მამაკაცების შესახებ. ამ ასაკობრივი ჯგუფის მამაკაცების სიკვდილის ალბათობა 2010-2014 წლებში მცირედით აღემატებოდა კიდეც 2002-2004 წლების მაჩვენებელს. ეს წარმოადგენს მამაკაცების და ქალების სიცოცხლის მოსალოდნელ ხანგრძლივობებს შორის არსებული სხვაობის მთავარ ფაქტორს.

გარდაცვალების მიზეზების შესახებ მონაცემები საქართველოში არასრულყოფილია. თუმცა, ხელმისაწვდომი მონაცემების (მაგ., ჯანმოს მიერ წარმოებული, ქვეყნების დაავადებათა და ტრავმების მონაცემთა ბაზის კვლევა დაავადებათა ტვირთის შესასწავლად, 2011 წ.) თანახმად, განსაკუთრებით მაღალია მამაკაცებსა და ქალებს შორის სხვაობა გარდაცვალების ზოგიერთი ასაკისთვის-დამახასიათებელი მიზეზის თვალსაზრისით, როგორიცაა მაგ., ტუბერკულიოზი (კოეფიციენტი საქართველოში: 5,8; რაც რეგიონის ქვეყნებისათვის უჩვეულო არ არის, თუმცა აღემატება სომხეთის, აზერბაიჯანისა და თურქეთის მაჩვენებელს), ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ავადმოხმარება და სხვა ნეიროფსიქიატრიული დაავადებები (კოეფიციენტი საქართველოში: 4,6; რაც ძალიან მაღალია მეზობელი ქვეყნების მაჩვენებლებთან შედარებითაც) და ჯანმრთელობის განზრახ ან უნებლიე დაზიანებები (კოეფიციენტიც საქართველოში: 5,2; რაც უფრო მაღალია, ვიდრე მეზობელ ქვეყნებში). საქართველოში ასევე განსაკუთრებით მაღალია მამაკაცებსა და ქალებს შორ. ეფიციენტი კუჭ-ნაწლავის დაავადებების მიზეზით გარდაცვალების თვალსაზრისით (3,7). აღნიშნული ტენდენცია შედეგია იმ დაუდევარი და გაუფრთხილებელი ქცევისა და საკუთარ თავზე ზრუნვის ნაკლებობისა, რაც აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ზოგიერთ ქვეყანაში მცხოვრები ზრდასრული მამაკაცების უმრავლესობის ცხოვრების წესს წარმოადგენს. გარდაცვალების სხვა მიზეზების, როგორიცაა ავთვისებიანი სიმსივნე (კოეფიციენტი: 1,5) და გულსისხლძარღვთა დაავადებები (კოეფიციენტი: 1,7) პრევალენტობა მეტ-ნაკლებად თანაბარია მამაკაცებსა და ქალებში.

8. ურბანიზაცია

მოსახლეობის 2002 და 2014 წლების აღწერების გამოქვეყნებული შედეგების თანახმად, საქართველოში ურბანიზაციის მაჩვენებელი 52,3-დან 57,2 პროცენტამდე გაიზარდა. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიჩნეულია, რომ ეს მაჩვენებელი ისტორიული დინამიკიდან გადახრას წარმოადგენს და, უფრო რეალური სურათის მისაღებად, გამოყენებული იქნა კორექტირების სხვადასხვა კოეფიციენტები ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის შემთხვევაში, რომლის შედეგადაც ურბანიზაციის მაჩვენებელმა შეადგინა 56,3 პროცენტი. აღნიშნული შედეგი მიღებულია გადაანგარიშების მოდელიდან (*იხ. ცხრილი 8.1*). არათანაბარი ზრდის მიზეზს წარმოადგენდა ურბანული ქსელის საკმაოდ გამოხატული პოლარიზება, ვინაიდან საქართველოს დედაქალაქ თბილისის მოსახლეობა საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის ნახევარზე მეტს და ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის მეოთხედზე მეტს შეადგენდა. გადაანგარიშების თანახმად, თბილისის რეგიონის მოსახლეობა 2002 წელს დაფიქსირებული 1 062 157 მოსახლიდან გაიზარდა და 2014 წელს 1 108 717 მოსახლეს მიაღწია მაშინ, როცა ქვეყნის მთლიანი მოსახლეობა 7 პროცენტით შემცირდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ თბილისის მოსახლეობის რიცხოვნობა 37 000 მოსახლით გაიზარდა 2007 წელს განხორციელებული საზღვრების ცვლილების შედეგად, როდესაც მას მცხეთა-მთიანეთისა და ქვემო ქართლის მოსახლეობის ნაწილი მიემატა. ამ მიზეზით მატების გარეშე, თბილისის მოსახლეობა, აღნიშნულ პერიოდში, 10 000-ზე ნაკლები მოსახლით გაიზარდა.

თბილისის შემდეგ, ყველაზე მრავალრიცხოვან ქალაქებს წარმოადგენს ბათუმი, ქუთაისი და რუსთავი, რომელთა მოსახლეობა 125 000-დან 175 000-მდე ფარგლებშია. ბათუმსა და რუსთავში (ამ უკანასკნელში მოსახლეობის ზრდას თბილისთან ტერიტორიული სიახლოვე განაპირობებს), მოცემულ პერიოდში, დაფიქსირდა მოსახლეობის წილის ზრდა, ქვეყნის მოსახლეობასთან მიმართებაში,[27] თუმცა ქუთაისში მოსახლეობის ზრდა ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულ მაჩვენებელზე დაბალი ტემპით მიმდინარეობდა. იერარქიულად, შემდეგ ეტაპზე იმყოფება 8 ქალაქი, რომელთა მოსახლეობა 20 000-დან 50 000-მდეა, ესენია: გორი, ზუგდიდი, ფოთი, ხაშური, სამტრედია, სენაკი, ზესტაფონი და მარნეული. ამ ქალაქებიდან უმრავლესობაში მოსახლეობის ზრდა, მოცემულ პერიოდში, ქვეყნის მასშტაბით დაფიქსირებულ ზრდის მაჩვენებელს შეესაბამებოდა, გარდა გორისა, სადაც მოსახლეობის მცირედი ზრდა დაფიქსირდა და ზუგდიდისა, სადაც მოსახლეობა შემცირდა. გარდა ამისა, საქართველოში არის 81 მცირე ქალაქი (20 000-ზე ნაკლები კაცი), სადაც, ერთად აღებული, ქვეყნის მოსახლეობის რაოდენობის დაახლ. 10 პროცენტი ბინადრობს. სოფლის მოსახლეობა შესაძლებელია დაიყოს ორ ჯგუფად: სოფლის ტიპის შედარებით დიდი დასახლებების მოსახლეობად (1 000-ზე მეტი კაცი): ამგვარი სოფლების რაოდენობა საქართველოში 414-ს შეადგენს და მათი მოსახლეობის საერთო რაოდენობა ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 22,2 პროცენტს შეადგენს; და სოფლის ტიპის შედარებით მცირე ზომის დასახლების მოსახლეობად (1 000-ზე ნაკლები მოსახლით). საქართველოში ამგვარი 3 219 სოფელია და მათი მოსახლეობის საერთო რაოდენობა ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 20,7 პროცენტს შეადგენს.

ცხრილში 8.3 მოცემულია საქართველოს მოსახლეობის განაწილება საქალაქო - სასოფლო დასახლებების, ასაკობრივი ჯგუფებისა და სქესის მიხედვით. ქალაქისა და

27 ბათუმის მოსახლეობის ზრდა, ფაქტობრივად, სრულად უკავშირდება იმ ფაქტს, რომ 2012 წელს საზღვრების ცვლილების შედეგად, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან ქ. ბათუმს შემოუერთდა 6 060 მანამდე ქალაქის მოსახლე და 27 231 მანამდე სოფლის მოსახლე.

ცხრილი 8.1: საქალაქო დასახლებების მოსახლეობის პროცენტული წილი, რეგიონების მიხედვით, გადაანგარიშების თანახმად

წელი	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შუა ქართლი	საქართველო
2002	100,0	48,8	29,4	50,3	23,6	28,8	21,4	42,8	35,1	41,3	40,0	56,3
2003	100,0	48,9	29,4	50,2	23,6	28,6	21,4	42,5	35,1	41,3	40,1	56,3
2004	100,0	48,9	29,3	50,1	23,5	28,4	21,5	42,2	35,1	41,3	40,1	56,3
2005	100,0	49,0	29,2	50,0	23,4	28,2	21,6	41,9	35,0	41,3	40,1	56,5
2006	100,0	49,0	29,2	49,8	23,3	28,0	21,6	41,6	35,0	41,3	40,1	56,5
2007	97,4	49,1	29,1	49,6	23,2	27,0	21,5	41,3	34,9	42,6	40,1	56,5
2008	97,4	49,1	28,9	49,5	23,1	26,7	21,5	40,9	34,7	42,6	40,0	56,5
2009	97,4	49,2	28,8	49,3	23,1	23,9	21,5	40,8	34,6	42,6	40,0	56,5
2010	97,4	49,2	28,7	49,1	23,0	23,6	21,5	40,5	34,5	42,6	39,9	56,5
2011	97,3	49,2	28,6	48,9	22,9	23,4	21,6	40,2	34,4	42,5	39,9	56,5
2012	97,3	55,2	28,5	48,8	22,7	23,2	21,6	39,9	34,2	42,5	39,9	56,9
2013	97,3	55,2	28,4	48,6	22,6	22,9	21,7	39,6	34,2	42,5	39,9	57,0
2014	97,3	55,3	28,2	48,5	22,5	22,7	21,8	39,3	34,1	42,5	39,9	57,1
2014 წლის აღწერა	97,3	55,3	28,1	48,4	22,5	22,5	21,7	39,1	34,1	42,5	39,9	57,2

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების საფუძველზე წარმოებული გადაანგარიშება

სოფლის მოსახლეობას შორის განსხვავება ფიქსირდება მოსახლეობის მედიანური ასაკის თვალსაზრისით, კერძოდ, მედიანური ასაკი უფრო მაღალია სასოფლო დასახლებებში (40,07 წელი), ვიდრე საქალაქო დასახლებებში (35,19 წელი). აღნიშნული უკავშირდება ეკონომიკურად აქტიურ ასაკში მყოფი მოსახლეობის სასოფლო დასახლებებიდან საქალაქო დასახლებებში მიგრაციის მაღალ დონეს, რა დროსაც სასოფლო დასახლებებში საცხოვრებლად ხანდაზმული მოსახლეობა რჩება. ვინაიდან ხანდაზმულ მოსახლეობაში ქალების რაოდენობა აჭარბებს მამაკაცებისას, თეორიულად ეს ნიშნავს იმას, რომ სასოფლო დასახლებებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი უფრო დაბალი უნდა იყოს, ვიდრე საქალაქო დასახლებებში. თუმცა რეალურად საპირისპირო ვითარება ფიქსირდება. საქართველოში, ქალაქის და

ცხრილი 8.2: საქართველოს მოსახლეობის განაწილება საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით, 2002 და 2014 წლებში

საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით	მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა		მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერა[28]
	მოსახლეობა	პროცენტი	პროცენტი
საქალაქო დასახლებები სულ:	**2 122 623**	**57,15**	**52,27**
თბილისი	1 062 282[29]	28,60	24,74
ბათუმი	152 839	4,12	2,81
ქუთაისი	147 635	3,98	4,25
რუსთავი	125 103	3,37	2,66
გორი	48 143	1,30	1,13
ზუგდიდი	42 998	1,16	1,58
ფოთი	41 465	1,12	1,08
ხაშური	33 627	0,91	0,88
სამტრედია	27 020	0,73	0,73
სენაკი	21 596	0,58	0,64
ზესტაფონი	20 814	0,56	0,59
მარნეული	20 211	0,54	0,54
81 მცირე ზომის ურბანული დასახლება	378 890	10,20	10,64
სასოფლო დასახლებები სულ:	**1 591 181**	**42,85**	**47,73**
414 სასოფლო ტიპის დასახლება >1000	822 548	22,15	
3219 მცირე ზომის სასოფლო ტიპის დასახლება	768 633	20,70	

წყარო: მოსახლეობის 2002 და 2014 წლების საყოველთაო აღწერები

28 მოსახლეობის 2002 წლის აღწერის ოფიციალური მონაცემები, კორექტირების გარეშე

29 აღნიშნული მონაცემი ასახავს მხოლოდ ქალაქ თბილისში არსებულ მდგომარეობას. თბილისის რეგიონში ქალაქის მცხოვრებთა რაოდენობა 1 078 297-ს შეადგენს.

სოფლის მოსახლეობას შორის, სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობა იკვეთება. კერძოდ, ქალაქის მოსახლეობაში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი (85,9) გაცილებით დაბალია, ვიდრე სასოფლო დასახლებებში (99,1). თუ გამოვრიცხავთ აღწერის დროს სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალების ნაკლებობით დათვლის შესაძლებლობას, აღნიშნული ვითარება აიხსნება იმით, რომ ადგილი აქვს სასოფლო დასახლებებიდან საქალაქო დასახლებებში ქალების მასშტაბურ მიგრაციას, ან საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მამაკაცებისა ან სასოფლო დასახლებებში მცხოვრები ქალების შერჩევით ემიგრაციას. შერჩევითი ემიგრაციის თაობაზე ეს ჰიპოთეზა არ დასტურდება აღწერის დროს გამოყენებული ემიგრანტის კითხვარის მონაცემებით, რომელთა თანახმადაც, სოფლის მოსახლეობაში ემიგრანტი მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა თანაბარია, ხოლო ქალაქის მოსახლეობაში ემიგრანტი ქალების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება ემიგრანტი მამაკაცებისას.

ასევე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის თვალსაზრისით განსხვავება ფიქსირდება 20 წლამდე ასაკის მოსახლეობაშიც, სადაც სქესთა რაოდენობრივ თანაფარდობაში

ცხრილი 8.3: მამაკაცებისა და ქალების გადანაწილება საქალაქო – სასოფლო დასახლებებში, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით; სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	საქალაქო დასახლებები			სასოფლო დასახლებები		
	მამაკაცები	ქალები	სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები	მამაკაცები	ქალები	სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტები
0-4	78 799	73 967	106,5	53 901	48 422	111,3
5-9	72 526	66 775	108,6	48 719	42 004	116,0
10-14	62 645	56 642	110,6	46 836	40 093	116,8
15-19	66 924	63 522	105,4	51 953	43 623	119,1
20-24	79 100	83 236	95,0	56 205	47 584	118,1
25-29	80 608	87 993	91,6	59 337	50 724	117,0
30-34	76 264	84 358	90,4	53 657	47 781	112,3
35-39	71 177	79 530	89,5	50 766	47 076	107,8
40-44	67 326	76 520	88,0	50 992	48 443	105,3
45-49	60 443	73 227	82,5	53 593	52 144	102,8
50-54	66 843	83 171	80,4	59 867	61 505	97,3
55-59	57 828	75 520	76,6	53 813	58 230	92,4
60-64	47 738	67 170	71,1	44 674	51 803	86,2
65-69	33 489	50 944	65,7	31 400	39 869	78,8
70-74	22 399	38 858	57,6	26 084	36 264	71,9
75-79	21 828	43 165	50,6	28 067	42 704	65,7
80-84	10 106	22 013	45,9	14 994	24 562	61,0
85-89	4,154	11 803	35,2	6 012	12 539	47,9
90-94	712	2 761	25,8	908	3 114	29,2
95-99	69	387	17,8	94	621	15,1
100+	...	76		...	197	
სულ	**980 985**	**1 141 638**	**85,9**	**791 879**	**799 302**	**99,1**

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

მიგრაციით გამოწვეული მკვეთრი სხვაობის არსებობის ალბათობა ნაკლებია. მაგ., საქალაქო დასახლებებში მცხოვრებ 5-15 წლის ასაკობრივი ჯგუფში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტი შეადგენს 109,5-ს, ხოლო სასოფლო დასახლებებში მცხოვრებ ბავშვებში -116,4-ს.

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს შორის მკვეთრი სხვაობა იშვიათობას არ წარმოადგენს რეგიონის ქვეყნებში. ამგვარ სხვაობას ადგილი აქვს ყოფილი საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქვეყანაში, მაგრამ არ აღინიშნება თურქეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში, რაც ცხრილით 8.4 დასტურდება.

საქართველოში, საქალაქო და სასოფლო დასახლებებში სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობის კოეფიციენტებს შორის 13,2 ერთეულის სხვაობა ყველაზე მაღალია რეგიონის ქვეყნებს შორის. ამ თვალსაზრისით მეორე ადგილზე იმყოფება სომხეთი, სადაც აღნიშნული სხვაობა შეადგენს 11,5 ერთეულს.

ცხრილი 8.4: სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა საქალაქო და სასოფლო დასახლებებში (მოსახლეობის საერთო რაოდენობაში), საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებში

ქვეყანა	საქალაქო დასახლებები	სასოფლო დასახლებები
სომხეთი	88,1	99,6
აზერბაიჯანი	97,5	100,4
ბულგარეთი	93,5	98,5
საქართველო	85,9	99,1
მოლდავეთი	88,7	95,6
რუმინეთი	91,8	100,1
რუსეთი	84,2	91,9
თურქეთი	100,6	101,7
უკრაინა	84,6	88,8

წყარო: "დემოგრაფიული წელიწდეული", გაეროს სტატისტიკის განყოფილება, 2015 წ.

9. შიდა მიგრაცია და იძულებით გადაადგილებული პირები

მოსახლეობის 2014 წლის აღწერის დროს, მთლიანი მოსახლეობის 19,93 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი 12 თვის ან მეტი დროის განმავლობაში ცხოვრობდნენ სხვაგან, მათ შორის 1,26 პროცენტი ცხოვრობდა საზღვარგარეთ. როგორც მოსალოდნელი იყო, მოსახლეობის ამ კატეგორიის პროცენტული წილი მნიშვნელოვნად მაღალია საქალაქო დასახლებებში (24,95 პროცენტი), სასოფლო დასახლებებთან შედარებით (13,24 პროცენტი); სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობას თვალსაზრისით აღსანიშნავია ის, რომ, როგორც ქალაქის, ასევე სოფლის მოსახლეობაში, იმ ქალების პროცენტული წილი, ვინც ზემოაღნიშნული დროის განმავლობაში სხვაგან ცხოვრობდა (28,63 და 20,60 პროცენტი, შესაბამისად) აღემატებოდა მამაკაცების პროცენტულ წილს (20,67 და 5,81 პროცენტი, შესაბამისად). ამგვარი სქესთა რაოდენობრივი თანაფარდობა ვრცელდება როგორც შიდა, ასევე გარე მიგრაციაზე. ბოლო პერიოდში (გასული 5 წლის მანძილზე) მიგრაცია საგრძნობლად შენელდა. საერთო ჯამში, საქალაქო დასახლებებში მცხოვრები მამაკაცების 3,49 და ქალების 4,56 პროცენტი და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მამაკაცების 1,01 და ქალების 2,81 პროცენტი წარსულში ცხოვრობდა სხვაგან და აღწერაში დაფიქსირებულ მისამართზე დამკვიდრდნენ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში; აღნიშნული მაჩვენებლები დაახლ. ოთხჯერ ნაკლებია იმ რესპოდენტებთან შედარებით, ვინაც საცხოვრებელი ადგილი შეიცვალა 15 წელზე მეტი ხნის წინ. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ, ბოლო პერიოდში ქვეყანაში შიდა მიგრაცია შენელდა. შიდა მიგრაციის პროცესში ქალები დომინირებენ, რაც სავარაუდოდ უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ბევრი ქალი ტოვებს მშობლების სახლს ქორწინების შემდეგ. იგივე არ ითქმის გარე მიგრაციაზე. საერთო ჯამში, მამაკაცების 0,29 და ქალების 0,28 პროცენტმა განაცხადა, რომ ბოლო 5 წლის პერიოდში ჩამოვიდნენ საზღვარგარეთიდან.

ასაკის მიხედვით, მონაცემების მთელ რიცხვებამდე დამრგვალებისა და მოკვდაობის მონაცემებზე დაყრდნობით დამატებითი კორექტირების შედეგად, 2002 წლისა და მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერებს შორის პერიოდში, შიდა მიგრაციული სალდო შემდეგნაირად გამოიყურება:

საქართველოს რეგიონი	შიდა მიგრაციული სალდო
თბილისი	69 224
აჭარა	– 9 274
გურია	– 5 002
იმერეთი	– 28 258
კახეთი	– 9 440
მცხეთა-მთიანეთი	– 1 648
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი:	– 3 244
სამეგრელო და ზემო სვანეთი	– 17 644
სამცხე-ჯავახეთი	– 4 068
ქვემო ქართლი	19 664
შიდა ქართლი	– 10 310

წყარო: 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

აღნიშნულის თანახმად, თბილისი და ქვემო ქართლი, წარმოადგენს რეგიონებს, რომლებსაც, 2002 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში შიდა მიგრაციის დადებითი სალდო აქვს.

ცხრილი 9.1: მიგრანტების რაოდენობა რეგიონების მიხედვით, 2002 წლისა და 2014 წლის აღწერათაშორის პერიოდში, მონაცემები ასახავს ბოლო მიგრაციას[30] (მიგრაციის საწყისი წერტილი მარცხენა სვეტში, მიგრაციის დანიშნულების ადგილი ზედა ვერტიკალურ მწკრივში)

დანიშნულების ადგილი / რეგიონი, საიდანაც განხორციელდა მიგრაცია	თბილისი	აჭარა	გურია	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთიანეთი	რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	სამეგრელო და ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქართლი	შუა ქართლი
აჭარა	308	2 243	2 739	9 559	10 444	4 825	1 459	5 876	1 838	9 806	5 560
გურია	6 759	20 279	2 830	1 496	953	170	34	780	947	4 992	468
იმერეთი	6 319	2 814	2 913	1 071	207	108	40	488	138	1 168	279
კახეთი	33 863	2 123	940	28 755	813	596	1 028	2 255	813	3 566	1 758
მცხეთა-მთიანეთი	19 614	436	168	522	14 857	505	23	175	195	4 362	500
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	6 804	75	51	228	571	7 936	14	78	116	1 133	878
სამეგრელო და ზემო სვანეთი	2 796	26	53	1 774	110	57	936	69	18	927	151
სამცხე-ჯავახეთი	19 137	1 074	464	2 724	602	298	68	14 145	186	2 716	444
ქვემო ქართლი	4 673	576	140	644	293	142	13	129	7 367	1 895	899
შუა ქართლი	7 978	612	265	1 061	2 350	590	260	502	442	6 434	1 165

წყარო: 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

30 კორექტირების შედეგად, მონაცემები მთელ რიცხვებში არ არის გამოხატული, თუმცა, თვალსაჩინოებისთვის განხორციელდა ამ მონაცემთა დამრგვალება.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, აფხაზეთსა (საქართველო) და ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში (საქართველო) მიმდინარე კონფლიქტების შედეგად, იქ მცხოვრები ქართველი მოსახლეობის უმრავლესობა იძულებული შეიქნა დაეტოვებინა ეს ტერიტორიები. 1999 წელს ჩეჩნეთში მიმდინარე კონფლიქტმა გამოიწვია თავშესაფრის ძიებაში მყოფი ჩეჩნეთის მოსახლეობის მოულოდნელი შემოდინება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ პერიოდიდან მოყოლებული, ლტოლვილთა რაოდენობა შემცირდა მათი სამშობლოში დაბრუნების, სხვა ქვეყნებში მიგრაციის, ან საქართველოს მოქალაქეობის მიღების ხარჯზე: 1999 წელს ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან (რუსეთის ფედერაცია) გადმოსული 9 000 ლტოლვილიდან, 2012 წლისთვის საქართველოში მხოლოდ 345 პირი დარჩა, ძირითადად რუსეთის ფედერაციიდან. თუმცა,

ცხრილი 9.2: იძულებით გადაადგილებული პირები, ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილის (რეგიონი) და იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მიღებამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით

ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილი (რეგიონი)	სულ	საცხოვრებელი ადგილი (რეგიონი) იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მიღებამდე		
		აფხაზეთი	მცხეთა-მთიანეთი (ახალგორი)	ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი (ცხინვალი)
თბილისი	81 488	75 874	896	4 718
აჭარა	3 414	3 345	...*	60
გურია	744	719	...*	20
იმერეთი	18 687	18 476	12	199
კახეთი	1 586	1 250	11	325
მცხეთა-მთიანეთი	9 564	984	5 634	2 946
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	734	716	...*	17
სამეგრელო და ზემო სვანეთი	47 298	47 251	...*	37
სამცხე-ჯავახეთი	1 267	1 138	...*	120
ქვემო ქართლი	11 314	8 236	168	2 910
შიდა ქართლი	13 543	1 765	289	11 489
საქართველო	189 639	159 754	7 044	22 841

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

** შემთხვევათა რაოდენობა არ აღემატება 10-ს.*

2008 წელს ცხინვალის რეგიონში/სამხრეთ ოსეთში განხორციელებულ სამხედრო აგრესიას მოსახლეობის მრავალრიცხოვანი ჯგუფების გადაადგილება მოყვა და, შედეგად, იძულებით გადაადგილებულ პირთა რიცხვი 26 000-მდე გაიზარდა.[31] ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა (იგპ), განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს მიერ მოწოდებული სტატისტიკის თანახმად, იძულებით გადაადგილებული პირების რაოდენობა 2014 წლის სექტემბრის მდგომარეობით შეადგენდა დაახლოებით 260 000 პირს.

ცხრილში 9.3 შესულია ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულ პირთა რაოდენობის შესახებ, ასაკისა და სქესის მიხედვით.

31 იძულებით გადაადგილებულ პირები – ზოგადი ინფორმაცია. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. (თარიღი უცნობია), ხელმისაწვდომია მისამართზე: http://mra.gov.ge/eng/static/47

აფხაზეთიდან (საქართველო) დევნილთა შორის აშკარად ჭარბობენ ქალები, რომლებიც ქვეყანაში აღრიცხული იძულებით გადაადგილებულ პირების უმრავლესობას შეადგენენ, ხოლო ცხინვალის რეგიონიდან/სამხრეთ ოსეთიდან (საქართველო) დევნილ შედარებით მცირერიცხოვან ჯგუფში, ქალების რაოდენობა უმნიშვნელოდ აღემატება მამაკაცების რაოდენობას. მოსახლეობის აღწერის მონაცემებით, სხვაობა ფიქსირდება იძულებით გადაადგილებულ მამაკაცებსა და ქალებს შორის, ასაკს თვალსაზრისითაც. იძულებით გადაადგილებულ 20 წლამდე ახალგაზრდებს შორის მამაკაცები ჭარბობს. თუმცა ასაკის მატებასთან ერთად იზრდება იძულებით გადაადგილებული ქალების პროცენტული წილიც, განსაკუთრებით საქალაქო დასახლებებში. საქალაქო დასახლებებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ქალების 47,0 პროცენტი 40 წელზე უფროსი ასაკისაა მაშინ, როცა საქალაქო

ცხრილი 9.3: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს აღრიცხული იძულებით გადაადგილებული პირები, ასაკის, სქესისა და საქალაქო – სასოფლო დასახლებების მიხედვით

ასაკობრივი ჯგუფი	სულ			საქალაქო დასახლებები			სასოფლო დასახლებები		
	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები	ორივე სქესი	მამაკაცები	ქალები
სულ	**189 639**	**86 774**	**102 865**	**140 070**	**63 835**	**76 235**	**49 569**	**22 939**	**26 630**
0-4	13 340	6 854	6 486	10 151	5 173	4 978	3 189	1 681	1 508
5-9	14 159	7 410	6 749	10 650	5 532	5 118	3 509	1 878	1 631
10-14	12 971	6 847	6 124	9 346	4 881	4 465	3 625	1 966	1 659
15-19	13 033	6 670	6 363	9 033	4 569	4 464	4 000	2 101	1 899
20-24	13 018	6 341	6 677	9 757	4 683	5 074	3 261	1 658	1 603
25-29	13 979	6 617	7 362	10 602	5 055	5 547	3 377	1 562	1 815
30-34	13 569	6 213	7 356	10 270	4 810	5 460	3 299	1 403	1 896
35-39	13 156	5 888	7 268	9 884	4 600	5 284	3 272	1 288	1 984
40-44	12 053	5 195	6 858	8 933	3 963	4 970	3 120	1 232	1 888
45-49	11 672	4 904	6 768	8 592	3 588	5 004	3 080	1 316	1 764
50-54	12 869	5 478	7 391	9 405	3 959	5 446	3 464	1 519	1 945
55-59	12 207	5 192	7 015	9 055	3 768	5 287	3 152	1 424	1 728
60-64	10 791	4 632	6 159	7 996	3 333	4 663	2 795	1 299	1 496
65-69	7 066	3 044	4 022	5 144	2 174	2 970	1 922	870	1 052
70-74	5 449	2 148	3 301	3 867	1 502	2 365	1 582	646	936
75-79	5 473	1 818	3 655	3 903	1 235	2 668	1 570	583	987
80-84	3 100	1 105	1 995	2 196	723	1 473	904	382	522
85+	1 734	418	1 316	1 286	287	999	448	131	317

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

დასახლებებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული მამაკაცების მხოლოდ 38,4 განეკუთვნება ამ ასაკობრივ ჯგუფს.

იძულებით გადაადგილებული პირების შესახებ მონაცემების ნაკლებობის გამო, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრომ ჩაატარა საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები იგპ-თა აღწერა; აღნიშნული აღწერა ემსახურებოდა ამ ჯგუფის რაოდენობის, მათი განაწილების, ქართულ საზოგადოებაში მათი ინტეგრირების დონის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოპოვებასა და მათი საჭიროებების შეფასებას. აღნიშნული აღწერა ემყარება რეგისტრაციას (იგპ-თა ხელახალი რეგისტრაცია) და მიმდინარეობდა 2013 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით.

იძულებით გადაადგილებულ პირთა განსაკუთრებულ კატეგორიას წარმოადგენს ე.წ. „ეკო-მიგრანტები". საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სტიქიური უბედურებები არ წარმოადგენს იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მინიჭების საფუძველს (Lyle, 2013), რაც ეკო-მიგრანტებს სამართლებრივი დაცვის გარეშე ტოვებს. თუმცა, მოსახლეობის აღნიშნული ჯგუფი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. შესაბამისი სამინისტროს (ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო) მიერ მოკვლეულია მონაცემები მთიანი რეგიონების მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების შესახებ და 2004 წლიდან საქართველოს მთავრობის ინიციატივით ხორციელდება სპეციალური პროგრამა, რომელიც გულისხმობს ეკო-მიგრანტების საცხოვრისებით უზრუნ-

ველყოფას. 2006 წლიდან, გაცილებით ქმედითი ღონისძიებების გატარება დაიწყო, რაც მოიაზრებდა სპეციალური პროგრამის ფარგლებში ოფიციალური მონაცემთა ბაზის შექმნას, სტიქიური უბედურებების მიერ დაზარალებული იმ ოჯახების შესახებ ინფორმაციის თავმოყრის მიზნით, ვინც დაუყოვნებლად საჭიროებდნენ ახალი საცხოვრებლებით დაკმაყოფილებას. 2011 წლისათვის, მთავრობის დახმარებით განხორციელდა დაახლ. 1 000 ოჯახის საცხოვრებლით დაკმაყოფილება. ეკო-მიგრანტთა უმრავლესობა აჭარაშია თავმოყრილი, სადაც არსებულ სიტუაციას ართულებს მოსახლეობის სწრაფი ზრდის ტემპი და თავისუფალი მიწის ნაკვეთების ნაკლებობა. აჭარაში მრავალსულიანი ოჯახების მზარდი საჭიროებების დაკმაყოფილებას მოჰყვა ტყეების გაჩეხვა და მაღალმთიანი ტერიტორიების სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის გამოყენება, რაც თავისთავად ზრდის ბუნებრივი კატასტროფების რისკს.

10. გარე მიგრაცია

ყველა წყარო თანხმდება, რომ საქართველოში გარე მიგრაციის სტატისტიკა პრობლემატური საკითხია. წლების განმავლობაში, ქვეყანა ღია საზღვრების პოლიტიკას ატარებდა და 80-ზე მეტი ქვეყნის მოქალაქეებისთვის უვიზო მიმოსვლა ჰქონდა. საქართველოს მოქალაქეებმა სხვა ქვეყნებში ემიგრირებისთვის უნდა მოიპოვონ სპეციალური ნებართვა, რასაც ბევრი მოქალაქე არ აკეთებს. მიგრაციის მონაცემების თვალსაზრისით გარკვეული გაუმჯობესებაა მოსალოდნელი უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების კვალდაკვალ, რომელიც ძალაში 2014 წელს შევიდა. ახალი კანონის თანახმად, შინაგან საქმეთა სამინისტროს ბაზაზე შეიქმნა მონაცემთა ბაზა, რომელშიც თავს იყრის ინფორმაცია საზღვრის გადაკვეთის, ვიზებისა და გაცემული ბინადრობის ნებართვების შესახებ, ასევე ექსტრადიციის გადაწყვეტილებების, საქართველოში დარეგისტრირებული უცხოური კომპანიების და ა.შ. შესახებ.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, მიგრაცია განპირობებული იყო სამი ფაქტორით – სამშობლოში დაბრუნების მიზნით ეთნიკური უმცირესობების მასიური გადინებით ქვეყნიდან (რეპატრიაცია); ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას მიზნით ემიგრაცია და ომების, კონფლიქტების, პოლიტიკური არეულობის ან კორუფციისგან თავის დაღწევის მიზნით ემიგრაცია. მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის[32] შედეგების (ანუ მუდმივი მოსახლეობის) ზედმეტად შეფასების ალბათობის მიუხედავად, დადგინდა, რომ საქართველოს მოსახლეობა ერთი მილიონით ნაკლები იყო, ვიდრე 1989 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დროს.[33] 2000-იანი წლების დასაწყისისათვის, იმ ადამიანების უმრავლესობას, რომელთაც ქვეყნის დატოვების შესაძლებლობა და სურვილი ჰქონდათ, უკვე დატოვებული ჰქონდათ ქვეყნის საზღვრები და შედეგად, ამ პერიოდისათვის ემიგრაცია შემცირდა (Jones, 2013: 193, 204-205). სავარაუდოდ, ამ შემცირებაში გარკვეული როლი ითამაშა საქართველოში უკეთესი ეკონომიკური პერსპექტივების გაჩენამ და საზღვარგარეთ მიგრაციის შესაძლებლობების შეკვეცამ.

გლობალური მიგრაციის მონაცემთა ბაზის (Sander, Abel & Bauer) (ვიტგენშტაინის ცენტრი) თანახმად, საქართველოდან საბჭოთა კავშირის ქვეყნებში (ძირითადად რუსეთის ფედერაციაში) მიგრაციის სტაბილური შემცირება ფიქსირდება. კერძოდ, მოსახლეობის გადინება 1990-95 წლებში 400 000 მიგრანტიდან 2005-2010 წლებში, დაახლ. 150 000 მიგრანტამდე შემცირდა. საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში მიგრაცია 1990-1995 წლებში დაფიქსირებული დაახლ. 300 000 მიგრანტიდან 60 000 მიგრანტამდე შემცირდა 2005-2010 წლებში. ამასთანავე, სასექსის უნივერსიტეტში არსებული განვითარების კვლევის ცენტრის გლობალური მიგრაციის მონაცემთა ბაზა, რომელიც მიგრანტთა ნაკადების ნაცვლად, მიგრანტთა არსებულ რაოდენობებს იკვლევს, მის 2013 წლის გამოცემაში (ვერსია 4) აღნიშნავს, რომ ქართველ ემიგრანტთა რიცხოვნობა მილიონს აჭარბებდა და ისინი ძირითადად ქვემოთ მოცემულ ქვეყნებში ცხოვრობდნენ:

32 *რეზიდენტი მოსახლეობა სქესის მიხედვით (ინგლისურად); თარიღი უცნობია. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://www.Geostat.ge/cms/site_images/_files/english/census/2002/01%20Population%20By%20Municipalities%20and%20sex.pdf*

33 *გაურკვეველია, როგორ იქნა ასახული ამ მონაცემებში კონფლიქტით დაზარალებული ტერიტორიები. შედარებით დაბალი მაჩვენებლები, შესაძლებელია, ამ მიზეზს უკავშირდებოდეს. Всесоюзная перепись населения 1989 года. Национальный состав населения по республикам СССР (რუსულად) Демоскоп Weekly. ხელმისაწვდომია მისამართზე: http://demoscope.ru/weekly/ssp/sng_nac_89.php?reg=6;*

ქვეყანა	ემიგრანტთა რიცხოვნობა
რუსეთი	628 973
უკრაინა	95 680
საბერძნეთი	71 692
სომხეთი	70 138
გერმანია	30 177
ისრაელი	17 512
აზერბაიჯანი	12 630
პაკისტანი	12 553
აშშ	11 974
ლატვია	7 064
ჰონგ კონგი	7 064
თურქეთი	6 511
ქუვეითი	5 895
იორდანია	5 073

წყარო: გლობალური მიგრაციის მონაცემთა ბაზა, სასექსის უნივერსიტეტი

მაშინ, როცა ზემოთ მოყვანილი მონაცემების ნაწილი ეყრდნობა აღნიშნულ ქვეყნებში ჩატარებული მოსახლეობის აღწერის შედეგებს, ნაწილი ამ მონაცემებისა ემყარება სტატისტიკურ გამოთვლებს. ამ სფეროში არსებული მრავალი უზუსტობის მიუხედავად, ეჭვგარეშეა, რომ საქართველოში, გარე მიგრაციის დინამიკაში წამყვანი ადგილი ემიგრაციას უჭირავს, არა მხოლოდ იმ თვალსაზრისით, რომ ემიგრანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება იმიგრანტების რაოდენობას, არამედ ასევე იმ თვალსაზრისითაც, რომ იმიგრანტების უმეტესობა ემიგრაციიდან სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენს, რომლებსაც, ზოგჯერ თან ჩამოჰყავთ მეუღლეები იმ ქვეყნებიდან, სადაც ისინი ემიგრანტებად იმყოფებოდნენ. საქართველოში იმიგრაციის ავტონომიური ნაკადები ძირითადად შემოიფარგლება აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან და რუსეთის ფედერაციიდან იმიგრირებული მცირერიცხოვანი ჯგუფებით.

როგორც წინამდებარე მონოგრაფიის მოსახლეობის ზრდისა და მასთან დაკავშირებული კომპონენტებისადმი მიძღვნილ თავში გვქონდა საუბარი, 2012-2014 წლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ თავმოყრილი გარე მიგრაციის სტატისტიკისა და 2002 წლიდან 2014 წლამდე რეგიონში დაფიქსირებული მოსახლეობის ტენდენციების საფუძველზე დგინდება, რომ 2002-დან 2014 წლამდე, საქართველოდან ემიგრირებული პირების რაოდენობამ შეადგინა 1,15 მილიონი პირი, ხოლო საქართველოში იმიგრანტების რაოდენობამ – 875 000 პირი. ეს უკანასკნელი მოიცავს უცხოელებსაც, თუმცა, უმრავლესობა საქართველოში დაბრუნებული ქართველები არიან.

11. იმიგრაცია

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად საქართველოში მცხოვრები იმ პირების რაოდენობამ, რომლებმაც განაცხადეს, რომ საქართველოს ფარგლებს გარეთ იყვნენ დაბადებულნი, შეადგინა 66 230 ადამიანი (მთლიანი მოსახლეობის 1,8 პროცენტი). გარდა ამისა, 30 693 პირმა არ მიუთითა თუ რომელ ქვეყანაში იყვნენ დაბადებულნი. იმ 66 230 პირიდან, რომლებიც ცნობილია, რომ არ არიან დაბადებული საქართველოში, დაახლ. ნახევარი (30 341 პირი) დაბადებულია რუსეთის ფედერაციაში; სხვა ქვეყნები, რომლებშიც დაბადებულია საქართველოში მცხოვრები, მაგრამ საზღვარგარეთ დაბადებული პირების უმეტესობა, არის სომხეთი (9 158 პირი), უკრაინა (6 879 პირი) და აზერბაიჯანი (6 604 პირი). მცირეა საბერძნეთში, გერმანიაში და ა.შ. დაბადებული პირების რაოდენობა. ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ მოსახლეობაში საზღვარგარეთ დაბადებული პირების რაოდენობა მცირეა, ვინაიდან ეთნიკურად აზერბაიჯანელი (სულ 233 024 პირი) და ეთნიკურად სომეხი მოსახლეობის (სულ 168 102 პირი) დიდი უმრავლესობა საქართველოშია დაბადებული.

მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს დაფიქსირებული იმიგრანტების უმრავლესობას სამშობლოში დაბრუნებული ემიგრანტები შეადგენდნენ (79 630 მამაკაცი და 57 657 ქალი). იმიგრანტების შედარებით მცირე რაოდენობა საზღვარგარეთ დაბადებული პირები არიან (15 736 მამაკაცი და 30 881 ქალი). როგორც *ცხრილიდან 11.1* ირკვევა, სამშობლოში დაბრუნებულ პირთა უმრავლესობას საქართველოში რუსეთის ფედერაციიდან ჩამოსული პირები შეადგენენ. შედარებით მცირე რაოდენობა წარმოადგენენ უკრაინიდან, საბერძნეთიდან და თურქეთიდან ჩამოსულ პირებს. ამ ბოლო ორი ქვეყნიდან დაბრუნებულ პირებს შორის ჭარბობდნენ ქალები მაშინ, როცა რუსეთის ფედერაციიდან და უკრაინიდან დაბრუნებულ პირების უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენდნენ. წარმომავლობის ქვეყნების მიხედვით, არამკვიდრი მოსახლეობის განაწილება მეტ-ნაკლებად მსგავსია სამშობლოში დაბრუნებული მკვიდრი მოსახლეობის განაწილების; იმიგრანტების უდიდესი წილი რუსეთის ფედერაციიდან იყო, შედარებით დიდი პროცენტული წილი მოდიოდა, ასევე, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩამოსულ მოსახლეობაზე და მცირე რაოდენობა - საბერძნეთიდან ჩამოსულ მოსახლეობაზე. არამკვიდრ იმიგრანტებს შორის ჭარბობდნენ ქალები მაშინ, როცა სამშობლოში დაბრუნებულ მკვიდრ მოსახლეობას შორის მამაკაცები დომინირებენ. აღნიშნული ტენდენცია აიხსნება ქართველი მამაკაცების შრომით მიგრაციით რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში, სადაც ბევრი მათგანი ქორწინდება ადგილობრივ ქალებზე და სამშობლოში მეუღლეებთან ერთად ბრუნდება.

მოსახლეობის აღწერის შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებისაგან. მოსახლეობის აღწერის თანახმად, 2012-2014 წლებში იმიგრანტთა საერთო რაოდენობაში 17 449 მამაკაცი და 16 008 ქალია. შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით კი, საქართველოში იმიგრირებულ პირებს შორის 147 265 მამაკაცი და 96 417 ქალი დაფიქსირდა. აღნიშნული სხვაობა ნაწილობრივ აიხსნება იმათ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიტერიუმით, იმიგრანტის კვალიფიკაცია ეძლევა პირს ქვეყანაში 6 თვის მანძილზე დარჩენის შემთხვევაში მაშინ, როცა მოსახლეობის აღწერის დროს იგივე კრიტერიუმი მინიმუმ 1 წელს გულისხმობს. ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა 2014 წლისთვის მოიცავს ამავე წლის ნოემბრისა და დეკემბრის მონაცემებს მაშინ, როცა მოსახლეობის აღწერა მოიცავს პერიოდს 2014 წლის 5 ნოემბრამდე.

ცხრილი 11.1: 2002–2014 წლებში, იმიგრანტი მამაკაცებისა და ქალების პროცენტული წილი საქართველოში, წარმომავლობის ქვეყნისა და დაბადების ადგილის (ქვეყანა) მიხედვით

წარმომავლობა	საქართველოში დაბადებული		საქართველოს ფარგლებს გარეთ დაბადებული	
	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები
რუსეთი	55,6	49,9	43,6	48,9
აზერბაიჯანი	1,7	2,1	9,4	9,0
უკრაინა	8,1	5,8	7,5	12,8
სომხეთი	0,9	1,6	7,9	13,2
თურქეთი	2,7	4,1	5,5	0,7
საბერძნეთი	7,8	13,3	4,4	2,2
ერაყი	0,2	0,1	2,2	0,3
აშშ	1,9	2,5	1,2	0,5
ისრაელი	1,0	1,4	0,6	0,3
ინდოეთი	0,0	0,1	1,2	0,4
სხვა	20,2	19,1	16,5	11,7

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილი 11.2: იმიგრანტები (მკვიდრი და არამკვიდრი) სქესისა და საქართველოში ჩამოსვლის წლის მიხედვით, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერისა და გადაანგარიშების შედეგების თანახმად

წელი	მოსახლეობის აღწერა		გადაანგარიშება	
	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები
2002	1 999	1 781	29 473	18 138
2003	2 083	1 944	29 930	18 407
2004	3 169	2 773	38 001	23 347
2005	3 007	2 760	35 643	21 878
2006	3 834	3 172	46 441	28 482
2007	3 590	3 263	41 906	25 634
2008	3 882	3 148	46 087	28 277
2009	3 820	3 095	39 431	24 202
2010	4 622	3 873	45 153	27 619
2011	4 475	3 996	44 233	26 988
2012	5 546	4 972	42 753	26 310
2013	5 287	4 803	55 574	36 884
2014	6 616	6 233	39 493	26 811

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა და 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

გადაანგარიშება ეყრდნობა შინაგან საქმეთა სამინისტროს 2012-2014 წლების მონაცემებს და ცდილობს 2012 წლამდე მონაცემები ამ უკანასკნელთან შესაბამისობაში მოიყვანოს. როგორც *ცხრილიდან 11.2* ირკვევა, აღნიშნული გადაანგარიშების შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება მოსახლეობის აღწერის შედეგად მიღებული მონაცემებისაგან.

12. ემიგრაცია

მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგად, ემიგრანტის შესახებ კითხვარის გამოყენებით, შინამეურნეობის წევრებისგან შეგროვდა ინფორმაცია ემიგრაციაში მყოფ 114 000 პირზე. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ 1990 წლიდან 2002 წლამდე პერიოდში დაახლ. ერთმა მილიონმა ადამიანმა დატოვა საქართველო, 2002 წელს ემიგრანტთა რაოდენობა გაცილებით მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე მოსახლეობის აღწერის შედეგად დადგინდა. ამის მიზეზად სახელდება ის, რომ ოჯახები ემიგრაციაში წასულ პირებს აღწერის დროს კვლავ შინამეურნეობის წევრებად ასახელებდნენ, ნაცვლად იმისა, რომ მათ შესახებ ინფორმაცია ემიგრანტის შესახებ კითხვარში დაეფიქსირებინათ. მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის დროს ანალოგიური პროცედურა იყო გამოყენებული, რაც იგივე ტიპის ცდომილების ალბათობას იძლევა. საერთო ჯამში, მოსახლეობის აღწერის დროს შეივსო 88 541 ემიგრანტის შესახებ კითხვარი. მოსახლეობის 2002 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების მსგავსად, აღნიშნული მონაცემი, დიდი ალბათობით, ფაქტობრივ მონაცემზე გაცილებით ნაკლებია. სხვა მიზეზებთან ერთად, ეს უკავშირდება იმ ფაქტსაც, რომ აღწერამ ვერ მოიცვა ინფორმაცია იმ ოჯახების შესახებ, სადაც ყველა წევრმა დატოვა ქვეყანა, შესაბამისად, საქართველოში არ დარჩენილა არავინ, ვინც ემიგრანტის შესახებ კითხვარს შეავსებდა აღწერის დროს. იმის გამო, რომ საფუძვლიანი ეჭვი არსებობს ამ მონაცემთა უტყუარობის ირგვლივ, აღნიშნული მონაცემები არ შევიდა წინამდებარე მონოგრაფიის გარე მიგრაციის ქვეთავში, თუმცა მონაცემები ემიგრანტთა წარმოშობის ქვეყნის მიხედვით (შედარებითი სიდიდეები) გამოყენებულია გადაანგარიშებისას, ვინაიდან ეს მონაცემები ამ საკითხთან დაკავშირებით არსებულ ერთადერთ ხელმისაწვდომ ინფორმაციას წარმოადგენს. აღწერისას გამოყენებული ემიგრანტის შესახებ კითხვართა დიდი უმრავლესობა საქართველოს მკვიდრ მოსახლეობას ეხება (36 220 მამაკაცი და 43 363 ქალი).

ცხრილში 12.1 მოცემულია ემიგრანტთა პროცენტული განაწილება დანიშნულების ქვეყნების მიხედვით:

ცხრილი 12.1: საქართველოდან ემიგრირებული მოსახლეობის პროცენტული წილი დანიშნულების ქვეყნების მიხედვით, მოსახლეობის აღწერისას შევსებული ემიგრანტის შესახებ კითხვარის მიხედვით

დანიშნულების ქვეყანა	მამაკაცები	ქალები
რუსეთი	33,9	10,7
აზერბაიჯანი	2,7	1,4
უკრაინა	6,6	1,2
სომხეთი	1,7	1,6
თურქეთი	8,4	14,2
საბერძნეთი	6,0	24,8
ერაყი	0,5	0,4
აშშ	6,2	5,3
ისრაელი	1,5	1,6
სხვა	32,0	38,3

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ცხრილიდან 12.1 ირკვევა, რომ საქართველოდან ემიგრირებული მამაკაცების უმრავლესობა რუსეთის ფედერაციასა და უკრაინაში მიემგზავრება მაშინ, როცა ქალების უმრავლესობა – თურქეთსა და საბერძნეთში. რაც შეეხება საქართველოს რეგიონებს, საიდანაც ყველაზე მეტი ემიგრანტი მიემგზავრება საზღვარგარეთ, პირველ ადგილზეა თბილისი, შემდეგ იმერეთი, ქვემო ქართლი, კახეთი და სამეგრელო და ზემო სვანეთი, როგორც ეს ნაჩვენებია *ცხრილში 12.2.*

ცხრილი 12.2: საქართველოში დაბადებულ ემიგრანტთა განაწილება რეგიონების, მოსახლეობის აღწერისას შევსებული ემიგრანტის შესახებ კითხვარის და გადაანგარიშების მიხედვით

რეგიონი	კითხვარი ემიგრანტის შესახებ		გადაანგარიშება	
	ემიგრანტები	პროცენტი	ემიგრანტები	პროცენტი
თბილისი	27 956	31,6	537 620	46,9
აჭარა	3 994	4,5	43 180	3,8
გურია	1 408	1,6	7 080	0,6
იმერეთი	20 298	22,9	162 620	14,2
კახეთი	7 271	8,2	49 676	4,3
მცხეთა-მთიანეთი	2 243	2,5	15 754	1,4
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	489	0,6	5 032	0,4
სამეგრელო და ზემო სვანეთი	6 897	7,8	156 210	13,6
სამცხე-ჯავახეთი	2 769	3,1	31 176	2,7
ქვემო ქართლი	11 099	12,5	116 550	10,2
შიდა ქართლი	4 117	4,6	20 814	1,8

წყარო: საქსტატი, მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა და 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება

აღსანიშნავია, რომ გადაანგარიშების მოდელის გამოყენებით, 2002 წლიდან 2014 წლამდე პერიოდში, რეგიონების მიხედვით ემიგრანტთა განაწილება შეიცვალა. *ცხრილის 12.2* ბოლო ორ სვეტში შესული მონაცემები ასახავს ემიგრანტთა რეგიონების მიხედვით განაწილებას, რომელიც გადაანგარიშების შედეგად არის მიღებული და არ ეყრდნობა ოჯახის წევრების განცხადებებს ემიგრანტთა შესახებ. ეს ინფორმაცია მიღებულია მიგრაციის ნაკადების შეფასების შედეგად, რომელიც, 2002 და 2014 წლებში რეგიონების მოსახლეობის რაოდენობების შედარების შედეგებს ეყრდნობა. აქიდან აშკარაა, რომ გადაანგარიშება მიუთითებს ემიგრაციის გაცილებით მაღალი მაჩვენებელზე. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ემიგრანტის შესახებ კითხვარის გამოყენება ზუსტი ინფორმაციის მოპოვების საშუალებას არ იძლევა, ვინაიდან შეიცავს ინფორმაციას მხოლოდ იმ ემიგრანტების შესახებ, რომელთა ოჯახის წევრებიც საქართველოში რჩებიან და შეუძლიათ ინფორმაცია გასცენ ქვეყნიდან გასული პირების შესახებ. როგორც ზევით აღვნიშნეთ, იმ პირების ფაქტობრივი რაოდენობა, რომლებიც საქართველოდან გაემგზავრნენ, სავარაუდოდ რამდენჯერმე აღემატება მოსახლეობის აღწერის დროს დაფიქსირებულ რაოდენობებს. მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობის აღწერის შედეგად და გადაანაგრიშებით მიღებული, რეგიონების მიხედვით ემიგრანტთა განაწილების პროცენტული მაჩვენებლები მსგავსია, გადაანგარიშების მოდელის თანახმად, ემიგრაციის უფრო მაღალ დონეს ვხვდებით თბილისიდან და სამეგრელო-ზემო სვანეთიდან, ხოლო უფრო დაბალს იმერეთიდან და ქვემო ქართლიდან.

ემიგრანტის შესახებ კითხვარის საშუალებით და გადაანგარიშების შედეგად მიღებულ მონაცემებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობის არსებობა ნათლად სჩანს, თუ ემიგრანტთა შესახებ ინფორმაციას წარმოვადგენთ საქართველოდან გამგზავრების წლის მიხედვით, როგორც ეს ნაჩვენებია *ცხრილში 12.3.* გადაანგარიშების შედეგების თანახმად, ემიგრანტთა შორის მუდმივად ჭარბობენ მამაკაცები და მცირე სხვაობა ფიქსირდება ერთი კალენდარული წლიდან მეორემდე. აღნიშნული ემყარება გადაანგარიშების მოდელში გათვალისწინებულ დაშვებას, რომლის მიხედვითაც ემიგრაციის მაჩვე-

ცხრილი 12.3: ემიგრანტების რაოდენობა, საქართველოდან გამგზავრების წლის მიხედვით, მოსახლეობის აღწერისას შევსებული ემიგრანტის შესახებ კითხვარისა და გადაანგარიშების მიხედვით

წელი	კითხვარი ემიგრანტის შესახებ		გადაანგარიშება	
	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები
2002	959	1 058	41 230	29 516
2003	1 385	1 610	43 544	31 170
2004	1 629	2 322	45 586	32 528
2005	1 082	1 784	48 344	34 690
2006	1 210	2 065	50 660	36 344
2007	1 363	2 554	52 958	38 000
2008	1 641	2 727	55 262	39 652
2009	1 664	3 115	57 438	41 142
2010	1 972	3 195	60 058	43 156
2011	2 467	3 308	62 376	44 826
2012	3 887	3 732	52 084	38 500
2013	5 268	4 532	55 582	39 482
2014	7 527	6 820	41 846	29 738

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა და 2014-2002 წლების საქართველოს დემოგრაფიული მონაცემების გადაანგარიშება.

ნებელი წრფივად იცვლებოდა (მცირე კორექტირებების გამოკლებით), ხოლო ასაკისა და სქესის მიხედვით განაწილება უცვლელი რჩებოდა. მეორე მხრივ, ემიგრანტის შესახებ კითხვარზე დაყრდნობით მიღებული მონაცემები საქართველოდან იმიგრაციის წლების მიხედვით გადანაწილების შესახებ, ავლენს აშკარად დაღმავალ ტენდენციას, რაც უფრო მეტად ვბრუნდებით უკან დროში. ეს ნაკლებად ასახავს საქართველოდან ემიგრაციის ფაქტობრივ ტენდენციას, არამედ უფრო ინფორმაციის შეგროვების თავისებურებებზე მიგვითითებს, რომელიც, როგორც აქამდეც აღვნიშნეთ, ქვეყანაში დარჩენილი ოჯახის წევრებისაგან მოპოვებულ ინფორმაციას ეყრდნობა. ამასთან, დროთა განმავლობაში სულ უფრო ნაკლებია ალბათობა იმისა, რომ ოჯახის წევრებმა საკუთარი შენამეურნეობის წევრებად დაასახელონ დიდი ხნის მანძილზე ემიგრაციაში მყოფი პირები. საინტერესოა, რომ უახლესი მონაცემებით, ემიგრანტთა შორის ქალები უმცირესობას წარმოადგენენ, თუმცა უმრავლესობას ქმნიან ასაკოვან ემიგრანტთა შორის, ემიგრანტის შესახებ კითხვარისთანახმად. ესტენდენციაშესაძლოა რეალურ სიტუაციას ასახავდეს, მაგრამ ასევე შესაძლებელია უკავშირდებოდეს სხვა ფაქტორებს, როგორიცაა, ის, რომ ემიგრანტი მამაკაცები და ქალები სხვადასხვანაირად ინარჩუნებენ კონტაქტს საქართველოში დარჩენილ ოჯახის წევრებთან და, ასევე, ის, რომ სხვადასხვა სქესის ემიგრანტები სხვადასხვა დროით რჩებიან ემიგრაციაში. არც ემიგრანტის შესახებ კითხვარის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია და არც გადაანაგარიშების შედეგები არ ადასტურებს მოსაზრებას, რომ რაც დრო გადის საქართველოდან ემიგრირებულ პირებს შორის სულ უფრო მეტი და მეტი ქალია იჩენს თავს, თუმცა ქვეყნის გარკვეულ რეგიონებში აღნიშნული ტენდენცია შეინიშნება (Zurabishvili, T. & Zurabishvili T. (n. d).

ცხრილში 12.4 მოცემულია ემიგრანტების შესახებ ინფორმაცია განათლების მიღწეული დონის მიხედვით. აქ ჩანს, რომ ემიგრანტებს შორის უმაღლესი განათლების მქონე პირების (სულ მცირე ბაკალავრის ხარისხი) პროცენტული წილი მცირედით აღემატება მთლიან მოსახლეობაში მსგავსი განათლების

დონის მქონე პირების პროცენტულ წილს, თუმცა აღნიშნული უფრო მკვეთრადაა გამოხატული ემიგრანტ მამაკაცებში, ვიდრე ქალებში. მთლიან მოსახლეობაში, 10 წელზე უფროსი ასაკის პირებს შორის, უმაღლესი განათლების მქონე ქალების პროცენტული წილი (29,9 პროცენტი) უფრო მაღალია, ვიდრე მამაკაცების (26,9 პროცენტი). ემიგრანტების შემთხვევაში, ეს პირიქით არის: უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცები შეადგენენ ემიგრანტების 35,2 პროცენტს, ხოლო ქალები – 32,7 პროცენტს. სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა შორის უმაღლესი განათლების მქონე პირების პროცენტული წილი კიდევ უფრო მაღალია და ამ შემთხვევაში უმაღლესი განათლების მქონე ქალების წილი აღემატება უმაღლესი განათლების მქონე მამაკაცების წილს (44,8 პროცენტი და 38,6 პროცენტი, შესაბამისად). სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს შორის უმაღლესი განათლების მქონე პირების მაღალ პროცენტულ წილს განაპირობებს ან ის ფაქტი, რომ აღნიშნული პირები უმაღლეს განათლებას საზღვარგარეთ იღებენ და შემდგომ ბრუნდებიან სამშობ-

ცხრილი 12.4: საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოსახლეობაში 10 წელზე უფროსი ასაკის პირების, ემიგრანტების (ემიგრანტის შესახებ კითხვარის მიხედვით), სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტებისა და (არამკვიდრი) იმიგრანტების განათლების მიღწეული დონე, სქესის მიხედვით (პროცენტებში)

	10 წელზე უფროსი ასაკის მოსახლეობა		ემიგრანტები		სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტები		იმიგრანტები	
	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები	მამაკაცები	ქალები
დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	0,5	0,5	0,6	0,6	1,1	1,0	0,7	0,6
მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	12,0	14,1	14,1	12,4	18,6	22,0	9,1	11,6
ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი	14,4	15,3	20,5	19,7	18,9	21,8	11,4	14,4
პროფესიული განათლება	16,9	20,1	18,9	15,0	16,3	19,5	6,6	10,9
სრული ზოგადი განათლება	42,2	36,6	38,2	43,2	37,4	27,8	27,3	30,1
ზოგადი განათლების საშუალო დონე	9,6	8,5	3,5	4,4	4,2	4,1	11,4	10,5
ზოგადი განათლების დაწყებითი დონე	2,1	2,4	1,3	1,7	1,9	2,2	15,1	11,0
განათლების გარეშე, მაგრამ წერა-კითხვის მცოდნე	0,4	0,6	0,9	1,0	0,9	1,0	13,2	9,4
წერა-კითხვის უცოდინარი	0,3	0,5	0,0	0,0	0,1	0,1	0,2	0,2
არ არის მითითებული	1,5	1,4	2,0	2,0	0,6	0,5	5,1	1,3

წყარო: მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერა

ლოში, ან ის, რომ უმაღლესი განათლების მქონე პირებს შორის მაღალია სამშობლოში დაბრუნების ალბათობა. ემიგრანტთა ან სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტთა ძალიან მცირე რაოდენობას აქვს სრულ საშუალო განათლებაზე უფრო დაბალი განათლების დონე.

საქართველოში იმიგრირებულ არამკვიდრ პირებს შორის შედარებით მცირეა უმაღლესი განათლების მქონე პირების პროცენტული წილი, ხოლო იგივე კატეგორიაში, დაწყებითი საშუალო განათლების ან უფრო დაბალი დონის განათლების მქონე პირების პროცენტული წილი უფრო მაღალია, ვიდრე მკვიდრ მოსახლეობაში.

ცხრილში 12.4 შესული ინფორმაციით დასტურდება, რომ განვითარებადი ქვეყნებიდან წამოსული მიგრანტებისაგან განსხვავებით, რომლებიც საზღვარგარეთ იღებენ განათლებას, რასაც სამშობლოში დაბრუნების შემდგომ იყენებენ, საქართველოდან წასული ემიგრანტების უმრავლესობას მაღალი დონის განათლება აქვს მიღებული, სამშობლოდან გამგზავრებამდე. ვინაიდან საზღვარგარეთ ცხოვრების პერიოდში საქართველოდან წასული ემიგრანტები არაკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებენ, ისინი ვერ იძენენ ახალ უნარებს, რომლებიც სამშობლოში დაბრუნების შემდგომ გამოადგებათ. საქართველოში დაბრუნებული მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევის ფარგლებში, რესპოდენტთა მხოლოდ 4,7 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი თავიანთი პროფილით მუშაობდნენ საზღვარგარეთ და ამ შემთხვევაშიც კი, მათი თანამდებობები, მათ განათლების დონესთან შედარებით დაბალი იყო, რაც მათი უნარების დეგრადაციას იწვევდა. რესპოდენტთა დანარჩენმა ნაწილმა განაცხადა, რომ ისინი არაკვალიფიციურ სამუშაოს ასრულებდნენ და დასაქმებულები იყვნენ მომვლელებად, სამშენებლო და დასუფთავების სფეროებში. შესაბამისად, სამშობლოში დაბრუნებულ მიგრანტებს უჭირთ სამუშაო ბაზარზე თავის ხელახლა დამკვიდრება და რეინტეგრაცია. შესაბამისად, რესპოდენტთა 46,1 პროცენტმა განაცხადა, რომ ისინი უმუშევრები იყვნენ (Tukhashvili, 2012: 29, 75).

წყაროები და გამოყენებული ლიტერატურა

- Abel, G. J. and Sander N. (2014). *Quantifying Global International Migration Flows.* Science 343 (6178).
- Badurashvili, I.; Kapanadze E., and Tsiklauri S. (2011). *Generations and Gender Survey in Georgia, 2nd wave.* Tbilisi, Georgian Centre of Population Research/UNFPA.
- Bloom, D. E., Canning D., and Sevilla J. (2003). *The Demographic Dividend: a New Perspective on the Economic Consequences of Population Change.* RAND Population Matters Program MR-1274, Santa Monica CA.
- Coale, A. J., Demeny P., and Vaughan B. (1983). *Regional Model Life Tables and Stable Populations (2nd).* New York, Academic Press.
- CRRC (2008). *Caucasus Barometer Survey 2008.* Tbilisi, Caucasus Research Resource Center.
- CRRC (2013). *Caucasus Barometer Survey 2013.* Tbilisi, Caucasus Research Resource Center.
- De Bruijn, B. and Chitanava M. (2017). *Ageing and Older Persons in Georgia - An Overview Based on the 2014 General Population Census Data.* Tbilisi, Georgia: Geostat/UNFPA.
- Duthé, G., Badurashvili I., Kuyumjyan K., Meslé F. and Vallin J. (2010). *Mortality in the Caucasus: an Attempt to Re-estimate Recent Mortality Trends in Armenia and Georgia. Demographic Research 22 (23): 691-732.* Retrieved from: http://www.demographic-research.org/Volumes/Vol22/23/
- Eelens, F. (2017). *Young People in Georgia - An Overview Based on the 2014 General Population Census Data.* Tbilisi, Georgia: c
- Geostat (2003). *First National Census Results of Georgian Population in 2002, part 1.* Tbilisi, Georgia. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული დეპარტამენტი. საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები. ტომი I. თბილისი, საქართველო).
- Geostat (n.d.). *Census 2002 Tabulations.* Retrieved from: http://Geostat.ge/?action=page&pid=676&lang=geo
- Geostat (2004). *Population and Housing Census 2002 Tabulations: Tome III Volume 2.*
- Guilmoto, C. Z. and Tafuro S. (2017). *Trends in the Sex Ratio at Birth in Georgia – An Overview Based on the 2014 General Population Census Data.* Tbilisi, Georgia: Geostat/UNFPA.
- Lyle, J. (2012). *Resettlement of Ecological Migrants in Georgia: Recent Developments and Trends in Policy, Implementation, and Perceptions.* ECMI working paper #53.
- Makaryan, S. (2012). *Estimation of International Migration in Post-Soviet Republics.* IOM.
- Migration Policy Centre. (2013 a). *Migration Facts Georgia 2013.* Retrieved from: http://www.migrationpolicycentre.eu/docs/fact_sheets/Factsheet percent20Georgia.pdf
- Migration Policy Centre Georgia (2013 b). *Migration Profile.* Retrieved from: http://www.migrationpolicycentre.eu/docs/migration_profiles/Georgia.pdf
- Moultrie, T., Dorrington R., Hill A., K. Hill K., Timaeus I. and Zaba B. (2013). *Tools for Demographic Estimation.* Paris, IUSSP.
- Schmertmann, C. (1999). *Estimating Multistate Transition Hazards from Last-Move Data.* Journal of the American Statistical Association 94 (445): 53-63.
- Tsuladze, Giorgi et al. (2013). *Demographic Yearbook of Georgia 2012.* Tbilisi, UNFPA.
- Tsuladze, G., Maglaperidze N. and Vadachkoria A (2002). *Demographic Overview of Georgia.* Tbilisi, UNFPA.
- Tsuladze, G., Maglaperidze N. and Vadachkoria A. (2003). *Population Prospects of Georgia.* The 2003 Revision. Tbilisi, UNFPA.

- Tukhashvili, M. (2012). *Socio-Economic Problems of Return Migration in Georgia.* Ivane Javakhishvili Tbilisi State University Center for Migration Studies. Retrieved from: http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/11050/1/Dabrunebul_Migrantta_Kvleva.pdf
- UNDP (2013). *Economic and Social Vulnerability in Georgia, Georgia.* By F. Gassmann; G. Berulava and M. Tokmazishvili. Retrieved from: http://www.undp.org/content/dam/georgia/docs/publications/GE_vnerability_eng.pdf.
- UNFPA Georgia (2014). *Policy Brief: Strengthening Family Planning Policies and Services – the Safe and Effective Way to Reduce Abortions in Georgia.* Tbilisi, UNFPA.
- UNFPA Georgia (2015). *Population Situation Analysis (PSA): Georgia 2014.* Tbilisi, UNFPA Georgia.
- United Nations (2013 a). *World Population Prospects: the 2012 Revision.* New York, United Nations Population Division, UNDESA.
- United Nations (2013 b). *World Population Ageing 2013.* New York, United Nations Population Division, UNDESA.
- UNICEF (2012). *The Wellbeing of Children and Their Families in Georgia. Georgia Welfare Monitoring Survey, Wave 2.* Tbilisi, UNICEF/USAID/University of York.
- Vobecká, J., Butz W. P. and Reyes G.C. (2013). *Population Trends and Policy Responses in the ECE Region: Outcomes, Policies and Possibilities, Wittgenstein Centre for Demography and Global Human Capital,* Vienna.
- World Bank (2011). *Migration and Remittances Factbook 2011.* Washington DC, World Bank.
- Zurabishvili, T. and Zurabishvili T. (no date). *The Feminization of Labor Migration from Georgia: The Case of Tianeti.* Retrieved from: http://www.soclabo.org/index.php/laboratorium/ article/view/170/334